# გილოცავთ გიორგობას!!!

ქრონიკა

~~2 ლ 20 თ~~

1 ლ 80 თ

N47/723/ 23-29 ნოემბერი 2015 წ. PRESS ფასი 1 ლ 80 თ

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი ალია ალია ალია ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 2003 წლიდან

## „არათუ ხიდაშელი, შეიძლება მთლიანად მთავრობა წავიდეს“



ვალერი გელბახიანი: „რუსეთი მსოფლიოს აჩვევს აზრს, რომ საქართველოში ხვალ რომ გაჩნდეს ორი ტერორისტი, შევალ ჯარით და გავანადგურებ ტერორისტებსო... ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივაციით, კვლავ დაგვბომბავენ, აგვრევ-დაგვრევენ, როგორც უნდათ!“

6

## დემურ გიორხელიძე: „მე რომ ახლა საოპერო სცენაზე მოვინდომო სიმღერა, პაატა ბურჭულაძემ სასტიკად უნდა დამცინოს. ასე დავცინი ახლა მე მას, იმიტომ, რომ ის აკეთებს სისულელეს“



10

## ტაქსის მძღოლები „ტაქსების რევოლუციით“ იმუქრებიან!




„1 მილიონი ადამიანი ვართ! მაგათი შვილები რომ ძღებიან, ჩვენს შვილებს არ შიათ?!“

16

დავით თევზაძე: „რა, მოვიდა ივანიშვილი შენს სახლში და დაგაძალა, გინდა თუ არა მარგველაშვილს მიეცი ხმაო?!. არ მიგეცათ ხმა, არ აგეღოთ მისი დარიგებული ფული.... აი, ეს არის პრობლემა და არა ის, რომ ბიძინა ივანიშვილმა ძალით აგარჩევინა პრეზიდენტი“

14



## „ქრონიკის“ საშუალებით ვიწყებ ყველა იმ პროკურორის მხილებას, რომელსაც დანაშაულში აქვს გასვრილი ხელი!“

28



## რა წარსული აქვს ირაკლი შოთაძეს და რატომ იყო მისი არჩევა დიდი შეცდომა?



24

## „გაგიჟდა ხალხი! „ნოშპას“, „ნაფტიზინის“ წვეთებს, „კაპტოპრილს“, ანტიბიოტიკებსა და სხვა წამლებს სვამს და შედეგი არ დგება!“

12

სად უნდა დარეკოს მომხმარებელმა, თუ შენიშნავს, რომ მედიკამენტი, რომელიც შეიძინა და მიიღო — უეფექტოა?



## რატომ გაიფიცნენ იაშვილის კლინიკის ექიმები?!

30



საკითხავია, ჩვენს ჩინოვნიკებს ქამრები უკეთიათ თუ მოიხსნეს? თუ რესტორნებში გადამძღარები იხსნიან? როცა მიღება-წვეულებებში ათასებს ხარჯავენ, მაშინ რატომ არ ახსენდებათ, რომ ქვეყანაში ოფიციალურად 250 ათასი ბავშვი შიმშილობს?

## მშობელი: „23-ე სკოლაში მასწავლებლები ბავშვებზე ფიზიკურად ძალადობენ“

8






## „ნაციონალი“ პარლამენტარები არიან თუ არა აზრზე, რომ ერთ ადგილს რუსული ქაღალდით აწმენდინებენ? ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ რაღაც ზომები უნდა მიიღონ — უარი თქვან ტუალეტის ქაღალდის ხმარებაზე!

31

## როგორ ჩაუგდეს უსისხლო ოპერაცია დემურ მიქაძეს ჯაბა იოსელიანმა და თენგიზ კიტოვანმა?

32





## რა ლექსებს უწერენ კოკელ ვაი-მერ ნარმანიას?

33

კვირის მედია-ქრონიკა



**სოსო ცისკარიშვილი**, პოლიტოლოგი:

„მაშინ, როცა ქვეყანა ამხელა ეკონომიკური თუ სოციალური გამოწვევების წინაშე დგას, დღეს თურმე ჩვენი მთავარი სატკივარი უნდა იყოს, პრეზიდენტი მარგველაშვილი სად იჯდება — ავლაბრის თუ ათონელის რეზიდენციაში. ჯერ თქვენ გააკეთეთ თქვენი საქმე, ხალხი სიღატაკიდან გამოიყვანეთ და პრეზიდენტზე მერე ილაპარაკეთ, ხალხისთვის თქვენზე უარესი მას არაფერი გაუკეთებია...“



**ირინა სარიშვილი**, პარტია „იმედის“ ლიდერი:

„ბრძენქალა გუგული მაღრაძემ 10 ლარი ჩემთვის არაფერი, მაგრამ პენსიონერისთვის იცით, რამხელა მადლიაო? 10 პურის, 4 ქილა ზეთისა და კიდევ რაღაცებისო... ეს ის გუგულა არ არის, 2000-ლარიან სამსახურში თავმოყვარე კაცი არ წავაო, ამაყად რო გვამცნო???

არა, რა! ესენი კი არ უნდა დაიჭირო, აი, ამ ათლარდამატებულ პენსიაზე უნდა დასვა და ნელ-ნელა ამოხადო სული ამ კაციჭამიებს!!!“



**თორნიკე შარაშენიძე**, საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების ექსპერტი:

„ჩვენს საზოგადოებას ერთი ცუდი თვისება აქვს — ძალიან მალე ავიწყდებათ ხოლმე რაღაცები; სიტყვაზე, ერთი პოლიტიკოსი იტყვის აბსოლუტურ სისულელეს, მეორე დღეს ავიწყდებათ და პატიობენ ხოლმე. საქართველოში შეგიძლია ილაპარაკო სისულელეები, მაინც ყველას დაავიწყდება“.



**გია ხუხაშვილი**, ექსპერტი:

„ერთადერთი, ვინც პაატა ბურჭულაძის გამოჩენით ნამდვილად არ დაზარალდება, ეს იქნება „ნაციონალური მოძრაობა“ და პირობითად ვთქვათ, „პატრიოტთა ალიანსი“. ამ ორი პოლიტიკური ძალის ელექტორალურ შემადგენლობას ის ვერ შეეხება. დანარჩენი პოლიტიკური პარტიები შეიძლება შეავიწროოს“.

კვირის მედია-ქრონიკა

## ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული დავით ბორჩაშვილი ღუდუშაურის კლინიკაში მოათავსეს



ტერორისტული საქმიანობის ბრალდებით დაკავებული დავით ბორჩაშვილი ღუდუშაურის საავადმყოფოში მკურნალობს.

ბორჩაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციას ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ავრცელებს.

ტელეკომპანიის ინფორმაციით, მკურნალი ექიმი ამბობს, რომ დავით ბორჩაშვილის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა, მას დაზიანება მენჯ-ბარძაყის არეში აღენიშნება. ექიმის განმარტებით, დაზიანების ადგილზე ბორჩაშვილს რამდენიმე წლის წინათ ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული. გახდება თუ არა საჭირო მორიგი ოპერაცია, ჯერჯერობით უცნობია.

ღუდუშაურის საავადმყოფოში იმყოფებიან დაკავებული ბორჩაშვილის ახლობლებიც.

შეგახსენებთ, რომ დავით ბორჩაშვილი 21 ნოემბერს გამთენიისას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავეს, რაც გულისხმობს უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებას ან ტერორისტულ საქმიანობაში მის დახმარებას.

დავით ბორჩაშვილს 10-დან 18 წლამდე პატიმრობა ემუქრება. (პირველი რადიო)

კვირის მედია-ქრონიკა

## „ოცნება“, ახლა კიდევ ერთხელ დაგიმტკიცებთ, რატომ უნდა ჰქონდეთ მოქალაქეებს იარაღის ტარების უფლება!



13 ნოემბრის ტერაქტების დროს კოლუმბიელმა მაფიოზებმა ათობით ადამიანი გადაარჩინეს, როდესაც „ისლამური სახელმწიფოს“ ორი მებრძოლი მოკლეს, რომელებიც მათ თავს დაესხნენ.

კოლუმბიური მედიის ინფორმაციით, პარიზის კაფეში საერთაშორისო ძებნაში მყოფი სამი „ჩრდილოეთ ნაროკარტელის“ წევრი იმყოფებოდა, როცა დაწესებულებაში ორი ისლამისტი შეიჭრა და კაფეს სტუმრებს ცეცხლი გაუხსნა. საერთაშორისო ძებნილებმა მათ საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს და ორივე მოკლეს, რითაც ათობით ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს.

საფრანგეთის პოლიციის ადგილზე მისულმა თანამშრომლებმა კოლუმბიელები დააკავეს, თუმცა საფრანგეთის მართლმსაჯულება დილემის წინაშეა, გაუშვან თუ პატიმრობაში დატოვონ ნარკომოვაჭრეები, რადგან ისინი გმირულად მოიქცნენ. სავარაუდოდ, მათ საკუთარ სამშობლოში გაადეპორტებენ. (argumenti.ge)

**კოლუმბიელ „ბარიგებს“ რომ იარაღი არ ჰქონოდათ, „ოცნება“, გაცილებით მეტი ადამიანი შეეწირებოდა ტერორისტებს, გასაგებია?!**

**ტერორისტების სამიზნე დანარჩენ ადგილებში შეკრებილ ადამიანებს რომ იარაღი ჰქონოდათ, „ოცნება“, კანონიერი იარაღი, მსხვერპლი გაცილებით ნაკლები იქნებოდა, გასაგებია?!**

**ჰოდა, დასკვნების გამოტანა მაინც ხომ შეგიძლიათ, არა? თუ ესეც გიჭირთ, კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი სიცოცხლის დაცვის საშუალება, რადგან, როცა ის ბოროტმოქმედს შეეჩეხება, სანამ პოლიცია მიეშველება, შეიძლება ინციდენტი სავალალო შედეგით დასრულდეს.**

კვირის მედია-ქრონიკა

## ირმა ინაშვილი ზვიად ძიძიგურს: იქნებ შემატყობინოთ, სადაა განთავსებული ეს ღია კარი?

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელს „ფეისბუკით“ მიმართავს:

– ზვიად ძიძიგურს ვპასუხობ: მეუბნებით, რომ თქვენი კარი ღიაა. მაშინ დრო, ადგილი და საათი დანიშნეთ, შემატყობინეთ, სად შევხვდეთ, როდის შევხვდეთ! თუ თქვენი კარი ღიაა, ჩემი კარიც ღიაა, ამიტომ, ვიმეორებ: იქნებ შემატყობინოთ, სადაა განთავსებული ეს ღია კარი?



კვლავ ვამბობ: შიმშილობის აქცია გრძელდება! ის შეწყდება მაშინ, როცა ხელისუფლება საჯაროდ და მკაფიოდ განაცხადებს, რომ საკანონმდებლო ცვლილებები შემუშავდება და უსწრაფესად იქნება მიღებული! ეს ეხება ორ მთავარ საკითხს: 1. ყველა თანამდებობის პირი, პოლიციის უფროსით დაწყებული გამგებლის, მერის, სოფლის რწმუნებულისა თუ მინისტრის ჩათვლით (რომელიც ზეწოლას მოახდენს ამომრჩეველზე) დაისჯება! და მეორე – თანასწორი პირობები იქნება საარჩევნო კომისიებში, დაფინანსებისა და საეთერო დროის თვალსაზრისით! შესაბამისი კანონპროექტის სამუშაო ვარიანტი მზად გვაქვს და მზად ვართ, მისი განხილვისთვის, თუ, ბოლოს და ბოლოს, ღია კარის ადგილმდებარეობას გაგვიმჟღავნებთ.

ვიმეორებ: შიმშილობა შეწყდება, თუ თქვენ, ანუ ხელისუფლება, საჯაროდ განაცხადებთ, რომ ამ ცვლილებებს განახორციელებთ! აქვე შეგახსენებთ, რომ თქვენ ჩვენთვის არაფერს აკეთებთ და ჩვენ არაფერს გვითმობთ! ამას თავად ჰპირდებოდით ხალხს! და მე, სხვათა შორის, თქვენი ამომრჩეველი ვიყავი და სრული უფლება მაქვს, მოგთხოვოთ ამ დაპირების შესრულება! – წერს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი სოციალურ ქსელში. (mpress.ge)

## რა აკავშირებს დავით უსუფაშვილს პაატა ბურჭულაძესთან?



პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, მას პაატა ბურჭულაძესთან არანაირი პოლიტიკური სახის კონსულტაცია არ ჰქონია.

თუმცა ადასტურებს ინფორმაციას, რომ რამდენიმე თვის წინ ბურჭულაძის ოფისს ესტუმრა. უსუფაშვილის თქმით, შეხვედრაზე ბურჭულაძეს ჰუმანიტარულ საკითხებზე ესაუბრა.

– მას ჰქონდა საინტერესო მოსაზრება იმის თაობაზე, როგორ შეიძლება სახელმწიფო სხვადასხვა კონფლიქტებში დაზარალებულ ხალხს დაეხმაროს. მასთან სხვა რაიმე საუბარი არ მქონია და მას ჩემთან არ ჰქონია. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს – არჩევნები ახლოვდება და ეს ამ ყველაფერზე მიანიშნებს მხოლოდ, – განაცხადა უსუფაშვილმა. (ნიუპოსტი)

კვირის მედია-ქრონიკა

## პუტინი გარდაიცვალა



რუსეთის ქალაქ ულან-უდეში პარტია „ედინაია როსიას“ წევრი ალექსანდრე პუტინი გარდაიცვალა. მამაკაცი პირდაპირ პარტიის სხდომაზე, სავარაუდოდ, ინფარქტს ემსხვერპლა.

პუტინი ბურიატიის დედაქალაქში „ედინაია როსიას“ ორგანიზაციის ერთ-ერთ ქვედა რგოლს ხელმძღვანელობდა.

შემთხვევა სხდომის დროს მოხდა, რომელიც ულან-უდეს მერიის შენობაში მიმდინარეობდა. (kvira.ge)

**უკაცრავად კი ვართ, თუ ფუჭი მოლოდინი გაგიჩინეთ...**

**ისე, რა საზიზღარი და საშინელი უნდა იყოს ადამიანი, რომლის სიკვდილზეც მილიონობით ადამიანი ოცნებობს?!**

## შურიკოვი სააკაშვილს: ქართული მაფია შექმენი ოდესაში! მე ამას დავამტკიცებ!



ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს უკრაინულ გადაცემა Шустер-ში, ოდესის საპორტო ქარხნის დირექტორის მოადგილე ნიკოლაი შურიკოვი ბრალს სდებს და აცხადებს, რომ სააკაშვილი უკრაინის მტერია.

– თქვენ აქ უკრაინის გასანადგურებლად ჩამოხვედით, თქვენ რეალური გამყიდველი ხართ და მტერს წარმოადგენთ ამ ქვეყნისთვის. იმას, რასაც თქვენ გააკეთებთ, ხალხი დაინახავს და ეს თქვენი პოპულიზმი თავის საქმეს გააკეთებს ეკრანებზე. თქვენ ხართ მტერი, უკრაინის მტერი, მე ამას დავამტკიცებ, დამიჯერეთ, მე მოვალ სასამართლოებზე და თქვენ არც ერთი ქვეყანა არ მიგიღებთ.

თქვენ ანადგურებთ ყველაფერს, თქვენ შექმენით ქართული მაფია ოდესაში. ჩვენ დავუბრუნდებით ამ საუბარს ზუსტად ერთ თვეში, მაშინ, როცა მე წარმოვადგენ ციფრებს, როცა მე დავამტკიცებ, რომ ეფექტური მენეჯერი ვარ. 12 წელია უკვე, რაც სახელმწიფო ორგანოებში ვმუშაობ, სადაც მე პატივს მცემენ. მე ვაშენებდი არხებს, გემებს და თქვენ რა ააშენეთ? თქვენ გაანადგურეთ თქვენი ავტორიტეტი საქართველოში, მიატოვეთ იქ ხალხი და თქვენზე იქ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რომელსაც გაურბიხართ, – მიმართავს ნიკოლაი შურიკოვი სააკაშვილს.

ოდესის საპორტო ქარხნის დირექტორის მოადგილე ნიკოლაი შურიკოვი, მიხეილ სააკაშვილს, ქარხანაში დესტაბილიზაციის შეტანის მცდელობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ გუბერნატორი მედიაში არასწორი ინფორმაციის გავრცელებას უწყობს ხელს.

– გუბერნატორის არაკომპეტენტურობა და სკანდალური ქმედებები, შესაძლოა, გახდეს ოდესის საპორტო ქარხნის პრივატიზაციისას ღირებულების შემცირებისა და საწარმოო კავშირების დარღვევის საბაბი, – წერს უკრაინული მედია ნიკოლაი შურიკოვის მიერ გავრცელებულ განცხადებაზე დაყრდნობით. (ipress.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა



**ბერნარ კუშნერი**, საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი:

„თქვენ, რა თქმა უნდა, გაქვთ რაღაც შანსი, მაგრამ ძალიან ნუ იჩქარებთ, ევროკავშირი ჯერ თვითონ უნდა შეიცვალოს“.



**არჩილ გამზარდია**, საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი:

„პრემიერს რომ რამე წამოსცდება არასწორი, პრეზიდენტი ბრიფინგებს მართავს და მკაცრად კიცხავს ხოლმე, მაგრამ რაც გინდა თქვან „ნაციონალებმა“, დუმს. მაინტერესებს, პრეზიდენტმა რატომ არ შეაფასა მაჭავარიან/კანდელაკის ქმედებები?“



**თედო კობახიძე**, თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

„წარმოდგენილ ბიუჯეტს საკრებულო მხარს არ დაუჭერს... თუ მერია არ გაითვალისწინებს ჩვენს შენიშვნებს, ამ შემთხვევაში უკვე დეკემბერში გვექნება ჩვენი პოზიცია... იმედია, იმპიჩმენტზე არ მოგვიწევს მსჯელობა“.



**დათო ფერაძე**, „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრი“:

„ამით სანიკიძემ იერიში მიიტანა არა მარტო ჩემზე, არამედ ჩემს ოჯახზე, ჩემს მცირეწლოვან შვილებზეც (ერთი 4 წლისაა, მეორე — ერთის), რომლებიც დააყენა შიმშილის საფრთხის წინაშე, ის ორიოდე გროშიც წაგვგლიჯა ამ დაუოკებელმა მძარცველმა! მაგრამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა ე.წ. დირექტორი, რომელმაც აღასრულა სიბინძურე, ვერც ამ სიბინძურის თანამონაწილე ორიოდე მასწავლებელი, რომელთა დანახვაც არ სურთ მოსწავლეებს“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა

## ეგ ჯერ მხოლოდ ჟურნალია, უკრაინელებო, კინო მალე დაიწყება!..



ბიზნესმენმა გენადი კორბანმა განაცხადა, რომ გენერალურ პროკურორ დავით საყვარელიძეს დნეპროპეტროვსკის სასტუმროში ანგარიშის გადახდა დაავიწყდა.

ინტერვიუში ბიზნესმენი აცხადებს, რომ ეს თავად საყვარელიძისგან გაიგო.

– როდესაც ჩვენთან იყო სტუმრად, სხვა ქართველ კოლეგებთან ერთად, სასტუმროს ფულის გადახდა დაავიწყდა, ამ გადასახადში შედიოდა რესტორნის და ცხოვრების ფული.

ზუსტად ისე, როგორც ერთ ძველ ებრაულ ანეკდოტშია, – ყვება კორბანი.

ასევე, ბიზნესმენი მიიჩნევს, რომ „ქართველები, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ პატრიოტი ებრაელები ბევრად უკეთესია“.

– ამიტომ საყვარელიძის შეფასებისას მარტივად ვიტყვი: თუ ის თავს პასუხისმგებლიან პოლიტიკოსად ან ჩინოვნიკად თვლის, სჯობს, დაინტერესდეს, რა კითხვები აქვთ მისდამი სამშობლოში, – დასძინა კორბანმა.

თავის მხრივ, დავით საყვარელიძე უარყოფს კორბანის განცხადებას, რომ მას სასტუმროში ფული არ გადაუხდია. (ამბები.გე)

ჰო, ზუსტად ასე „ავიწყდებოდათ“ მაგათ საქართველოშიც ბევრი რამე - ბიზნესი რომ სხვისი იყო და „შემთხვევით“ გადაიფორმებდნენ ხოლმე, ორი გვამი რომ უნდოდათ და „შემთხვევით“ შემოაკვდებოდათ ხოლმე, სექსი რომ სასარგებლოა და ბიუჯეტის ფული შემოეხარჯებოდათ ხოლმე.

მოკლედ, უკრაინა ჯერ ჟურნალს ფურცლავს და კინო რომ დაიწყება, სამწუხაროდ, შესაძლოა, მერე უკვე გვიანი იყოს, ძალიან გვიანი!..

## „S.O.S! მეგობრებო, თქვენი დახმარება მჭირდება... იქნებ ყველამ ერთად კეთილი საქმე გავაკეთოთ“



სოციალურ ქსელ „ფეისბუკზე“ მორიგი საქველმოქმედო განცხადება ვრცელდება. ამჯერად ქველმოქმედების ადრესატი ხარაგაულში მცხოვრები სოციალურად დაუცველი 3-შვილიანი ოჯახია.

საქველმოქმედო განცხადების ავტორი იმედოვნებს, რომ საზოგადოება მის თხოვნას ყურად იღებს და ყველას მოუწოდებს, ვისაც როგორ შეუძლია, ოჯახს ისე დაეხმაროს, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფება.

– S.O.S! მეგობრებო, თქვენი დახმარება მჭირდება... ვისაც როგორ შეგიძლიათ, რომ კარგ ადამიანებს დავეხმაროთ... ოჯახი ხარაგაულში ცხოვრობს, სოციალურად დაუცველები არიან და 3 პატარა ჰყავთ, ბავშვების ასაკია: ბიჭი 5 წლის და გოგოები 4 წლის და 1 წლის და 4 თვის... თუ რაიმე შეგიძლიათ – ტანსაცმელი, სათამაშო, საჩუქრები, არ ვიცი, რაც არ დაგენანებათ და პატარებს გაახარებს, იქნებ ყველამ ერთად კეთილი საქმე გავაკეთოთ... თქვენი იმედი მაქვს, მადლობა დიდი.

პ.ს. ოჯახის უფროს წევრებსაც შეგვიძლია დავეხმაროთ, ჩასაცმელი იქნება ეს თუ ფულადი დახმარება... მოკლედ, გული გამისკდა და დამეხმარეთ, რომ ერთად რაღაც ვუშველოთ ამ ადამიანებს...

პ.პ.ს. მეტი სანდოობისთვის მაქვს ცნობა სოც. დაუცველობის, ბავშვების ფოტოები და ანგარიშის ნომერი...

ანგარიშის ნომერია „ლიბერთი ბანკი“ GE34LB0288870040022846. (daijesti.pia.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა

## აი, „ოცნება“, სადამდე მიგვიყვანე — ლუკაშენკო გაგვიხდა სანატრელი



ბელორუსში დანერგვის პროცესშია ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერის პროექტი – „დიდი ოჯახი“.

აღნიშნულთან დაკავშირებით ბელორუსის პრეზიდენტმა, ალექსანდრე ლუკაშენკომ საწარმო „ბელაზის“ თანამშრომლებთან შეხვედრისას ისაუბრა.

ლუკაშენკო ნებისმიერ ოჯახს სამი შვილის გაჩენის შემთხვევაში საჩუქრად, ჯამში, 70 000 ამერიკულ დოლარსა და ბინას გადასცემს. (mpress.ge)

## დაკავებული „კანონიერი ქურდი“ გოგა ხაინდრავას უახლოესი მეგობარია — რა ვიცით „რევაზ ტბილისსკის“ შესახებ



სამართალდამცავების მიერ თბილისში დაკავებული ე.წ. კანონიერი ქურდი რევაზ ლ., სავარაუდოდ, რევაზ ლორთქიფანიძე, იგივე რეზო ტბილისსკია.

რევაზ ლორთქიფანიძე კრიმინალურ სამყაროში „კანონიერ ქურდადაა“ აღიარებული.

რევაზ ლორთქიფანიძე გოგა ხაინდრავას ბავშვობის მეგობარია. ხაინდრავას ამ საკითხზე საუბარი უხერხულობას არასდროს უქმნის.

რევაზ ლორთქიფანიძე პოეტ ზურაბ ლორთქიფანიძის შვილია. გოგა ხაინდრავა და რევაზ ლორთქიფანიძე ბავშვობაში სწორედ მწერალთა სახლში დამეგობრდნენ.

– მე ჩემს მეგობრებს არ ვემიჯნები, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი. მე ჩემს წარსულს ვერ წავშლი, ვერც ცხოვრებას დავიწყებ თავიდან. რეზო ლორთქიფანიძე იყო, არის და იქნება ჩემი მეგობარი, – ამბობს ხაინდრავა ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში.

ცნობილია, რომ გოგა ხაინდრავა რევაზ ლორთქიფანიძეს საქართველოს საზღვრებს მიღმა, კონკრეტულად კი საფრანგეთში ხვდებოდა. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა 2012 წელს შედგა, როდესაც გოგა ხაინდრავა პარიზში ფილმის ჩვენებისთვის იყო ჩასული. რევაზ ლორთქიფანიძე პარიზთან ახლოს, ერთ-ერთ პატარა ქალაქში საავადმყოფოში იმყოფებოდა და სწორედ იქ მოინახულა ხაინდრავამ მეგობარი.

აღსანიშნავია, რომ, როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დაკავებული „კანონიერი ქურდი“ რევაზ ლ., რომელიც, დიდი ალბათობით, სწორედ რევაზ ლორთქიფანიძეა, 2011 წელს საფრანგეთში სხვადასხვა ორგანიზებულ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა, საქართველოსა და საფრანგეთში ე.წ. „ობშიაკის“ თანხების შეგროვებისა და განკარგვის საკითხებში მონაწილეობდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

რევაზ ლორთქიფანიძე ცნობს და აღიარებს ქურდულ სამყაროს, ეთანხმება მის მიზნებს, თავისი ცხოვრების წესით ქურდული სამყაროს მხარდაჭერას საჯაროდ გამოხატავს. რევაზ ლ-ს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ქურდული სამყაროს წევრებთან, ასევე, აქტიურად მოქმედებდა ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად და მონაწილეობდა ე.წ. ქურდულ გარჩევებში. (ambebi.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა

## სოფელ ლამბალოში ვალის გამო ყოფილმა პოლიციელმა ადამიანი მოკლა



საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში მოკლულია ერთი ადამიანი, კიდევ ერთს კი მძიმე ჭრილობები აქვს მიყენებული.

როგორც სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული აცხადებს, მკვლელობის სავარაუდო მიზეზი თანასოფლელებს შორის არსებული ვალი გახდა. მისივე ინფორმაციით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ყოფილი პოლიციელია, რომლის ვალიც გარდაცვლილს ჰქონდა.

არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილმა ეჭვმიტანილისგან მსხვილფეხა საქონელი რამდენიმე თვის წინ იყიდა. მევალე ვალის დაბრუნებას რამდენიმე თვის განმავლობაში ითხოვდა, მკვლელობის დღეს კი მოვალეს სახლში მიაკითხა და გარდაცვლილს საკუთარი სახლის ეზოში ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

მამაკაცი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. დაჭრილია ერთი თანასოფლელი, რომელიც სხეულის მძიმე დაზიანებებით საგარეჯოს რაიონულ საავადმყოფოშია გადაყვანილი. (pia.ge)

## „2 148 773 ლარის დანამატი და პრემია საგარეო საქმეთა სამინისტროში“



არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი საგარეო საქმეთა სამინისტროში გაცემული დანამატებისა და პრემიის შესახებ ინფორმაციას ასაჯაროებს.

ხაბეიშვილის ინფორმაციით, იანვარ-სექტემბერში, ჯამში, 2 148 773 ლარის დანამატი და პრემია გაიცა სამინისტროში.

აპრილსა და აგვისტოში გაიცა პრემიების 90 პროცენტი. მრჩევლების „თანამდებობაზე“ მომუშავე თანამშრომლების პრემიამ აპრილში – 51 600 ლარი, აგვისტოში კი 48 000 ლარი შეადგინა. ამავე თვეებში პირველი მდივნის თანამდებობაზე მომუშავე თანამშრომლების მხოლოდ პრემია აპრილში 24 000 იყო, აგვისტოში კი – 25 000 ლარი. დეპარტამენტის დირექტორების პრემია – 39 100 და 41 400 ლარი. მათი მოადგილეებისა – 43 700 და 43 700 ლარი. აღსანიშნავია, რომ აგვისტო ძირითადად საშვებულებოდ გამოიყენება. აპრილსა და აგვისტოში სამინისტროში თანამდებობის პირების ანაზღაურებამ, ჯამში (სარგო, დანამატი, პრემია), 10 000 ლარი შეადგინა.

„მედიატორის“ ინფორმაცია ეყრდნობა სამინისტროდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციას დანამატებისა და პრემიების შესახებ. (ნიუპოსტი)

ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-

## ბოდიში თავად გაქვთ მოსახდელი, ოცნებაახდენილო ირაკლი ბატონო, „ალიასთვისაც“ და ხალხისთვისაც და ახლავე ჩამოგიყრით, რატომ!

დრო ყველაფრის მკურნალია, ყველაფერს დაგავიწყებსო და თუ თანამდებობაც დაემატება ჟამთა სვლას, იცოცხლე, ყველაფერს მხოლოდ კი არ დაივიწყებ, ფეხებზეც შესანიშნავად დაიკიდებ!

რას ვგულისხმობთ, ჩემო ბატონო და ირაკლი სესიაშვილს – აწ უკვე საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს და ყოფილ სამხედრო ექსპერტს...



იყო დრო, როცა ირაკლი სესიაშვილი „ალია“-„ქრონიკის“ არცთუ ურიგო რესპონდენტი გახლდათ, ოღონდ სანამ პარლამენტარი გახდებოდა. არა, ცოდვას ვერ ვიტყვით, სატელეფონო ზარებს დღესაც პასუხობს ხოლმე, მაგრამ „დროის მკურნალობას“ მასზეც მოუხდენია გავლენა – დაუვიწყებია ეს ყველაფერი და ნამეტანი პრეტენზიულიც გამხდარა...

მოკლედ, აღარ არის საჭირო ამდენი მიკიბულ-მოკიბული, პირდაპირ დავცხებთ:

ირაკლი სესიაშვილმა „ალიას“ პრეტენზიები წაუყენა სტატიის გამო, რომელსაც „გავბედეთ“ და ისეთი სათაური და მინაწერი გავუკეთეთ, როგორიც საჭიროდ მივიჩნიეთ.

ყოველი შემთხვევისთვის მაინც შეგახსენებთ, რომ სამშაბათის „ალიაში“ სესიაშვილთან ინტერვიუ გამოქვეყნდა სათაურით: „სპეცსამსახურებისთვის დაფინანსების გაზრდას, „ოცნებას“ ურჩევნია, ხალხს საკუთარი თავის დაცვის საშუალება მისცეს და იარაღის ტარება დაუკანონოს!“

ინტერვიუ რედაქციის მინაწერით სრულდებოდა, სადაც ვწერდით (და სხვათა შორის, „ალია“ ამას უკვე 25 წელია, წერს), რომ კანონმორჩილ მოქალაქეებს დიახაც, უნდა ჰქონდეთ იარაღის ტარების უფლება, რათა შეძლონ და თავი დაიცვან ტერორისტის, ყაჩაღისა თუ სექსუალური მანიაკის თავდასხმისგან. ლოგიკა მარტივია – სანამ პოლიცია მივა მსხვერპლის დასახმარებლად, უდიდესი ალბათობით, მას თავდამსხმელი ბოლოს მოუღებს, როგორც ეს თუნდაც საფრანგეთის შემთხვევაში მოხდა. ირაკლი სესიაშვილს კი სურს, ტერორისტებისგან ქვეყნის დასაცავად შესაბამის სამსახურებს დაფინანსება გაეზარდოთ...

ჰოდა, იმას ვამბობდით, რომ გაბედა ირაკლი სესიაშვილმა და „ალიას“ პრეტენზიები წაუყენა ამ სტატიის გამო და უტიფრად ბოდიშის მოხდაც კი მოგვთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოში გიჩივლებთო.

დედააა, თქვენ იმ გუნდის წარმომადგენელი არ ხართ, მედიას არ ვზღუდავთო, გაუთავებლად რომ ამტკიცებს?! აბა, რომელი სასამართლოთი გვემუქრებით, ირაკლი ბატონო?! ააა, თამაზ ურთმელიძის სასამართლოს თუ გულისხმობთ, კი, ბატონო, დიდი ალბათობით, ურთმელიძის სასამართლო კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით ანთხევდა ბოლმას „ალია“-„ქრონიკაზე“, მაგრამ არა, „გადავრჩით“, – არ გიჩივლებთ, ჯანდაბას, მაგრამ ბოდიში მომიხადეთო, სესიაშვილმა ჰრქუა...

ჰმ, ბოდიში, არა?! კარგით! ახლავე! აი, უცქირეთ:

ბოდიში, ბატონო ირაკლი, ძალიან დიდი ბოდიში თავად გაქვთ მოსახდელი „ალიასთვისაც“ და ხალხისთვისაც და ახლავე ჩამოგიყრით, რატომ:

– ირაკლი სესიაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს იმიტომ, რომ მის გუნდს არ შეუსრულებია ამომრჩევლისთვის მიცემული არაერთი დაპირება;

– ირაკლი სესიაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს იმიტომ, რომ მისმა გუნდმა ვერ აღადგინა სამართლიანობა;

– ირაკლი სესიაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს იმიტომ, რომ მისმა გუნდმა ხალხი მოატყუა;

– იმიტომ, რომ მისმა გუნდმა ქვეყანაში სამუშაო ადგილები ვერ შექმნა;

– იმიტომ, რომ ხალხი ისევ მშიერია;

– ბოდიში გაქვთ მოსახდელი იმის გამოც, რომ პარლამენტარების, მინისტრების, მინისტრთა მოადგილეების, მერების, ვიცე-მერებისა და მოკლედ, მთელი თქვენი ნაზირ-ვეზირების ჩათვლით ჩვენი, ხალხის, ფულით ნავარდობთ;

– ბოდიში აქეთ გაქვთ მოსახდელი იმიტომ, რომ ვერ აჯობა „ქართულმა ოცნებამ“ ფუფუნების სიყვარულს და ჩააგდო კანონი, რომელიც ჩინოვნიკებისთვის პრემია-დანამატების აკრძალვას გულისხმობდა, თანაც სამუდამოდ კი არა, გარკვეული დროით;

– აქეთ უნდა მოგვიხადოთ ბოდიში, ირაკლი ბატონო, იმის გამოც, რომ საერთაშორისო ასპარეზზე „ქართული ოცნება“ ხეირიანად ვერაფერს აკეთებს და ამას თქვენი გუნდიც აღიარებს – „ნაცები“ უფრო აქტიურობენ, ვიდრე ჩვენო;

– თუმცა რომელ საერთაშორისო ასპარეზზეა საუბარი, თუ რამეს ახერხებს და ფაფხურობს „ქართული ოცნება“, სათქმელი ხეირიანად საკუთარ ხალხთანაც ვერ მიაქვს;

– იმიტომ უნდა მოიხადოთ აქეთ ბოდიში, რომ თავხედობასა და უტიფრობას მიგაჩვიათ თანამდებობებმა და რასაც იტყვით, გგონიათ, რომ იმას წყალი არ გაუვა;

– არადა, წყალი გაუვა კი არა, უკვე ათასჯერ ჩაიფსა „ქართულმა ოცნებამ“ და ამისთვისაც ბოდიში უნდა მოგვიხადოთ. რა თქმა უნდა, არ გაპატიებთ, მაგრამ მაინც...

ასე დაუსრულებლად შეგვიძლია, გავაგრძელოთ, ირაკლი ბატონო და უამრავი მიზეზი ჩამოგითვლით, კიდევ რატომ გაქვთ აქეთ მოსახდელი ბოდიში, მაგრამ დრომ აშკარად გიმკურნალათ – აღარაფერი გახსოვთ, ყველაფერი დაგავიწყდათ და ყველაფერი ფეხებზე გკიდიათ.

რა გენაღვლებათ, ცხოვრება აიწყვეთ, პარლამენტარი ბრძანდებით, ჩემო ბატონო, მარტო სტატუსი რად ღირს, როგორ ჩინებულ-დიდებულად ჟღერს, რომ აღარაფერი ვთქვათ პრივილეგიებზე, რომელიც ისევ ჩვენი, ხალხის, დამსახურებით მიიღეთ.

ისე, ირაკლი ბატონო, დრო მხოლოდ მკურნალი არ არის! დრონი მეფობენ და არა მეფენიო, გაგებული გექნებათ, ალბათ – მოგიწევთ თქვენც „ჩამოლაბორანტება“ და არ შეგრცხვებათ ხალხისთვის თვალებში ჩახედვის?! ალბათ, არა, თორემ არც მოიქცეოდით ასე!

ყოყლოჩინობა ცუდი რამეა, ძალიან ცუდი რამე და კარგს არაფერს მოგიტანთ, გაითვალისწინეთ ეს და არ დაივიწყოთ, რა იცით, რაში გამოგადგეთ!!!

**ალია**

ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-

## გადაგვრევს ეს კაცი – თქვენმა ქვედა მეზობელმა სახლის წინ ნაგავი რომ დაიყაროს, ხელი არ ახლოს, ააქოთოს მთელი სადარბაზო, მისი გატანის სურვილი არ უნდა გაგიჩნდეს?!



თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯაბა სამუშიას თქმით, მიწისქვეშა გადასასვლელების დიდი ნაწილი კერძო მფლობელებზეა გასხვისებული.

სამუშიას განმარტებით, მიწისქვეშა გადასასვლელები წინა ხელისუფლების მიერ გასხვისდა და მერიის მფლობელობაში ძალიან ცოტა გადასასვლელია დარჩენილი.

– მიწისქვეშა გადასასვლელების ძალიან დიდი ნაწილი წინა ხელისუფლების მიერაა გასხვისებული. აქედან გამომდინარე, მათ ჰყავთ კონკრეტული მეპატრონე და გვინდა, აღნიშნულმა მეპატრონეებმა ჩადებული ვალდებულებები შეასრულონ და მოუარონ გადასასვლელებს, – ასე უპასუხა ჯაბა სამუშიამ შეკითხვას, რატომ არის 2016 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტში ცარიელი გრაფა, სადაც ჩაწერილი უნდა იყოს ხარჯები, რომლითაც მომავალ წელს თბილისში მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია უნდა მომხდარიყო.

რაც შეეხება მერიის მფლობელობაში დარჩენილ მიწისქვეშა გადასასვლელებს, ჯაბა სამუშიას თქმით, მათი რაოდენობა ძალიან ცოტაა და დაფინანსება სხვა კუთხით ხორციელდება.

– მერიის მფლობელობაში ძალიან ცოტა მიწისქვეშა გადასასვლელია დარჩენილი და მათი დაფინანსება სხვა მიმართულებით მიდის, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

მიმდინარე წელს მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობისა და რეაბილიტაციისთვის თბილისის მერიას 1,2 მილიონი ლარი ჰქონდა გათვალისწინებული, ხოლო 2014 წელს ამ მიზნებისთვის 871 ათასი ლარი დაიხარჯა. (bpn.ge)

**ერთი აქეთ მოიხედეთ, კაცო, რასაა, რომ ლაპარაკობთ?! რისთვის გაქვთ თანამდებობები, მარტო პრემია-დანამატებით ჯიბეების ამოვსებისთვის? თუ ვინმე ვალდებულებებს არ ასრულებს, დააძალეთ, აიძულეთ. რა თქმა უნდა, დაძალება-იძულებაში ცხვირ-პირის მინგრევას არ ვგულისხმობთ, ჯარიმებია ამისთვის, გარკვეული სანქციები.**

**ჰო, კიდევ ერთი, თუ 2014 წელს 871 ათასი ლარი გამოყავით, წელს კი –– 1,2 მილიონი, მაგრამ იმდენად ცოტა გადასასვლელია მერიის მფლობელობაში, რომ სხვა მიმართულებიდანაც შეიძლება დაფინანსება, ეს 2 მილიონი სად და რატომღა მიაფშვენით?!**

ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა

## „უკან გაიყარეთ ნამგალი და ურო“ – ვახტანგ რჩეულიშვილს უცენზურო ლექსი მიუძღვნეს



ყოფილი დეპუტატი ვახტანგ რჩეულიშვილი „ფეისბუკში“ პოლიტიკაში ყოფნის პერიოდს და საქართველოს ძველ პოლიტიკოსებს იხსენებს. საზოგადოებას ის იმ უცენზურო ლექსის შესახებ ესაუბრება, რომელიც მას ყოფილმა დეპუტატმა, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა მიუძღვნა.

– ჯანსუღ ჩარკვიანი დეპუტატობისას კოლეგებს ხშირად გვიწერდა უცენზურო ლექსებს. მეც მომწერა „სოციალისტებზე“, რომელიც ასე მთავრდებოდა: „უკან გაიყარეთ ნამგალი და უროო“. იქვე, სესიაზე ვუპასუხე ლექსითვე: „ვინ რას იყრით ტრაქციაში, მოიკითხეთ ფრაქციაში“ (ჟვანია იყო მაშინ მმართველი პარტიის გენერალური მდივანი)...

შევარდნაძემ კი ერთხელ თავად წამიყვანა ნოდარ დუმბაძის იუბილეზე ხიდისთავში, სადაც ისე გამომათვრეს გურული ჭაჭით, რომ ოზურგეთის თეატრში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის მეგობრებად მოხსენიებისას შევარდნაძეს პირდაპირ დარბაზში ვკითხე: „რა ნიშნით ირჩევთ მეგობრებს, ბატონო ედუარდ?“ უხერხული მდგომარეობიდან თავად შევარდნაძემ გამომიყვანა: „მამათთან სიახლოვის ნიშნითო“! არასოდეს დამავიწყდება ცნობილი ქართველი მოღვაწეები, რომელთანაც პოლიტიკამ შემახვედრა, – წერს ვახტანგ რჩეულიშვილი. (plus.kvira.ge)

**ეგრე, რა, ლექსების წერით, ნამგალზე და უროზე, ტრაკებზე და ყვავებზე რომ ფიქრობდნენ პარლამენტში და ახლაც არ იკლავენ თავს ხალხზე ზრუნვით, იმიტომაც ვართ გადასარევად.**

## რამდენით ძვირდება თამბაქო და ალკოჰოლური სასმელები 1 იანვრიდან



19 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის სხდომაზე „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი განიხილეს, რომელიც 2016 წლის 1-ლი იანვრიდან თამბაქოს პროდუქციასა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის მატებას ითვალისწინებს.

კანონპროექტის მიღების მიზანია თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრება, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის ოპტიმიზაცია.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან აქციზის ფიქსირებული განაკვეთის ზრდა დაგეგმილია:

– ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერზე) – 0,20 ლარის ოდენობით;

– უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) – 0,05 ლარის ოდენობით;

– სიგარებზე ერთ ღერზე და სიგარალებზე 20 ღერზე – 0.4 ლარით;

– ყალიონით მოსაწევ და საღეჭ ან საყნოს თამბაქოზე 1 კგ-ზე – 5 ლარით.

– ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) აქციზის პროპორციული განაკვეთი იზრდება 5-დან 10 პროცენტამდე.

ასევე 2016 წლის 1-ლი იანვრიდან ვისკიზე, რომზე და ტაფიაზე, ჯინისა და ღვინის ნაყენზე აქციზის განაკვეთის 10 ლარიდან 15 ლარამდე, ხოლო სხვა ალკოჰოლურ სასმელებზე და ეთილის სპირტზე (გარდა, ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით მიღებული სპირტის ნაყენებისა, ლიქიორებისა და ზოგიერთი სხვა დაბალ ალკოჰოლური სასმელისა), აქციზის განაკვეთი გაიზრდება 10 ლარამდე.

კანონპროექტი განსახილველად საქართველოს პარლამენტს გაეგზავნება. (ghn.ge)

## „პუტინმა იცოდა პარიზის ტერაქტების შესახებ“ — კრემლის სტრატეგია: „ოპერაცია იძულებით სიყვარული“





რუსმა პოლიტოლოგმა სტალისლავ ბელკოვსკიმ რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ეთერში განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა „ისლამურ სახელმწიფოში“ თავისი ფართო კავშირების გამო პარიზში ტერაქტების შესახებ წინასწარ იცოდა. ექსპერტი საჯაროდ და ღიად ადანაშაულებს რუსეთს 13 ნოემბრის ტერაქტთან კავშირში. ანალიტიკოსის აზრით, რუსული სპეცსამსახურები კარგად არიან ინფორმირებული ისლამური სახელმწიფოს საქმიანობით, რადგან მოსკოვს, მისი ინფორმაციით, ახლო ურთიერთობები აქვს ამ ტერორისტულ ორგანიზაციასთან. ექსპერტი განმარტავს, ტერაქტის მზადების შესახებ წინასწარ მიღებული ინფორმაციის მიუხედავად, შეგნებულად თქვა უარი კონტრლონისძიებების მიღებაზე და პარიზი არ გააფრთხილა.

– ნათელია, რომ პუტინმა იცოდა პარიზის ტერაქტების შესახებ, რადგან მას ფართო აგენტურა ჰყავს „ისლამურ სახელმწიფოში“. ეს ფართო კავშირები „ისლამური სახლემწიფოს“ ხელმძღვანელობაში გაჩნდა იქიდან გამომდინარე, რომ ტერორისტულ ორგანიზაციას სამხედრო ნაწილში ბაასიტები ხელმძღვანელობენ, ანუ სადამ ჰუსეინის ხელისუფლების არმიის წარმომადგენლები. ესენი საბჭოთა კავშირთან და რუსეთთან დაახლოებული ადამიანები არიან, ანუ რუსულ სპეცსამსახურებს ფართო აგენტურული ქსელი აქვს ამ წრეში ჯერ კიდევ, ირან-ერაყის ომის დროიდან და უფრო ადრე პერიოდში. ამ ყველაფერს კი ევგენი პრიმაკოვი ხელმღძვანელობდა, – აცხადებს ბელკოვსკი და პარიზის ტერაქტების შემდეგ პუტინის ქმედებას იმ პერიოდს ადარებს, როდესაც პუტინი დაბნეული იყო.

– პარასკევს, საღამოს, პუტინი უჩვეულოდ სენტიმენტალური იყო. როგორც წესი, პუტინი დაბნეულია, როდესაც არ იცის, რა უნდა გააკეთოს და მაშინ, როდესაც არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, იკარგებოდა. კურსკი, ნორდ-ოსტი, ბესლანი – ის ამ დროს ყოველთვის სადღაც იყო დაკარგული. ახლა კი, ტერაქტიდან რამდენიმე წამში, ვრცელდება პესკოვის განცხადება იმაზე, რომ მომხდარი საშინელებაა და პუტინი ეხმიანება ამ ისტორიას. აი, ამ ტრაგიკულმა სენტიმენტალიზმმა, რომელიც ახლავს მკაცრ ადამიანებსა და ბანდიტებს, მიმიყვანა სამწუხარო აზრამდე, რომელიც შემდეგ არსებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, – აცხადებს ბელკოვსკი და ეჭვი არ ეპარება, რომ პუტინის ტაქტიკა მოსკოვის მთავარ მიზანს ემსახურება – მიზანს, რომლისკენაც რუსეთის ხელმძღვანელობა თანმიმდევრულად მიილტვის ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე. მიზანი კი შემდეგია – ძალით სიყვარული.

– მან დაუყოვნებლივ დაუკავშირა თვითმფრინავის ტერაქტი პარიზის ტერაქტს, რათა მთელი მსოფლიოსთვის ეცნობებინა, რომ კოალიცია აუცილებელია, რომ რუსეთი აუცილებლად უნდა მიიკრას გულზე მსოფლიო თანამეგობრობამ... ოპერაცია იძულებით სიყვარულზე გრძელდება... მიმაჩნია, რომ რუსეთი შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ორგანიზაციასთან, რადგან ის ფლობს ფართო აგენტურულ ქსელს „ისლამური სახელმწიფოს“ ხელმძღვანელობაში, ესე იგი, შესაძლოა, კავშირშიც იყოს, – აცხადებს ბელკოვსი და მიიჩნევს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, პუტინი ვერ შეძლებს, მიაღწიოს თავის მთავარ მიზანს – „მოლაპარაკებები რეიკიავიკში“ პრეზიდენტ ობამასთან „მსოფლიოს გაყოფის“ შესახებ. (პირველი რადიო)



## რუსეთში პანიკაა — ქრონიკული საბანკო კრიზისი მწვავე ფორმებს იძენს




რუსეთის საბანკო საზოგადოების ავტორიტეტული წარმომადგენლების აზრით, მოსალოდნელია ისეთი მასშტაბური საბანკო კრიზისის განვითარება, როგორიც ქვეყანას ბოლო 20 წლის განმავლობაში არ უნახავს. სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ აღნიშნულ კონცეფციას იზიარებენ საკმაოდ ავტორიტეტული ადამიანები.

გერმან გრეფი, რომელიც ქვეყანაში უმსხვილეს რუსეთის „შემნახველ ბანკს“ ხელმძღვანელობს და რომელიც რუსეთის „ცენტრალური ბანკის“ კონტროლქვეშ იმყოფება, ემხრობა მოსაზრებას მასშტაბური საბანკო კრიზისის შესახებ.

– არ მახსოვს, რომ ქვეყანაში ასეთი სიტუაცია ყოფილიყო, მოყოლებული 1990 წლიდან. ასეთი არ ყოფილა არასოდეს. ნებისმიერ შემთხვევაში ბოლო 20 წელი მაინც, – აცხადებს გერმან გრეფი.

გრეფს არ ეთანხმება პუტინთან დაახლოებული ბანკის ხელმძღვანელი ანდრეი კოსტინი და თავად ვლადიმერ პუტინი.

„სიტუაცია, რა თქმა უნდა, არ არის მარტივი – მაგრამ ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება“.

ყველასთვის მოულოდნელად გერმან გრეფის პოზიცია გაიზიარა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა, წარსულში „ეფესბეს“ მეთაურმა პატრუშევმა. პეტროზავოდსკში სამუშაო ვიზიტის დროს მან განაცხადა:

– ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ეკონომიკა და ქვეყნის სოციალური სფერო განიცდის მნიშვნელოვან დაძაბულობას. იკვეთება ფინანსური სისტემის არასტაბილურობის ელემენტები...

ყველაფერი კიდევ უფრო დამაბნეველი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ ოქტომბერში ვლადიმერ პუტინი აცხადებდა, რომ ქვეყანაში კრიზისის პიკი გავლილია და არაერთხელ შეაქო პერსონალურად ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი ელვირა ნაბიულინა ფინანსური სექტორის სტაბილიზაციისთვის.

მოსკოვში მცხოვრები ქართველები ადასტურებენ, რომ სოციალური კრიზისის ახალი ტალღა უკვე მოსახლეობის დონეზეც იგრძნობა. (ნიუპოსტი)


## ლეგენდარული „გზის მეფე“ — Toyota LC200 ახალ სახეს იძენს!

საქართველოში „ტოიოტას“ ორივე ოფიციალური დილერის – „ტოიოტა ცენტრი თბილისისა“ და „ტოიოტა ცენტრი თეგეტას“ შოურუმებში ახალი LC200 გამოჩნდა – ავტომობილი, რომელიც საქართველოში უკვე ბევრი წელია არა მხოლოდ კომფორტული გადაადგილების საშუალებას, არამედ ცხოვრების სტილისა და განსაკუთრებული სტატუსის ნიშანს წარმოადგენს.

Land Cruiser-ის ყოველი ახალი თაობა ამ მოდელის 60-წლიან ისტორიას ეფუძნება და იდეალურად ითავსებს საყოველთაოდ აღიარებულ საიმედოობას, სიმტკიცესა და ხარისხს. გარდა ამისა, მოდელის ყოველი განახლებული ვერსია მძღოლისა და მგზავრების კომფორტის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას ემსახურება.

ამ თვალსაზრისით ახალი LC200 საუკეთესოდ აგრძელებს წლების მანძილზე კანონზომიერებად ქცეულ ტრადიციებს.

**ამჯერად, მოდელის თაყვანისმცემლებს სასიამოვნო სიურპრიზები ავტომობილის ექსტერიერშიც და ინტერიერშიც ელით.**



განახლებულმა LC200-მა მიიღო რადიატორის უფრო მასიური ცხაურა, შეიცვალა წინა ოპტიკა და უკანა სანათები და ბამპერი, რამაც ავტომობილს კიდევ უფრო აგრესიული და თავდაჯერებული იერი მიანიჭა.

საკმაოდ მნიშვნელოვნადაა შეცვლილი წინა პანელი: ცენტრში გაჩნდა 9-დუიმიანი ფერადი სენსორული მონიტორი, ცენტრალურ პანელზე კი – ტელეფონის უსადენო დამტენი.

შეიცვალა, აგრეთვე, ინსტრუმენტების პანელიც, რომლის ცენტრშიც ახალი 4,2-დუიმიანი ეკრანი განთავსდა.

ავტომობილს აქვს 4 კამერისგან შემდგარი წრიული ხედვის სისტემა, რომელიც შეუცვლელია უგზოობაზე მოძრაობისას. აღმართზე ასვლისას კი ძალზე მოსახერხებელია ფართოკუთხოვანი კამერის გამოყენება, რომელიც ბორბლების ქვეშ მდგომარეობის კონტროლის საშუალებას იძლევა.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ახალი მოდელის გაუმჯობესებული ეკოლოგიური მაჩვენებლები გამონაბოლქვის შემცირებული მახასიათებლებით ევრო 4-ის სტანდარტის შესაბამისად.

ამჟამად საქართველოში LC200 წარმოდგენილია 4.0 და 4.6-ლიტრიანი ბენზინის ძრავებით და 4.5-ლიტრიანი დიზელის ძრავით, რომელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით დიზელის მოდელი სარგებლობს. ამ ავტომობილის ეკონომიურობა და მაღალი მაბრუნებელი მომენტი მას რეგიონის უდავო ბესტსელერად აქცევს. „ტოიოტას“ აღიარებული ხარისხი და სანდოობის მაჩვენებლები კი მეორად ბაზარზეც LC200-ზე მუდმივ მაღალ მოთხოვნას უზრუნველყოფს.

**ახალი LC200-ის შეძენა მომხმარებელს „ტოიოტას“ ორივე ოფიციალურ დილერთან — „ტოიოტა ცენტრი თბილისსა“ და „ტოიოტა ცენტრი თეგეტაში“ უკვე შეუძლიათ.**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# „რუსეთი მსოფლიოს აჩვევს აზრს, რომ საქართველოში ხვალ რომ გაჩნდეს ორი ტერორისტი, შევალ ჯარით და გავანადგურებ ტერორისტებსო... ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივაციით, კვლავ დაგვბომბავენ, აგვრევ-დაგვრევენ, როგორც უნდათ!“

სირიის კრიზისმა გამოკვეთა მსოფლიოში მთავარი მოთამაშე და ეს არის რუსეთი. მეორე პლანზე გადაიწია უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა, დღეს უკვე აღარავინ სკანდირებს ევროპასა თუ დასავლეთში „სტოპ რაშენ!“ ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი პუტინს განიხილავს, როგორც მთავარ მოკავშირეს. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა განმარტა, რომ მათ სხვა გზა აღარ რჩებათ, გარდა იმისა, რომ იძულებითი აუცილებლობიდან გამომდინარე, მოკავშირის რანგში განიხილონ ვლადიმერ პუტინი და რა ხდება ამ კუთხით საქართველოში, იმ ფონზე, როცა რუსეთი მუდმივად მიიჩნევდა საქართველოსა და ჩინეთს, როგორც ყველაზე საშიშ ქვეყნებს, საქართველოს არა იმიტომ, რომ მას აქვს ატომური ბომბი, ბოლო თაობის იარაღი ან ჯარი, რომელიც რუსეთს დაიპყრობს, არამედ საქართველო არის რუსეთის ზურგი და ყველა საშიშროებაც სწორედ აქედან ეგულება. რუსეთი იმპერიალისტია და მას სურს, აღიდგინოს ძალაუფლება, გავლენები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და ნებით თუ უნებლიეთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს ხელს უწყობს და დღითი დღე უფრო მკაცრდება პუტინის რიტორიკა, რომ ის არ დაუშვებს თავის საზღვრებთან ნატოს ჯარებს. ახლა უფრო აქტუალური ხდება საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერების პოზიცია. რამდენიმე ხნის წინ, სანამ საფრანგეთი ტერორისტების სამიზნე გახდებოდა, საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განცხადება გააკეთა, რომ ნატოში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს უარი უნდა ეთქვათ. საინტერესოა, როგორი იქნება დღეს საფრანგეთის პრეზიდენტის პოზიცია მაშინ, როცა ის პუტინს შესცქერის, როგორც თავის მთავარ მოკავშირეს. გაიცვლება თუ არა საქართველო ამ გლობალურ თამაშში და დაგვტოვებს თუ არა დასავლეთი რუსეთთან პირისპირ?



„,არათუ ხიდაშელი, შეიძლება მთლიანად მთავრობა წავიდეს“



„,არ გამოვრიცხავ, მოხდეს ძალიან დიდი საკადრო ცვლილებები, ბიძინა ივანიშვილს სჭირდება ეს იმიტომ, რომ ამ ხელისუფლების წარუმატებლობა ვიღაცას დააბრალოს, ხალხმა დაიჯეროს, თურმე ივანიშვილს სხვანაირად ნდომებია და ხელისუფლებამ სხვანაირად გააკეთაო“



„,საფრანგეთსა და გერმანიას გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს ნატოში, გამომდინარე აქედან, რუსეთთან მოლაპარაკების დაწყება ნიშნავს იმას, რომ საქართველო და უკრაინა დაემშვიდობებიან ნატოში გაწევრიანების ოცნებებს“



**„კვირის ქრონიკასთან“ ინტერვიუში იურისტი ვალერი გელბახიანი ამ საკითხთან დაკავშირებით აცხადებს:**

– რუსეთის სტრატეგიულ კვლევებში ყველგან ერთი დასკვნაა, რომ საქართველო არის ყველგან ერთი საფრთხის შემცველი რუსეთისთვის, საიდანაც შესაძლოა მოხდეს ტერორისტების გადინება, ამიტომ რუსეთის ინტერესის საგანს სამხრეთ კავკასიაში არც ნავთობი, არც ოქრო და არც სხვა წიაღისეული არ წარმოადგენს, მისი ინტერესია იმ საფრთხეების თავიდან აცილება, რომელიც მას კავკასიიდან ელოდება. ამიტომ რუსები ყოველთვის შეეცდებიან, სამხრეთ კავკასია იყოს მათი კონტროლის ქვეშ, განსაკუთრებით ეს სურვილები გაძლიერდება იმ ფონზე, როცა ტერორისტული საფრთხეები მატულობს, შემთხვევით არაფერი ხდება. სირიის მოვლენებმა გამოიწვია ის ტრაგედია, რაც ჩვენ 13 ნოემბერს პარიზში ვნახეთ, თუმცა ამ გლობალურ ტერაქტებამდე ამერიკელი ექსპერტები წერდნენ, რატომ იყო რუსეთი დაინტერესებული სირიის რეჟიმის შენარჩუნებით. ამბობდნენ, რომ რუსეთს სირიაში არ ჰქონდა ეკონომიკური ინტერესი, მისი ინტერესი სულ სხვა რამ იყო. არსებობდა ამაზე მრავალი მოსაზრება, ექსპერტები თითქმის თანხმდებოდნენ, რომ რუსეთის ინტერესი სირიაში შესაძლებ-

ლია ყოფილიყო ის, რომ ტერორისტების გადინება მომხდარიყო არა რუსეთისკენ, არამედ დასავლეთ ევროპისკენ. ამიტომაც სირიაში, იქ, სადაც ტერორისტული კერებია, რუსეთს თავისი სამხედრო ბანაკები აქვს განთავსებული, რომ ტერორიზმთან ბრძოლა მათთვის ხელმისაწვდომი და რეალური ყოფილიყო. ამიტომ რუსეთი შეეცადა სირიის კრიზისის გაღრმავებას და ამიტომ ეს პროცესი არ დაასრულებინა დასავლეთს, არც ევროპას და არც ინგლისს. არ დაასრულებინა იმიტომ, რომ ეს პროცესი გამხდარიყო უკონტროლო და ასეც მოხდა. ძალიან დიდი მიგრაცია მოხდა ევროპის მიმართულებით, 7 მილიონამდე ადამიანია ერაყიდან და სირიიდან ევროპაში შესული, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა განგაში ატეხეს, ემიგრაციის კანონები გაამკაცრეს, ფრანგებმა ამაზე ყური არ შეიბერტყეს. ბუნებრივია, საფრანგეთმა ღია კორიდორის როლი შეასრულა, სადაც ეს საშინელი ტერაქტები მოხდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ადგილობრივმა მუსლიმანმა ტერორისტებმა მიიღეს ამაში მონაწილეობა. გლობალურად რომ შევხედოთ საკითხს, რუსეთის სასარგებლოდ ვითარდება მოვლენები. ევროპა დღეს უკვე მიხვდა, რომ თუ რუსეთთან არ დალაგდა ურთიერთობები, თუ ნატო წყალგამყოფია რუსეთთან და მასთან არ ითანამშრომლებს, ისინი ამ პრობლემას მარტო ვერ გაუმკლავდებიან. რა პროცესებიც სირიაში მიმდინარეობს, ნებით თუ უნებლიეთ, ამან რუსეთის წისქვილზე დაასხა წყალი. საფრთხეები, რაც ისლამურმა სახელმწიფომ წარმოქმნა ევროპაში, ამ ტერაქტებით არ დასრულდება, ალბათ, ამას ბევრი რამ მოჰყვება. აქედან გამომდინარე, საფრანგეთის ლიდერი, რომელიც საუბრობდა, რომ ნატოში ახალი წევრი ქვეყნების მიღება არ შეიძლება და ნატოს კარი უნდა დაიხუროს, დღეს უფრო აქტუალური გახდება. ის ამ განცხადებას რომ აკეთებდა, პირველ რიგში უკრაინასა და საქართველოს გულისხმობდა. როგორც ვხედავთ, უკრაინიდან მიწოდებული იარაღი ტერორისტების ხელში აღმოჩნდა, ეს ნიშნავს, რომ უკრაინაში არის უკონტროლობა, ამიტომ, საერთაშორისო მოვლენების მიხედვით, რუსეთის როლი კიდევ უფრო გაიზარდა და რუსეთის ლიდერთან დალაპარაკება კიდევ უფრო აქტუალური გახდა დანარჩენი სამყაროსთვის. თუ რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავების გზით წავიდა ევროპა, მაშინ რუსეთი კვლავ გახდება ევროპული ეკონომიკის აქტიური მონაწილე...

**— ჩვენ რა გვეშველება, ამ ფონზე რა პოზიცია უნდა დავიკავოთ?**

– ჩვენ საერთოდ დიპლომატიური კავშირი გვაქვს გაწყვეტილი რუსეთთან. რუსეთი ამბობს ღია ტექსტით, იმ ქვეყანაში, სადაც იქნება ტერორისტი, რომელიც რუსეთს საფრთხეს შეუქმნის, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ქვეყანა შორია თუ ახლო, მივალთ და დავადუღებთ ყველაფერს. აქედან გამომდინარე, რუსეთი მსოფლიოს ყურს უხედნის, რომ თუნდაც საქართველოში ხვალ გაჩნდეს ორი ტერორისტი, შევალ ჯარით და გავანადგურებ ტერორისტებს. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივაციით, კვლავ დაგვბომბავენ, აგვრევდაგვრევენ, როგორც უნდათ. მაგრამ ახლა საკითხავია, ჩვენ როგორ მოვიქცეთ, ისევ ჟენევის ფორმატში გავაგრძელოთ რუსეთთან მოლაპარაკება? კარასინი-აბაშიძის დონეზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ვერ დალაგდება.

**— მსოფლიოს გადანაწილების ახალი პროცესი იწყება, ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი მთავარი პარტნიორია დანარჩენი სამყაროსთვის, ცივილიზებული სამყაროსთვის, ვინც ტერორიზმის წინააღმდეგ იბრძვის. გაიცვლება თუ არა სამხრეთ კავკასია რუსეთის სასარგებლოდ?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, ფრანსუა ოლანდმა ტერაქტამდე გააკეთა განცხადება, რომ საფრანგეთი მხარს არ დაუჭერს ნატოში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს, ეს მან თქვა მშვიდობიან პერიოდში. ოლანდია ინიციატორი რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებისა, ეს კიდევ უფრო ამძიმებს ჩვენს ვითარებას ნატოსთან მიმართებაში. რამდენადაც საფრანგეთსა და გერმანიას გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ ნატოში, გამომდინარე აქედან, რუსეთთან მოლაპარაკების დაწყება ნიშნავს იმას, რომ საქართველო და უკრაინა დაემშვიდობებიან ნატოსთან გაწევრიანების ოცნებებს. ეს ცუდია თუ კარგი, საკითხის სხვა მხარეა, მაგრამ ის, რომ ევროპა უკვე იძულებული გახდა რუსეთის მოსაზღვრე ფარგლებთან ურთიერთობები არ გაამწვავოს, ეს ცხადზე ცხადია.

**— 15 დეკემბერს საქართველო ელოდება ევროკავშირის გადამწყვეტ ხმას, მოგვცემენ თუ არა ვიზალიბერალიზაციას. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „ნაცმოძრაობის“ ლიდერები მავნებლობენ და ევროჩინოვნიკებს ეუბნებიან, რომ ამ ხელისუფლების პირობებში საქართველოს არ უნდა მისცენ ვიზალიბერალიზაცია, თუმცა რეალურად რომ ვთქვათ, მესამე ომის პირისპირ მდგარი მსოფლიო, რომელის თავის ტკივილიც გახდა „ისლამური სახელმწიფო“, საქართველოს ვიზალიბერალიზაციას მიანიჭებს?**

– ვიზალიბერალიზაციის საკითხის დადებითად გადაწყვეტას ეს პროცესები ხელს შეუშლის. გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის ბოლოდროინდელ განცხადებებს თუ დააკვირდებით, ხაზგასმით ამბობს, რომ გასამკაცრებელია საემიგრაციო კანონი. ეს ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ ევროპა არა თუ ლიბერალიზაციის მიმართულებით გადადგამს ნაბიჯებს, არამედ შეზღუდავს მთლიანად ასეთი ქვეყნებიდან შრომითი ნაკადების შედინებას.

**— როგორ ფიქრობთ, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ტერორისტების სამიზნე გახდება საქართველო?**

– საქართველო ტერორიზმისთვის საინტერესო რეგიონი არ გახლავთ, იმდენად, რამდენადაც რუსეთის ფაქტორები თამაშობს ძალიან დიდ როლს. არც ერთ ტერორისტს არ სურს რუსეთი ჰყავდეს მადევრის როლში, თუმცა ისლამური სახელმწიფოს განცხადების ერთ-ერთი ობიექტი კავკასიაც იყო, კავკასიაშიც ცენტრად ითვლება საქართველო და ჩემში მოხდა ასოცირება, რომ ისლამურმა სახელმწიფომ კავკასიაში იგულისხმა საქართველო. რა თქმა უნდა, საქართველოში უნდა გაძლიერდეს უსაფრთხოების ზომები, უნდა გამკაცრდეს ადმინისტრაციული ზომები მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა მიექცეს, რომელი ქვეყნიდან რა კონტინგენტი შემოდის და საეჭვო ქვეყნებიდან შემოსული პიროვნებების ბიოგრაფიები უნდა მოიკითხონ. გასულ წლებში ძალიან ბევრი ადამიანი შემოვიდა ირანიდან, ერაყიდან, არ ვიცი, სირიიდან შემოსულები არიან თუ არა, მაგრამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ამ საკითხს და გაამკაცრონ აღმოსავლეთ ქვეყნებიდან კონტინგენტის შემოდინება. ვინაიდან კავკასია ერთ-ერთ შტურმის ობიექტად იყო მოხსენიებული „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან, ბუნებრივია, ყველაზე მეტად საქართველომ უნდა გაამკაცროს აღმოსავლეთ ქვეყნებიდან ემიგრაციის საკითხი.

**— შიდა დაძაბულობა, არეულობა, ხელისუფლების შტოებს შორის დაპირისპირება, შეუწყობს თუ არა ხელს დაინტერესებულ ძალებს მიზნის მიღწევაში და ეს შიდა დაძაბულობა არის თუ არა მთავარი საფრთხე ჩვენი ქვეყნისთვის?**

– თქვენს კითხვაში დევს პასუხი. როდესაც მტრები ხედავენ, საქართველოში პოლიტიკური უწესრიგობაა, შიდა არეულობაა, დაულაგებელი ურთიერთობებია, რაც ბავშვურ თამაშს ჰგავს, ასეთი ვითარება მტრისთვის ყოველთვის ხელსაყრელია. ამ შემთხვევაში, ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია გააღრმავოს დაპირისპირება. ტერაქტიც არ არის საჭირო, შეიარაღებული ჯგუფიც რომ გამოჩნდეს, ისიც კი გააღრმავებს ამ კონფლიქტს და არ გქონდეს ილუზია, რომ ამ საფრთხის გამო ხელისუფლება ერთ მუშტად შეიკვრება, რადგან ერთის ინტერესში შედის, დამარცხდეს პრეზიდენტი, მეორეს ინტერესშია – დამარცხდეს პრემიერი. აქედან გამომდინარე, ამ დაპირისპირებებით ვიღაც ისარგებლებს. წარმოიდგინეთ, რა ხდება. პრეზიდენტს, რომელსაც აქვს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, მოიწვიოს უშიშროების საბჭო, იქ არ მიდის მთავრობა. ამას ახსნა არ აქვს. ასეთი პროცესები კი ხელს აძლევს ყველას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ არის ჩასაფრებული.

**— ამბობთ, რომ გეოსტრატეგია იცვლება რუსეთის სასარგებლოდ, ამ ფონზე, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი შეინარჩუნებს პოსტს?**

– არათუ ხიდაშელი, შეიძლება მთლიანად მთავრობა წავიდეს. თუ დასავლეთი დათმობს საქართველოზე გავლენას, ცხადია, დომინანტი ხდება მთლიანად რუსეთი და რუსეთიდან წამოვა ყველა დირექტივა და მოვა ისეთი ხელისუფლება, რომელიც დასავლურ ელემენტებს არ დაუშვებს. ჯერჯერობით აშკარად არაფერი შეინიშნება, რადგან ამ ეტაპზე მიდის დიდი პოლიტიკური თამაშები და ძალიან სწრაფი ტემპით, ამერიკას 2016 წელს ჩვენთვის კი არა, დანარჩენი მსოფლიოსთვის არ ეცლება, რადგან თავისი საპრეზიდენტო არჩევნები აქვს ჩასატარებელი, თუ ამერიკა ევროპულ გადაწყვეტილებებს ანგარიშს გაუწევს რუსეთის სასარგებლოდ, ბუნებრივია, საქართველოში პოლიტიკური კლიმატი შეიცვლება, შეიცვლება პოლიტიკური ვექტორები. არათუ შეიცვლება, არამედ დიამეტრალურად გადანაწილდება, რომელიც არ დაუშვებს ნატოსკენ და დასავლეთისკენ ყურებასაც კი.

**— ამ ფონზე პაატა ბურჭულაძის პოლიტიკური გააქტიურება შეიძლება, რუსეთის ინტერესებს დავუკავშიროთ?**

– არა... მე რასაც ვუყურებ, მან ისეთი საკადრო სელექცია დაიწყო, ველარ ვხვდები, რომელ ორბიტაზე ტრიალებს. მან უფრო დასავლური მიმართულების ხალხი აკრიფა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი იმუშავებენ „ნაციონალების“ ელექტორატზე.

**— არჩევნების მოახლოებასთან ერთად ხომ არ გაიზრდება აქციების მასშტაბი?**

– თუ მთავრობა ფიქრობს, არჩევნებს გააყალბებს ისე, როგორც ეს მოხდა შუალედურ არჩევნებზე საგარეჯოში, ცრუ წარმოდგენა აქვს. ახლავე ვაცხადებ, რომ 2016 წლის არჩევნები ჩაიშლება, ხელისუფლების ბედი გადაწყდება ქუჩაში, თუ ახლავე არ დაიწყო „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო გარემოს საკანონმდებლო დონეზე შეცვლა. თუ ხელისუფლება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებებს არ განახორციელებს, ჩვენ ვნახავთ გაზაფხულზე ფართომასშტაბიან აქციას, სადაც ულტიმატუმის დონეზე წაუყენებენ ამ საკითხს. ჩვენ გვინახავს, როგორ მთავრდება საქართველოში ასეთი აქციები და რა ფორმებს იღებს. ხელისუფლება მიიღებს რევოლუციას. გაზაფხულამდე არ გამოვრიცხავ, მოხდეს ძალიან დიდი საკადრო ცვლილებები, ბიძინა ივანიშვილს სჭირდება ეს იმიტომ, რომ ამ ხელისუფლების წარუმატებლობა ვიღაცას დააბრალოს, ხალხმა დაიჯეროს, თურმე ივანიშვილს სხვანაირად ნდომებია და ხელისუფლებამ სხვანაირად გააკეთაო. სხვაგვარად ხელისუფლებას რესურსი არ აქვს, რომ არჩევნები მოიგოს. არსებობს სისხლის გადასხმის ტექნოლოგიები, ვიღაცას წარუმატებლობა გადააბრალო და ახალი სისხლით შეავსო. ამიტომ არ გამოვრიცხავ, მოხდეს ხმაურიანი გადაყენება როგორც თბილისის მერის, ასევე მთავრობის.



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

**116-ე სკოლის ყოფილი პედაგოგი, დათო ფერაძე, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მწვავედ აკრიტიკებდა, წინა კვირას სკოლიდან გაათავისუფლეს. მას სკოლის დირექციამ განთავისუფლების მიზეზად 5 დისციპლინარული გადაცდომა დაუსახელა, რაც, მინისტრის ბრძანების თანახმად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი ხდება.**

**„კვირის ქრონიკას“ „პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი, 116-ე სკოლის ყოფილი პედაგოგი, დათო ფერაძე ესაუბრა:**

# „სანიკიძისნაირი ურცხვი და ბოროტი მინისტრი მსოფლიოში არ მეგულება!“



– სანიკიძისნაირი ურცხვი და ბოროტი მინისტრი მსოფლიოში არ მეგულება. როგორც არ უნდა განზე გადგეს, როგორც არ უნდა „დააიგნოროს“ ეს სიტუაცია, ჩემს საკითხთან დაკავშირებული ყველა ქსელი მასთან იყრის თავს და რაღა თქმა უნდა, ეს დაშვებულია ღარიბაშვილის ვიზირებით.

**— სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს უშუალოდ თქვენს საკითხში უწყების ჩარევას და ამბობს, რომ გადაწყვეტილება სკოლამ მიიღო...**

– სანიკიძეს ძალიან სურს, რომ პრობლემა მხოლოდ კონკრეტული სკოლისა და მასწავლებლის კონფლიქტის ასპექტში გამოჩნდეს, მაგრამ ეს ასე არაა. ეს არის ჩემი და განათლების სამინისტროს, ჩემი და მთავრობის კონფლიქტი და კონფლიქტის წინაპირობაა ჩემი ბრძოლა პედაგოგების კეთილდღეობისთვის, მოსწავლეების ნორმალური განათლებისთვის. ამ კონფლიქტს აქვს ეს სახე და ეს ყველამ იცის. ხელისუფლებამ, სანიკიძემ დამსაჯა სიმართლის თქმისთვის, მხილებისთვის, კრიტიკისთვის. აი, ესაა ჩვენი დემოკრატია და თუ ვინმეს სჯერა, რომ ეს დევნა განხორციელდა კონკრეტულ სკოლაში, ძალიან სერიოზულად ცდება.

**— იმაზეც კი იყო საუბარი, რომ თქვენ ამ მოსწავლეებს სკოლის წინააღმდეგ ამხედრებთ და საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებთ.**

– ძალიან შეურაცხყოფილად გრძნობენ მოსწავლეები თავს, როდესაც მათზე ამბობენ, რომ თითქოს მათ მე ვიყენებ. ძალიან სწყინთ ეს და ამასაც მორიგ ძალადობად განიხილავენ. რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, – ჩვენ, რა, ვერ ვაზროვნებთ? როგორ შეიძლება, ვინმემ გამოგვიყენოს, თუ ჩვენ არ გვინდაო, ამბობენ ისინი.

**— რამდენიმე დღეა, პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილობას მიმართავთ. გამოიღო რაიმე შედეგი ამ თქვენმა პროტესტმა?**

– სამდღიანმა გამაფრთხილებელმა აქციამ გარკვეული შედეგი გამოიღო – მთელმა ქვეყანამ დაინახა, სიმართლისთვის რომ ვიდევნები, რომ ჩემი განთავისუფლება სანიკიძის ინიციატივაა, რომ 116-ე სკოლის არაპროფესიონალი ხელმძღვანელი, სწორედ ჩემი გაშვების მიზნით გადირექტორდა და მივაღწიეთ იმასაც, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოს ღია და საჯარო სხდომა გაიმართება, სადაც მედიას შეეძლება, დაესწროს. აი, მანდ აუცილებლად უნდა გაბათილდეს ჩემზე შეთითხნილი ცრუ ბრალდებები და ჩემი განთავისუფლების ბრძანება. ამ ყველაფერს კი აუცილებლად გავხდი საჯაროს.

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

# მშობელი: „23-ე სკოლაში მასწავლებლები ბავშვებზე ფიზიკურად ძალადობენ“

**რამდენიმე დღის წინ, ქალბატონი დაგვიკავშირდა და გვითხრა, ძალიან სერიოზულ თემაზე მინდა გესაუბროთო და გვთხოვა, საჯაროდ ნუ დაწერთ, არ მინდა ჩემს შვილს გადაეკიდონო... ქალბატონის თქმით, საქმე ეხება უზნაძის ქუჩაზე მდებარე ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე სკოლას, სადაც მისი შვილი სწავლობს. არ მალავს, რომ ცელქი ბავშვი ჰყავს, თუმცა სკოლის მასწავლებელთა ნაწილი მხოლოდ მის შვილთან კი არა, სხვა ბავშვებთან მიმართებაშიც იყენებს, ასე ვთქვათ, დასჯის ისეთ მეთოდებს, როგორიც თმის მოწიწკნა, წამორტყმა, გაკვეთილზე სკოლის დერეფანში გაგდება... თუმცა ეს ყველაფერი არ არის:**

– ჩემი შვილი მაგ სკოლაში დადის და პირველი, რაც თვალშისაცემია – შენობა გარედანაც და შიგნიდანაც მოუწესრიგებელი და მოუვლელია. დერეფანში საპირფარეშოს სუნი დგას. ადრე დამლაგებლები ზეთით მაინც წმენდდნენ იატაკს, ახლა აღარც ამას აკეთებენ. როგორც ვიცი, დაბალ კლასებში დამლაგებლისთვის ფულიც გროვდება მშობლებისგან, რომ დაალაგოს. სკოლები რემონტდება და ამ სკოლას არ დაადგა საშველი. ახლა მთავარი – პედაგოგების დამოკიდებულება ბავშვების მიმართ. მათი ნაწილი შეუფერებელი სიტყვებით მიმართავს ბავშვებს, ხელით ეხება. ბავშვები იძახიან ხოლმე – ხელი მომიჭირა, წამომარტყა. კი, გასაგებია, შეიძლება ცელქები არიან, მაგრამ მასწავლებლის უფლებებში არ შედის ის მოქცევა, როგორც ისინი ბავშვებს ექცევიან.

— **ანუ სკოლის პედაგოგთა ნაწილი ბავშვებზე ფიზიკურად ძალადობს?**

– კი, კი. მე ჩემს ამბავს გეტყვით: ბიჭი დამყავს მაგ სკოლაში, ძალიან ცელქია და როცა მასწავლებელი გაკვეთილზე ვერ იმორჩილებს, გამოსავალს იმაში პოულობს, რომ გარეთ, დერეფანში აგდებს. არც ისეთი მობილიზებული მანდატურები ჰყავთ, რომ ვიცოდე, ბავშვს ყურადღებას მიაქცევენ. ვიცი, რომ ამას წინათ, რამდენიმე ბავშვი გამოაგდეს დერეფანში, ესენი სარდაფში ჩავიდნენ და რაღაცები იმაიმუნეს. რამე რომ დააშავოს, მერე რა ვქნა?! მე ვიცი, რომ ბავშვი კლასშია და ამ დროს, თურმე გარეთაა.

— **სკოლის დირექციას არ მიმართეთ ამ ყველაფრის შესახებ?**

– შარშან შევედი დირექტორთან (ნაბახტეველია გვარად) და გავაფრთხილე, არ მომწონს, ასე რომ ხდება, მეშინია-მეთქი. შარშან მესამე სართულზე უტარდებოდათ გაკვეთილები, ფანჯრები ილეწოდა და არ გადავარდნენ, ხელი არ ჰკრან ერთმანეთს-მეთქი და რეაქცია არ ჰქონიათ ამაზე. ჩემს შვილს წინა დამრიგებელმა, 1-4 კლასამდე ვინც ჰყავდა, ერთხელ ისე უჩქმიტა ლოყაზე, ჩაქცევა ჰქონდა, ზურგზეც უჩქმიტა, სულ ჩაწითლებული ჰქონდა ბავშვს ზურგი. მივედი და ვერაფერი დავუმტკიცე, მე არ მიქნია ეგ, ალბათ, ბავშვებმა ერთმანეთს ატკინესო, არაფრით აღიარა, მაგრამ სხვა ბავშვები იძახდნენ, – დავინახეთ, რომ უჩქმიტა და წამოარტყაო. იმ ქალმა დატოვა უკვე სკოლა, ასაკში იყო, მაგრამ ასეთი რაღაცები ისევ გრძელდება. არიან მასწავლებლები, რომლებიც კლასს გადასარევად იმორჩილებენ, გაკვეთილებიც მშვიდად და კარგად ტარდება, მაგრამ ნაწილი ამას ვერ ახერხებს და ბავშვებს გარეთ აგდებენ.

— **კონკრეტულად, რომელიმე მასწავლებლის ვინაობა შეგიძლიათ, მითხრათ?**

– ჩემი ბავშვი, მაგალითად, ფრანგულის მასწავლებელზე ამბობს – გელაშვილია გვარად და თმების მოწიწკნა, თავში წამორტყმა ახასიათებს. ერთ ფაქტს გეტყვით: რუსულის მასწავლებელმა გაკვეთილზე კარალიოკი ჭამა და ეს მაშინ, როცა, ბავშვების თქმით, მათ შესვენებაზე ჭამა რომ ვერ მოასწრეს, ნაყიდი ლობიანი და სხვა რაღაცები სანაგვე ურნაში ჩააგდებინა! სკოლა სკოლას არ ჰგავს, დირექტორი არ არის მოწოდების სიმაღლეზე, მასწავლებლებიც მოშვებულები არიან. როგორც ამბობენ, დირექტორსა და მის მოადგილეს მიჰყავთ სკოლა თავიანთ ჭკუაზე. ამას წინათ იყო ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთ ასაკოვან მასწავლებელს ჩამოართვეს გაკვეთილის საათები და ამის გამო, მასწავლებელმა იმდენი ინერვიულა, გულმა დაარტყა და პირდაპირ სკოლის დერეფანში გარდაიცვალა!

— **რა საშინელებაა! და სხვა მშობლები რას ამბობენ?**

– ყველას პრეტენზიები აქვს. კრებიდან რომ მოვდივარ ხოლმე, სულ უკმაყოფილება მესმის. რამდენჯერმე ვცადეთ დირექტორთან შესვლა, მაგრამ ასე გვიცილებენ თავიდან – ყველა მშობლის ხელმოწერაა საჭირო, სხვაგვარად ვერაფერს გავხდებით, მაშინ განათლების სამინისტროში უნდა მიხვიდეთო. მე იმისიც მეშინია, ბავშვს არ გადაეკიდონ, იყო შემთხვევა, ბავშვებს გადაეკიდნენ, კლასი დაშალეს და იძულებულები გახადეს, სხვა სკოლაში გადასულიყვნენ. არადა, მე აქვე ახლოს ვცხოვრობ სკოლასთან და რატომ უნდა გადავიყვანო სხვა სკოლაში? ტერიტორიულად აქვე ვართ და მაწყობს ეს სკოლა. კიდევ ერთი ქართულის მასწავლებელია, ბაზაძე, რომელიც თავის ჭკუაზე ატარებს გაკვეთილებს. ბავშვებს „ახალი აღთქმის“ სწავლას აძალებს და ნიშანს არ უწერს, სანამ არ ჩააბარებენ. წიგნის მესამედი არ აქვთ ჯერ გავლილი, როცა სხვა კლასებში, ლამის, შუაში არიან უკვე მისულები.

— **რელიგია დღეს აღარ შედის სასკოლო პროგრამაში და კლასგარეშედ ავალებს მის სწავლას?**

– არა, ამას ოფიციალურად მოითხოვს. მე დავუჯექი ჩემს შვილს, ამოვუწერე, რაც საჭირო იყო, რომ ესწავლა და ნიშანი მიეღო, მაგრამ გაუჭირ-






**„რუსულის მასწავლებელმა გაკვეთილზე კარალიოკი ჭამა და ეს მაშინ, როცა, ბავშვების თქმით, მათ შესვენებაზე ჭამა რომ ვერ მოასწრეს, ნაყიდი ლობიანი და სხვა რაღაცები სანაგვე ურნაში ჩააგდებინა!“**

**„ერთ-ერთ ასაკოვან მასწავლებელს ჩამოართვეს გაკვეთილის საათები და ამის გამო, მასწავლებელმა იმდენი ინერვიულა, გულმა დაარტყა და პირდაპირ სკოლის დერეფანში გარდაიცვალა!“**

**„რომელიღაც ბავშვმა მის სკამს წებო წაუსვა, ამ მასწავლებელმა რატომღაც ჩემს შვილს დააბრალა და უთხრა, — დაიჩოქე კლასის წინ და ბოდიში მომიხადეო(!). არადა მთელმა კლასმა იცოდა, ვინ ჩაიდინა ის საქციელი“**

*თემის გაგრძელება მე-9 გვერდზე*

და, ვერ ისწავლა, არ არის მაღალ კლასში. ასაკს რომ არ შეეფერება, ისეთი რაღაცების სწავლას აძალებს ბავშვებს. ამას გეუბნებით, როცა მეხუთე კლასში იყო ბავშვი. ერთი ინციდენტი მოხდა: რომელიღაც ბავშვმა მის სკამს წებო წაუსვა, ამ მასწავლებელმა რატომღაც ჩემს შვილს დააბრალა და უთხრა, – დაიჩოქე კლასის წინ და ბოდიში მომიხადეო(!). არადა, მთელმა კლასმა იცოდა, ვინ ჩაიდინა ის საქციელი, მაგრამ არ გათქვეს და ჩემს შვილზე გადატყდა ჯოხი. რატომ უნდა მოახდევინოს ბოდიში ჩემს შვილს სხვისი დანაშაულის გამო? ამის გამო მივედი მასთან საყვედურის სათქმელად, მაგრამ არ ვიცი, როგორი აგიტატორია ეს ქალი, ვერაფრით ავუხსენი, რა მაწუხებდა. კიდევ: გაკვეთილები ისე ცუდად არის გადანაწილებული, ერთმანეთს „ეჯახებიან“ და ბავშვები დაბლა ჩაჰყავთ, გაკვეთილს უტარებენ იქ, სადაც ნესტია, ცუდი სუნი დგას. ერთი კვირის წინ დამირეკეს და მითხრეს, – ერთმა ბავშვმა გონება დაკარგაო. არ ვიცი, თავს ვერ დავდებ, რომ იმ სუნის და სინესტის გამო წაუვიდა მაინცდამაინც გული, მაგრამ ფაქტია, რომ, როცა დაბლა ჩაუტარდათ გაკვეთილი, მაშინ დაკარგა გონება. სხვა ბავშვებიც წუწუნებენ, ცუდად ვხვდებითო. დამრიგებელი ყველანაირად გვიდგას მხარში, ცდილობს, მოგვიგვაროს, რასაც ვეუბნებით ხოლმე, მაგრამ ეს გოგოც ვერაფერს ხდება. მოკლედ, უპატრონო სკოლაა, რა...

საუბრიდან მალევე აღნიშნულ სკოლაში დირექციის კოორდინატების გასაგებად სპეციალურად წავედი. მიუხედავად იმისა, რომ კვირა დღე იყო, სკოლის წინ ახალგაზრდები მაინც იდგნენ და რამდენიმე მათგანი (მათ შორის, გოგონებიც), სიგარეტს პირდაპირ სკოლის შესასვლელთან ეწეოდნენ(!). შენობაში შესვლისას პირველი, რაც თვალში მომხვდა, იყო სიბნელე – როგორც ჩანს, პირველ სართულზე განათება ან არ არის, ან რახან კვირა იყო, გამორთეს. ერთმა მამაკაცმა, რომელსაც მშობლად გავეცანი, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის, მარიკა ჭინჭარაულის ნომერი მომცა.

**კვირასვე, შუადღისკენ, სკოლის სასწავლო ნაწილს დავურეკე და ვეცადე, ვითარება ამეხსნა.**

– მე ვერ მოგცემთ კომენტარს... რასთან დაკავშირებით დაგირეკათ მშობელმა?

— **იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლის რამდენიმე პედაგოგი ხელით ეხება ბავშვებს, დერეფანში აგდებს...**

– მსგავსი ფაქტი ჩვენთან არ დაფიქსირებულა და არ ყოფილა.

— **დეტალებს გეტყვით და მერე მიპასუხეთ.**

– შეგიძლიათ, დირექტორს დაურეკოთ, ან სკოლაში მობრძანდეთ?

— **მხოლოდ თქვენი ნომერი გავიგე. სკოლის დირექციას წარმოადგენთ თქვენც და ამიტომ გირეკავთ. მითხარით, დირექტორის ნომერი და დავურეკავ, არაა პრობლემა.**

– კი, ბატონო, ერთი წამით, მე გადავურეკავ ახლა, ვეტყვი და დაგირეკავთ.

**ცოტა ხანში მირეკავს:**

– ტელეფონი გათიშული აქვს და ვერ დავუკავშირდი. ჩვენ დილიდან საღამომდე ვართ სკოლაში, მსგავსი ფაქტი არ ყოფილა ახლა და ვინ მშობელმა გითხრათ და რამ გითხრათ... მაშინ უნდა მოვიდეს მშობელი და გვითხრას, ან თქვენ გვითხარით მაშინ, რომელმა მასწავლებელმა მიაყენა ბავშვს შეურაცხყოფა?

— **მე ვერც მშობლის და ვერც მისი შვილის ვინაობას ვერ გეტყვით, თავად მითხრა, — შეიძლება მერე ბავშვს გადაეკიდონო. კონკრეტულ ფაქტებს კი გეტყვით (ჩამოვუჭიკჭიკე გვარებიც და ფაქტებიც).**

– მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა, გონება ჩვენთან მოსწავლეს არ დაუკარგავს და როგორ, აბა, ახლა მითხარით?!

– გაკვეთილები ერთმანეთს „ეჯახება“ ხოლმე და ხანდახან სარდაფში უტარდებათო, სადაც ცუდი სუნი დგას და ნესტიაო, საპირფარეშოს სუნია იქაც?

— **საკლასო ოთახთან არც ერთი საპირფარეშო არ არის.**

– სკოლაში უყურადღებობაა ბავშვების მიმართ, ასევე, ერთ მასწავლებელთან დაკავშირებული ამბავიც მიამბო მშობელმა...

– კარგით, ახლა, მე ამდენი დრო არ მაქვს (ტონს უწევს), გაგეცით პასუხი!

— **მასალას ვაკეთებ და თქვენს ინტერესშია, ნორმალური პასუხები გამცეთ.**

– მაშინ სკოლის ხელმძღვანელს დაუკავშირდით, თქვენ რა მასალას აკეთებთ ახლა, ასეთი ფაქტი არ მომხდარა ახლა...

— **ჯერ არ მითქვამს სხვა ფაქტებზე და როგორ აკეთებთ წინასწარ კომენტარს, რომ არ მომხდარა?**

– დაგიკავშირდებით მაშინ ცოტა ხანში. უბრალოდ, ამ წუთას ძალიან დაკავებული ვარ და ძალიან ბევრი საქმე მაქვს.

— **კი, ბატონო, თქვენს ინტერესშია, რომ დამიკავშირდეთ და ამ საკითხებზე ვისაუბროთ, რომ სკოლის პოზიციაც იყოს მასალაში. ამიტომ, კარგი იქნება, თუ დირექტორს გადასცემთ და დღეს დამიკავშირდება, რომ ვისაუბროთ.**

– კარგით, კარგით...

**23-ე სკოლის სასწავლო ნაწილთან ამ საუბრის მერე, სკოლის დირექტორს ჩემთან არ დაურეკავს. ფაქტია, რომ ვცადე, მისი კომენტარიც ყოფილიყო მასალაში, თუმცა მცდელობა მცდელობად დარჩა.**

**„კვირის ქრონიკა“ მზადაა, სურვილის შემთხვევაში ესაუბროს სკოლის დირექტორს და სკოლაში არსებული ვითარება გაარკვიოს.**

**P.S. კარგი იქნება, თუ განათლების სამინისტრო დაინტერესდება ამ საკითხით და სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნულ სკოლაში მივა. ბავშვების დასჯა, თუნდაც, რაიმე მსუბუქი ფორმით, რომელი სასწავლო პროცესის ნაწილია, მე არ ვიცი და თუ პედაგოგს ნერვები წესრიგში არ გაქვს, ამის გამო ბავშვებს კი არ უნდა ერჩოდეს, სკოლა უნდა დატოვოს!**

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



2016 წლიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ფორმატში ცვლილებები შევა. როგორც გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში განმარტავენ, ფორმატის ცვლილება მხოლოდ ტესტის (და არა პასუხების ფურცლის) ელექტრონულად მიწოდებას ეხება.

**რა საკითხებზე ყურადღების გამახვილებას ურჩევენ ექსპერტები აბიტურიენტების მშობლებს? რა დეტალები რჩება კითხვის ნიშნის ქვეშ? რა რეკომენდაციებს აძლევენ გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრს? რას ამბობენ აღიშნულ კითხვებზე გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში?**

„კვირის ქრონიკას“ ექსპერტი განათლების საკითხებში, **მანანა ნიკოლაიშვილი** ესაუბრა:

# განათლების სამინისტრო აბიტურიენტებზე კიდევ ერთ ცდას ატარებს!

## რა უნდა იცოდნენ მშობლებმა?






– სიახლე გულისხმობს შემდეგს – ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩატარდება ნახევრად ელექტრონული ტესტით. ანუ ნაწილობრივ კომპიუტერული ფორმით მოხდება აბიტურიენტებისთვის გამოცდების შეთავაზება, ხოლო 2017 წლიდან სრულად კომპიუტერული წესით ჩატარდება. საგამოცდო ტესტებს ბავშვი მიიღებს ეკრანზე, ეკრანზე მხოლოდ დავალებას წაიკითხავს და ამავდროულად მას მიეცემა პასუხებისთვის სამუშაო ფურცელი. ანუ აბიტურიენტი ორიენტირებულია ორ რამეზე, ეს არის ეკრანი და ფურცელი. ტესტი კი, როგორც გითხარით, ელექტრონულად მიეწოდება. აქ პრობლემაა შემდეგი რამ – ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკის ფორმულები ბავშვმა უნდა ბეჭდოს და ამის უნარ-ჩვევები მას არ აქვს. ასევე, ყველა ერთი სისწრაფით და ხარისხით ვერ ბეჭდავს თემას, რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ინგლისურში მიეცემა დავალების სახით. თუ ამიერიდან ერთიანი ეროვნული გამოცდები ამ წესით უნდა ჩატარდეს, მაშინ გამოდის, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, ეს უნარ-ჩვევები შეასწავლოს ბავშვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ მშობელს მოუწევს ფულის გადახდა, რომ ეს უნარ-ჩვევები შესძინოს აბიტურიენტს.

ინგლისური ტესტების საკითხიც გაურკვეველია. ეს ტესტი წელსაც გართულდება და დაემატება მოსმენის სავარჯიშო. აქ ახალი საზრუნავი ემატებათ აბიტურიენტებს. ეს არის ტესტის მოსმენის უნარ-ჩვევები. მან უნდა მოუსმინოს გარკვეულ ტესტებს და სწორი პასუხები მონიშნოს ფურცელზე. შემდეგ ისევ ეკრანზე უნდა გადაიტანოს ყურადღება და შემდეგ ისევ მოსმენაზე. ეს ყველაფერი მარტივი არ იქნება აბიტურიენტებისთვის, ამიტომ მათ მეტი შრომა დასჭირდებათ და ასევე ჩვეულებრივზე მეტი დროც. საინტერესოა, რა პრინციპით მოხდება ნამუშევრების გასწორება, როგორც უწყებაში ამბობენ, ბევრად უფრო გამარტივდება ნაშრომების გასწორება და აბიტურიენტები ბევრად უფრო ადრე შეიტყობენ გამოცდების შედეგებს. საქმე ისაა, რომ სანამ ეს საკითხი აპრობაციას არ გაივლის, მანამდე ძალიან ბევრი კითხვა იარსებებს. როგორც ვიცი, ნოემბრის ბოლოსკენ ჩატარდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საცდელი ვარიანტი, სადაც დარეგისტრირება იქნება ფასიანი. იმედია, ამ დროს გამოვლენილ პრობლემებს ყურადღებას მიაქცევენ და შემდეგ გაითვალისწინებენ.

**მანანა ნიკოლაიშვილის მიერ ჩამოყალიბებული კითხვების შემდეგ, გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრს დავუკავშირდით და საკითხებზე გამარტება ვთხოვეთ. მათ ჩვენ მიერ დასმულ კითხვებს წერილობით უპასუხეს:**

– გამოცდის ნაწილობრივ ელექტრონულ ფორმატზე გადასვლის მიზანი და მიზეზიც გრძელვადიან პერსპექტივაში გამოცდის სრულად ელექტრონული ფორმატის დანერგვაა, თუმცა ამ შედეგის მისაღწევად რამდენიმე ეტაპის გავლაა საჭირო. ეს პროცესი არ განსხვავდება ე.წ. ქაღალდზე ტესტირებისგან – გამოცდის მიმდინარეობისას აბიტურიენტებს ყურადღება გადაჰქონდათ ტესტის რვეულიდან პასუხების ფურცელზე და ხშირად ტესტის რვეულის განუწყვეტლივ ფურცვლაც უწევდათ – დავალებებსა და პასუხების ფურცელზე ორიენტირება ნებისმიერი სახით ჩატარებული ტესტირების დამახასიათებელია, მეტიც, ეს გარემოება ახლავს სკოლაში წარმართულ სასწავლო პროცესსაც. სამსაათიანი გამოცდა არ გულისხმობს ეკრანზე ტექსტის ან სხვა დავალების წაკითხვას 3 საათის განმავლობაში. გამოცდის სპეციფიკიდან გამომდინარე, აბიტურიენტი საგამოცდო დროის დიდ ნაწილს სწორედ პასუხების ფურცელზე ან შავი სამუშაოსთვის განკუთვნილ ფურცელზე მუშაობას უთმობს. გარდა ამისა, პრაქტიკა ადასტურებს, რომ სრულად კომპიუტერული ტესტირების შემთხვევაშიც ეს პროცესი არანაირად არ აფერხებს აბიტურიენტს და არ უქმნის მას რაიმე სირთულეს. იმ მოსაზრების გაზიარება, რომ აბიტურიენტებს კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება არ აქვთ, რთულია, რადგან იმ მოსწავლეებსაც კი, რომლებსაც სახლში კომპიუტერი არ გააჩნიათ, მუდმივი შეხება აქვთ მსგავს მოწყობილობებთან – მაგ., მობილურ ტელეფონთან. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ გამოსაშვები გამოცდებისას არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მოსწავლეს კომპიუტერთან მუშაობა ან დავალების წაკითხვა გასჭირვებოდეს.

— **თუ ეს სიახლე არ გაამართლებს, რას მოიმოქმედებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი?**

– ნებისმიერი პროცესი დანერგვამდე გულისხმობს ყველა რისკის გაანალიზებას, ვითარების დეტალურად შესწავლასა და აპრობაციას. ამჟამად სწორედ ეს პროცესი მიმდინარეობს, ტექნიკური ნაწილის აპრობაცია კი დეკემბერშია დაგეგმილი. ცხადია, დეტალურად გაანალიზდება ყველა ფაქტორი, რომელიც აპრობაციისას და ზოგადად, რისკების ანალიზისას გამოვლინდება.

# „მე რომ ახლა საოპერო სცენაზე მოვინდომო დამცინოს. ასე დავცინი ახლა მე მას, იმიტომ,

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**„კვირის ქრონიკის“ კითხვებს პასუხობს ეკონომისტი დემურ გიორხელიძე.**

– საგარეო დაძაბულობის ფაქტორები მატულობს, სირიის მოვლენები ასე სწრაფად არ დასრულდება, თუ რა პრობლემებია ევროპაში, კარგად ჩანს. საგარეო ფაქტორი უარესდება და დაძაბულობა მატულობს. ფაქტობრივად, მივიღეთ სიტუაცია, რაც განპირობებულია 2008 წელს დაწყებული მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისიდან და ეს დაძაბულობა სწორედ იმის გამოძახილია. ახლა ყველა ცდილობს, რაღაც ფორმით გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან. როგორც ხედავთ, სიტუაცია საქართველოსთვის არ უმჯობესდება. ის უზარმაზარი ნაკადი ჩვენი მოქალაქეებისა, რომლებიც ქვეყნის გარეთ არიან გასულები, სწორედ იმ ქვეყნებში არიან კონცენტრირებულნი, სადაც პრობლემები რთულია და ასე იოლად არ მოგვარდება. ქვეყნის შიგნით კი არაფერი იცვლება. მთავარი ფუნდამენტური საფუძვლები, რომლებიც ეკონომიკაში დევს, ეს არის საშინლად მწირი წარმოება, ჩვენ ვართ იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა, რომელიც საკუთარ რესურსს არ იყენებს. ამ მიმართულებით შედეგები მინიმალური აქვს, დასაქმების პრობლემა ადგილიდან არ იძვრის და სახეზე გვაქვს დასაქმების მოჩვენებითი ციფრები, სახეზე გვაქვს 8-მილიარდიანი იმპორტი, რომლის ტოლფასი შემოსავლები ქვეყანას, უბრალოდ, არ გააჩნია. ქვეყანა ცხოვრობს ვალებზე, იმიტომ, რომ გაცილებით მეტს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს, ვიდრე ფული და შემოსავლები აქვს, ასეთი მწირი ეკონომიკისთვის ეს ყველაფერი საშიშია. ასეთი ვითარება ლარის კურსს ვერ გაამყარებს, რადგან არანაირი გაუმჯობესება რომელიმე მიმართულებით არ არის. თუ გაინტერესებთ, რა გველის უახლოეს მომავალში, მაგალითად, საახალწლოდ, ამ დროს ჩვეულებრივად ხდება ფასების მატება, შემდეგ კი არის სეზონური მომენტი, როცა არაფერი არ ხდება, რაც ქვეყნისთვის საზიანოა. ამიტომ კარგის მოლოდინი არ არის. მთავარია, ახლა სიტუაციის დაჭერა და შენარჩუნება მოხდეს, რომ ეს პროცესები უფრო ცუდი მიმართულებით არ გაიქცეს.

**— ბატონო დემურ, მსოფლიოში მიმდინარე რთული პროცესები რა ეკონომიკურ გავლენას იქონიებს ჩვენს ქვეყანაზე და როგორ გადავიტანთ ზამთრის სეზონს, როცა ეკონომიკურად ყველაზე რთულია ზამთრის თვეები ბიზნესისთვის? როგორც იქნა, ბიძინა ივანიშვილმა განმარტა, რომ ბიზნესსექტორისთვის რაც ხდება, არის საზიანო, ამიტომაც მზად ვარ, კრედიტორებს დავეხმარო, რათა ისინი არ გაკოტრდნენო. თუკი ივანიშვილი საკუთარ ფულს გამოიტანს კრედიტორების დასახმარებლად, სადაც მან არ დააკონკრეტა, ვინ იგულისხმა, ბიზნესსექტორის წარმომადგენლები თუ მოქალაქეები, ვინც საკუთარ ქონებას კარგავს ბანკებში, ეს საერთო ეკონომიკურ სურათს შეცვლის?**

– კარგად არ მესმის, რა შეიძლება მან გააკეთოს, მაგრამ შემიძლია, წინასწარ გითხრათ, წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, იმ მაკროეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც ქვეყანაშია და ქართულ ეკონომიკაზე აისახება, ნებისმიერი ღონისძიება ბიძინა ივანიშვილისა აბსოლუტურად არაეფექტური იქნება. დიახ, მას შეუძლია, ვინმეს გადაუხსანებში, ბიძინა ივანიშვილი გაიღებს ფულს, რაც მისთვის შეიძლება სერიოზულ თანხას არ წარმოადგენს, თუნდაც ეს იყოს 400 მილიონი დოლარი, ეს ფული აღმოჩნდება ვიღაც წურბელების ჯიბეში და შედეგი კვლავ არაფერი იქნება. ამიტომ ეს გზა, რაც ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, ეს არის აბსოლუტურად ჩიხური გზა და ეს გზა არსად არ მიდის...

**— თუმცა ხელისუფლების გზა მიდის სამოთხისკენ, ჩვენ ვნახეთ, რომ აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა ანგარიში, საიდანაც ვიგებთ, რომ ხელისუფლებამ პრემიები 31 მილიონით შეიმცირა, სამაგიეროდ დანამატები 45 მილიონით გაიზარდა. ზაქარია ქუცნაშვილისგან ისიც კი მოვისმინეთ, რომ თურმე „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაწესებული პრემიების მძევლები ყოფილან და ეს მანკიერი პრაქტიკა მათ მემკვიდრეობით ერგოთ. პრემიები დაგმეს და დანამატები დააწესეს... ტრაგიკომიკური ვითარება ხომ არ არის, ბატონო დემურ, თანაც მაშინ, როცა მინისტრებმა არ იციან, რამდენია მათი ხელფასი, რომელსაც მათ ხალხი უხდით...**

– არაფერი არ მიკვირს იმიტომ, რომ ადამიანების უდიდესი უმრავლესობა ხელისუფლებაში მოვიდა ბიძინა ივანიშვილის მატარებელს ჩაბმული, ბიძინა ივანიშვილს არ გაურკვევია, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ხელისუფლებაში და ვინ არა, მან აბსურდული საკადრო პოლიტიკა გაატარა. ამ ადამიანებმა იციან, რომ დროებით არიან ხელისუფლებაში. მათ იციან, რომ არანაირი შანსი აღარ აქვთ უახლოესი 50 წლის მანძილზე, თუკი მეორე ბიძინა არ გამოჩნდა, თუნდაც პატარა დოზით, რომელიც ჩაიბამს მათ და ისინი კვლავ ხელისუფლებაში მოხვდებიან. ესენი არ არიან პროფესიონალი პოლიტიკოსები, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებაში თანამდებობებზე მოვიდნენ. ამ ხალხმა ძალიან კარგად იცის, მათ სრულიად შემთხვევით, დაუმსახურებლად მიაღწიეს ზედა ზღვარს, არც პროფესიული კუთხით და არც ქვეყნის წინაშე დამსახურების გამო ეს ადგილები მათ არ ეკუთვნოდათ, ამიტომაც ისინი თანამდებობას იყენებენ და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი წაიღონ, კეთილდღეობა შეიქმნან და საკუთარი პრობლემები მოაგვარონ, რაც არ არის მიბმული შედეგზე. მათ მუშაობით არ შეუძლიათ შედეგების დადება, რამდენიც არ უნდა ამუნათოს საზოგადოებამ მთავრობის წევრები, ისინი ამხელა დანამატებსა და პრემიებს ხელიდან არ გაუშვებენ და უარს არ იტყვიან იმიტომ, რომ ძალიან ცოტა დრო დარჩათ ხელისუფლებაში ყოფნის. მართალია, 2016 წლის არჩევნებზე ბევრი არაფერი შეიცვლება, მაგრამ დღეს მოქმედი თანამდებობის პირები ველარ აღმოჩნდებიან იმ პოზიციებზე, რაც დღეს უკავიათ. მათ იციან, რომ ერთი წელიღა დარჩათ და ამიტომაც აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ ამ უშედეგო ქვეყანაში. პრემიები და ხელფასები იზრდება. ვნახე მონაცემი, რომ 17 ათასით არის გაზრდილი სამუშაო ადგილები, რაც იმას ნიშნავს, რაკი ხელისუფლება ეკონომიკურ პოლიტიკას ვერ ატარებს, ბიუჯეტის ხარჯზე ზრდის სამუშაო ადგილებს და ამ ტოტალური ნეპოტიზმის ფონზე თავის ხალხს, პარტიულ აქტივისტებს ასაქმებს. ესეც მანკიერი რეალობაა. ხელისუფლება დანამატებითა და პრემიებით აუმჯობესებს წინა ხელისუფლების მანკიერ პრაქტიკას.

**— „ნაცმოძრაობის“ ინიციატივაა, რომ პენსია გაიზარდოს 50 ლარით, რამდენად შესაძლებელია, ეს მოხდეს სახელმწიფო მოხელეების დანამატების ხარჯზე? „ქართული ოცნება“ გვარწმუნებს, რომ, თუკი პენსია 50 ლარით გაიზრდება, მაშინ ჩვენ აღარ გვექნება ჯანდაცვაში ის პრიორიტეტები, როგორიც არის უფასო ოპერაციები და ა.შ. სად არის რეალობა?**

– ყოფილმა ხელისუფლებამ და დღევანდელმა საპარლამენტო ოპოზიციამ შესანიშნავად იცის, რომ ასეთი ვალდებულების აღება ძალიან მძიმე იქნება იმ პირობებში, როცა ეკონომიკა ძალიან სუსტია. ფაქტობრივად, ეკონომიკური ზრდა მიზერულია, მაგრამ ეს არის შესანიშნავი თემა პედალირებისთვის და ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის, ხელისუფლებას არ ჰყოფნის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომ ბიუჯეტის ხარჯების რაციონალიზაცია მოახდინოს და თუ გნებავთ, იგივე ამ ხელფასების დანამატების, სამუშაო ადგილების, მივლინებებისა და სხვა ზედმეტი ხარჯები, შეამციროს. ჩვენ გვაქვს საქმე სიბნელესთან, სადაც დასალაგებელია ბევრი რამ... მოდი ისიც ვთქვათ, როდესაც არის სერიოზული ეკონომიკური პრობლემები, სოციალური ვალდებულებების ზრდა, ხელისუფლებას ეს შეიყვანს ჩიხში. დღეს რომ სოციალური ხარჯები გაიზარდოს, ეს აუცილებლად გამოიწვევს პრობლემებს. ცხადია, პენსიები უნდა გაიზარდოს 50 ლარით და საარსებო მინიმუმზე დაბალი არ შეიძლება იყოს პენსია. მაგრამ ეს რომ წინა და დღევანდელი ხელისუფლებების მიზანი იყოს, რომ ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა თანდათან გააუმჯობესოს, მაშინ ეს ამოცანა გადაწყდებოდა ჯერ კიდევ წინა ხელისუ-





**„ჩინოვნიკებმა იციან, რომ არანაირი შანსი აღარ აქვთ უახლოესი 50 წლის მანძილზე, თუკი მეორე ბიძინა არ გამოჩნდა თუნდაც პატარა დოზით, რომელიც მათ ჩაიბამს და ისინი კვლავ ხელისუფლებაში მოხვდებიან“**

# სიმღერა, პაატა ბურჭულაძემ სასტიკად უნდა რომ ის აკეთებს სისულელეს“

**„რამდენიც არ უნდა ამუნათოს საზოგადოებამ მთავრობის წევრები, ისინი ამხელა დანამატებსა და პრემიებს ხელიდან არ გაუშვებენ და უარს არ იტყვიან იმიტომ, რომ ძალიან ცოტა დრო დარჩათ ხელისუფლებაში ყოფნის“**





ფლების დროს. დღესაც შეიძლება ამ ნაბიჯების გადადგმა, ოღონდ თუ ეს საკითხი კომპლექსურად იქნება გააზრებული, რას ვაკეთებთ ეკონომიკაში, ინსტიტუციონალურ სფეროში, რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ გაჩნდეს ის სიმდიდრე, რომელიც სოციალურ სფეროს მოხმარდება და საზოგადოებაში გადანაწილდება.

**— ფინანსთა მინისტრის მიმართ პრეტენზიები ქრონიკულია, თუმცა ვხედავთ, რომ ის მინისტრთა კაბინეტში პოსტს ინარჩუნებს. ბოლოს და ბოლოს, ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი იმაზე, რა ჩავარდნებიც ეკონომიკასა და საფინანსო სექტორში გვაქვს?**

– ვფიქრობ, ხადურის პრობლემა ხელოვნურად არის მოგონილი და გეტყვით, რატომ. ჯერ ერთი, საქართველოს კონსტიტუციით აღმასრულებელ ხელისუფლებაში მთავარი ორგანო არის მთავრობა და მთავრობის მეთაური პრემიერ-მინისტრია. ცალკეულ სამინისტროებსა და მინისტრებს არაფრის კეთების უფლება არ აქვთ, თუ ის მთავრობის ერთიანი პოლიტიკიდან არ გამოვა. თუ ფინანსთა სამინისტროში რაიმე არ კეთდება, ე.ი. მას მთავრობამ არ დაავალა, არ განუსაზღვრა პარამეტრები, ამიტომ ეს არის შიდადაპირისპირება. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთ მოუწყობელ ქვეყანაში, სადაც ჯგუფურობა არის ასეთი აქტუალური, ცოტა ხნით რომ ვილაც ფინანსთა მინისტრის სავარძელს შესწვდეს, წარმოიდგინეთ, რა კარგად გამოიყენებს ის საკუთარი თავისთვის ამ პოსტს. ხშირად ნოდარ ხადურსაც მოსდის მოუზომელი განცხადებები, რითაც მოქალაქეებს აღიზიანებთ, მაგრამ კიდევ გიმეორებთ, რომ ხადური დამოუკიდებლად არ იღებს რაიმე გადაწყვეტილებას და ის ვერ ატარებს დამოუკიდებელ პოლიტიკას. ვფიქრობ, უმჯობესია, ჩვენ ვისაუბროთ მთავრობის სუსტ მუშაობაზე და არა, კონკრეტულ სამინისტროზე, რადგან ჩვენ რომ ვიცოდეთ, ზუსტად რა დავალება მიეცათ კონკრეტულ სამინისტროებს, რა გააკეთეს და რა ვერა, შეფასებებიც შესაბამისი იქნება. უბრალოდ, სახეზე გვაქვს სუსტი მმართველობა და შედეგიც აქედან გამომდინარეობს.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ ივანიშვილის მინიმოდელი რომ გამოჩნდეს, არსებული ხელისუფლების წარმომადგენლები მის მხარეს გადაიხრებიან და ხელისუფლებაში მოსვლის შანსი გაუჩნდებათ. რას ფიქრობთ პაატა ბურჭულაძეზე, გაუწევს ბიძინა ივანიშვილს კონკურენციას, რომელიც, ფაქტობრივად, უკვე შემოვიდა პოლიტიკაში?**

– შემიძლია გითხრათ, რომ პაატა ბურჭულაძე, ეს არის შევარდნაძის ეპოქის გაგრძელება ქართულ პოლიტიკაში, იმ სტილისაა, რაც შევარდნაძემ ჩამოაყალიბა, იგი არანაირი პოლიტიკოსი არ არის, მას ელემენტარული მონაცემებიც კი არ აქვს იმისთვის, რომ სახელმწიფო საქმეებში გაერკვეს. ცხადია, მას გამოიყენებენ მხოლოდ ტექნოლოგიის მიზნით. ვილაცამ კარგად იცის ქართველების ფსიქოლოგია, ცნობადი ადამიანია, თითქოსდა ქველმოქმედი, რომელიც სინამდვილეში ანგარებიანი ქველმოქმედი ყოფილა... პაატა ბურჭულაძის სახელს მიებმება კიდევ უფრო ბნელი ძალები, ვიდრე „ნაცმოძრაობაა“ და „ქოცები“ არიან. ცხადია, ეს არის გარკვეული მიზნით შემოშვებული „უტკა“, რეალურად მას სხვა მიზანი აქვს და ეს გახლავთ, ძალიან მარტივი პრობლემურ სიტუაციაში. პრობლემური პოლიტიკური პარტიების ისეთი სახეები, რომელთაც დანაშაულში ხელი არა აქვთ გასვრილი, კონცენტრირებული იქნან პაატა ბურჭულაძის ირგვლივ და მან შეასრულოს მატარებლის ფუნქცია. ფუჭია ეს ოცნებები, ეს იქნება პაატა ბურჭულაძის სირცხვილი და ცუდად დამთავრებს, ისევე, როგორც ყველამ ცუდად დამთავრა, მე რომ ახლა საოპერო სცენაზე მოვინდომო სიმღერა, პაატა ბურჭულაძემ სასტიკად უნდა დამცინოს. ასე დავცინი ახლა მე მას, იმიტომ, რომ ის აკეთებს სისულელეს, შეურაცხყოფს საკუთარ თავს და ქვეყანას კიდევ უფრო მძიმე პრობლემების შექმნისკენ უბიძგებს. დაახლოებით უკვე ცნობილია, ვინ დადგება მის გვერდით, ეს არის წინა ხელისუფლების მეტ-ნაკლებად ლოიალური სახეები და შევარდნაძის დროს ფეხზე დამდგარი ადამიანები, მათ სჭირდებათ ერთი მატარებელი და ეს არის პაატა ბურჭულაძე, ბიძინა ივანიშვილი უკვე ერთი დიდი ჩავლილი მატარებელია და ის უკვე ველარ შეასრულებს იმ ფუნქციას, რაც ერთხელ უკვე შეასრულა. მას შეეძლო, ქვეყნისთვის კარგი რაღაცებისთვის მიეცა სტარტი, მაგრამ მან ეს ვერ გააკეთა და რაც ვერ გააკეთა ივანიშვილმა, გამორიცხულია პაატა ბურჭულაძემ გააკეთოს. მოკლედ, ყველა სფეროში მოდის შევარდნაძის ეპოქა და ეს კარგს არაფერს მოიტანს.

**— და ყველაზე მთავარი, მსოფლიო ისლამური ხალიფატის წინაშე დადგა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ტერორიზმთან ბრძოლაში ჩაერთვნენ. პარიზი, ბრიუსელი, ნიუ-იორკი, ლონდონი პანიკაშია, შეჩერდა ტურისტების ნაკადი, რაც ეკონომიკას საფრთხეს შეუქმნის. რა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს უნდა ველოდოთ ქვეყანაში? ვხედავთ, რომ დასავლეთსა და ევროპას ჩვენთვის აღარ სცალია...**

– ეს ყველაფერი მსოფლიოს უკიდურესად დაძაბულ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს. აქ ტერორიზმის თემა მეორეხარისხოვანია. საქმე ის გახლავთ, რომ ბალანსები დარღვეულია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული მსოფლიო წესრიგი მოიშალა, წითელი ხაზები გადალახულია. ახლა გადამწყვეტია, როგორ დალაგდებიან მთავარი პოლიტიკური მოთამაშეები. საშინელი დაპირისპირება მიდის ორ გეოსტრატეგიულ პარადიგმას შორის, ეს არის ამერიკული და რუსული პარადიგმა. აქ დანდობები არ იქნება არც ერთი მხრიდან. სირიაში ბევრი რამ დალაგდება, თუმცა ეს არ მოხდება დღეს და ხვალ. საერთოდ, ახლო აღმოსავლეთი ან გლობალურად უნდა დალაგდეს, ანდა ის იქნება ეპიცენტრი ამ დაპირისპირების, რომელიც სხვადასხვა ფორმატს მიიღებს. გონიერმა ანალიტიკოსებმა დასავლეთში აღნიშნეს, რომ შემდეგი დაპირისპირების ადგილი იქნება სამხრეთ კავკასია. თუმცა გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები სირიაში. სამხრეთ კავკასიაში სამი სახელმწიფო სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება და ეს შეადგენს ერთიან გეოსტრატეგიულ სივრცეს – სამხრეთ კავკასია, ახლო აღმოსავლეთი, შუა აზია. უახლოესი 30-40 წელი მსოფლიო პოლიტიკა ამ გეოსტრატეგიულ სივრცეში განვითარდება. სირია ჩვენგან სულ რამდენიმე ასეული კილომეტრითაა მოშორებულია. ამიტომ ჩვენ ვდგავართ უზარმაზარი რისკების წინაშე და მე ვერ ვხედავ ქართულ პოლიტიკაში ისეთ მოაზროვნე თავებს, რომელიც ამ გამოწვევებს უპასუხებს. ვფიქრობ, ხელისუფლება ვერ ხედავს იმ გლობალურ დაპირისპირებას, რომელიც სასტიკ ფორმებს იღებს და შემდეგი დაპირისპირების ადგილი, როგორც გითხარით, არ არის გამორიცხული, იყოს სამხრეთ კავკასია, იმის მიხედვით, როგორ დალაგდება სირიის პრობლემები და როგორი იქნება ურთიერთთანამშრომლობა მსოფლიო პოლიტიკის მთავარი სუბიექტების. აი, ამის ფონზე განვითარდება მოვლენები სამხრეთ კავკასიაში.

**— და მაინც, რას ელოდებით?**

– ველოდები, რომ მთავარი მოთამაშეები ბალანსს აღადგენენ, სხვანაირად მათ ერთმანეთთან დაპირისპირება ელით, ეს კი აშკარაა, რომ არავის სურს. დრო იცვლება, მსოფლიო პოლიტიკას ჩვენ ვერ შევცვლით, ასეთია რეალობა. ჩვენი მთავარი მიზანია, გადავარჩინოთ სახელმწიფო და განვავითაროთ ის. რა გზით, ეს უკვე პოლიტიკოსების საქმეა. რაკი ასეთ ჩიხში ვართ, ესე იგი პოლიტიკა სწორი არ არის.

**— ბატონო დემურ, თქვენ მიანიშნებთ, რომ შესაძლოა, საქართველო რუსეთის ორბიტაზე აღმოჩნდეს?**

– ასე პრიმიტიულად არ დგას საკითხი, როცა მე ვსაუბრობ ბალანსების აღდგენაზე. სირიის მოვლენების შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული კვლევის ცენტრში ამბობენ, რომ რუსეთთან საჭიროა შეთანხმება, გარკვეული ბალანსის დაცვა. რა ფორმებში მოხდება, ეს არ ვიცი, თუმცა ცხადია, რუსეთი ითხოვს უსაფრთხოების უზრუნველყოფას ისე, როგორც ეს მას ესმის. რუსეთი ამბობს კატეგორიულად, რომ მის საზღვრებთან ნატო არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მოახლოებული. ცხადია, ეს გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის იმ პოლიტიკასთან, რომელიც საქართველოში ტარდება. სირიაში მიმდინარე მოვლენების ფონზე ვერც ევროკავშირი და ვერც ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის მოთხოვნებს იგნორირებას ვერ გაუწევს. ახლა მე ვსაუბრობ ღია ტექსტით, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ასეთია რეალობა. საქართველოში აშკარად ჩანს, რომ ხალხს რეალობის შეგრძნება დაკარგული აქვს. ამიტომ ის ყოველდღიური პროპაგანდა, თითქოს ხვალ და ზეგ ნატოში შევალთ და ევროკავშირში მოხდება ჩვენი ინტეგრაცია, ხალხის დაბოლებაა, რომელსაც ისედაც უამრავი პრობლემები აქვს.

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# „გაგიჟდა ხალხი! „ნოშპას“, „ნაფტიზინის“ წვეთებს, „კაპტოპრილს“, ანტიბიოტიკებსა და სხვა წამლებს სვამს და შედეგი არ დგება!“

**სად უნდა დარეკოს მომხმარებელმა, თუ შენიშნავს, რომ მედიკამენტი, რომელიც შეიძინა და მიიღო — უეფექტოა?**





როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ანტიკორუფციულ კავშირში“ ამბობენ, მაშინ, როცა მედიკამენტს იღებთ ტკივილის გასაყუჩებლად, შესაძლოა, უბრალო ცარცს სვამდეთ და შედეგს ამაოდ ელოდეთ. როგორც ორგანიზაციაში განმარტავენ, აღნიშნული ტიპის მედიკამენტებს, დღეს, ფარმაცევტული ბაზრის დაახლოებით 20-30% უჭირავს.

ვინ აკონტროლებს უხარისხო და ფალსიფიცირებულ მედიკამენტებს ბაზარზე და რა უნდა მოიმოქმედოს მომხმარებელმა, თუ შენიშნავს, რომ წამალი, რომელიც შეიძინა და მიიღო, უხარისხოა?

**„კვირის ქრონიკას“ ა/ო „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე, გია ბურჯანაძე ესაუბრა:**

– ბოლო რამდენიმე თვეა, აქტიურად მოგვმართავენ მოქალაქეები, რომლებიც უჩივიან შემდეგ რამეს – ამბობენ, რომ მედიკამენტები, რომლებსაც ისინი იღებენ, უეფექტოა. ასეთებად ვასახელებთ – „ნოშპას“, „ნაფტიზინის“ წვეთებს, „კაპტოპრილს“, ანტიბიოტიკებსა და ა.შ. მომხმარებლებზე დაკვირვებით, ცხადი ხდება, რომ აღნიშნული მედიკამენტები მიღების შემდეგ არ რეაგირებს, ანუ შედეგი არ დგება.

**— ეს რისი ბრალია?**

– ხდება ასეთი რამ – წამლის შემადგენლობაში შედის გარკვეული ქიმიური ელემენტები. ჩვენ კი გვხვდება შემთხვევები, როცა რეალურად შედის ეს შემადგენლობა პრეპარატში, მაგრამ ძალიან დაბალი დოზით, რასაც შედეგი არ აქვს. შემდეგი პრობლემა არის ის, რომ დღეს ძალიან ბევრი პრეპარატი შემოდის უცხოეთიდან. ბაზრის გარკვეული წილი უჭირავს ინდოეთიდან შემოსულ მედიკამენტებს, რომლებიც დაბალფასიანიცაა და დაბალხარისხიანიც, ფასის შესაბამისად. მომხმარებელი კი, თავისთავად, ეშურება დაბალფასიანის ყიდვას და შედეგიც არის ფასის შესაბამისი. როგორც საკვები პროდუქტების შემთხვევაში ხდება, ისე ხდება აქაც – როცა ევროპის ქვეყნებში დაწესებულ ხარისხის ნორმებს ვერ აკმაყოფილებს გარკვეული პროდუქტები, ის შემდეგ საქართველოში შემოაქვთ და აქ ასაღებენ. ასე ხდება მედიკამენტების შემთხვევაშიც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ წარმოებას. როგორც მომხმარებლები აღნიშნავენ, ადგილობრივი წარმოების მედიკამენტებს არ აქვთ ის შედეგი, რაც, მაგალითად, უკრაინიდან შემოტანილ მედიკამენტს. ახლო წარსულში, შემთხვევაც აღმოვაჩინეთ, როცა „ნოშპას“ ნახალოვკაში, ერთ-ერთ ქუჩაზე, კერძო სახლში ამზადებდა ერთი ბატონი და მერე ამ „მედიკამენტით“ ამარაგებდა სხვადასხვა აფთიაქებს. ეს ამბავი სწორედ „ქრონიკამ“ გაამუქა. დღესაც გვაქვს უამრავი ფაქტი და მაგალითი, რომ ფალსიფიცირებულია სამედიცინო პრეპარატები. ახლა ამ პრეპარატებს, საშინაო პირობებში დამზადებულებს, შედეგი რომ არ ექნება, ამას რად უნდა ბევრი საუბარი?

**— ეს ყველაფერი არ კონტროლდება? ხომ აქვს ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახური?**

– ყველაზე დიდი, რაც დღეს პრობლემად დგას, არის ის, რომ მედიკამენტების ხარისხის მაკონტროლებელი მექანიზმი აბსოლუტურად იგნორირებულია. არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურაში არ არსებობს შესაბამისი უწყება, რომელიც ვალდებულია, ამა თუ იმ მედიკამენტის ხარისხს კონტროლი გაუწიოს. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს, სარეალიზაციო ბაზარზე მოხვდეს ისეთი პრეპარატები, რომლებიც არაეფექტურია და ფალსიფიცირებულია. ამ საკითხით, წესით და რიგით, სახელისუფლებო ძალები უნდა ინტერესდებოდნენ, რომლებიც დაინტერესებისა და პრობლემის აღმოფხვრის ნაცვლად, გარკვეულ პირებს ლობირებენ, იმიტომ რომ ბევრისთვის ამ უკანონო მედიკამენტების რეალიზება კარგი ბიზნესია. თორემ ამ პრობლემებზე ჩვენ კი არა, ჯანდაცვის სამინისტრო უნდა საუბრობდეს.

**კონტროლდება თუ არა ბაზარზე უხარისხო და ფალსიფიცირებული მედიკამენტები და რა მექანიზმითა და სიხშირით ხდება ეს? ამ კითხვით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მივმართეთ.**

**„კვირის ქრონიკას“ ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის კონტროლის სამმართველოს უფროსი, ნანა შანშიაშვილი ესაუბრა:**

**— ზოგადად, კონტროლი სამკურნალო საშუალებებზე მოიცავს რამდენიმე ასპექტს — დაწყებულია მედიკამენტის სახელმწიფო რეგისტრაციის პროცედურიდან, როდესაც სახელმწიფო რეგისტრაციის დროს ყველა ფარმაცევტული პროდუქტი გადის, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სამედიცინო ტექნიკურ ექსპერტიზას.**

ხდება მედიკამენტების შერჩევა და მათი ლაბორატორიული კვლევა. ფარმაცევტული პროდუქტის ბაზარზე მოხვედრის შემდეგ კონტროლი გადადის სააფთიაქო ქსელებში. ასევე, საწარმოებში, სადაც კონტროლდება სანებართვო საკითხები, საუბარია იმ დაწესებულებებზე, სადაც მზადდება უშუალოდ სამკურნალო პრეპარატები. რაც შეეხება უშუალოდ ლაბორატორიულ კონტროლს – სამკურნალო საშუალებების სახელმწიფო კონტროლის პროგრამის ფარგლებშიც ხდება სამკურნალო საშუალებების შეძენა ვიზუალური და შემდეგ ლაბორატორიული კონტროლისთვის. პროგრამის მიზანი გახლავთ ბაზრის დაცვა ფალსიფიცირებული მედიკამენტებისგან და საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე მედიკამენტებისა. ამავე პროგრამის ფარგლებში ხდება რეალიზატორების კონტროლი. 2015 წლიდან სახელმწიფო პროგრამას დაემატა ახალი დეტალი და დღეის მდგომარეობით ვახორციელებთ, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე რეგისტრაციის პროცესში წარმოდგენილი სამკურნალო საშუალებების ლაბორატორიულ კონტროლს. შედეგად, ზუსტად ამ მონაცემებზე დაყრდნობით, რამდენიმე საშუალებას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე იმიტომ, რომ მათ ვერ დააკმაყოფილეს შესაბამისი მოთხოვნები და არ იქნა დაშვებული ფარმაცევტულ ბაზარზე. ლაბორატორიული კონტროლი ხორციელდება ორი მექანიზმით, ეს არის რეგისტრაციის პროცესი და ადგილობრივ ბაზარზე შესყიდული საქონელი. თავდაპირველად მედიკამენტებზე ვიზუალური კონტროლი ხორციელდება და მცირე ეჭვიც კი არის იმის საფუძველი, რომ მედიკამენტი გადავიდეს ლაბორატორიულ კონტროლზე. ლაბორატორიულ კონტროლს ახორციელებს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურო. მიღებული შედეგის შემდეგ, თუ არსებობს საფუძველი, ხდება რეალიზებული მედიკამენტის მთლიანად ამოღება სარეალიზაციო ქსელიდან და მისი განადგურება. მეწარმე კი ჯარიმდება შესაბამისი სანქციით, რომელიც არის სხვადასხვა ოდენობის. ჯარიმის ოდენობა განსხვავებულია, სხვა არის იმ შემთხვევაში, თუ ვადაგასულია, ფალსიფიცირებულია და ა.შ.

**— რა უნდა მოიმოქმედოს მომხმარებელმა, თუ შენიშნავს, რომ მედიკამენტი, რომელიც შეიძინა და მიიღო — უეფექტოა?**

– თუ მომხმარებელს ეჭვი შეეპარება მედიკამენტის კეთილხარისხოვნებაში, შეუძლია თავად მიმართოს რომელიმე ლაბორატორიას, ჩვენ გვაქვს რამდენიმე აკრედიტებული ლაბორატორია, ან მომენტალურად დაუკავშირდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ცხელი ხაზის ნომერია 1505, ზარი უფასოა 24 საათის განმავლობაში.

ცხელი ხაზის მეშვეობით მომხმარებელს დააკავშირებენ შესაბამის სამსახურთან, სადაც მომხმარებელმა უნდა მიაწოდოს პრეპარატის დასახელება და ადგილი, სადაც ეს მედიკამენტი შეიძინა. ამის შემდეგ სახელმწიფო რეგულირების სააგენტო დაინტერესდება, დაუყოვნებლივ გავა დასახელებულ ადგილზე, სწორედ იმ პროგრამის ფარგლებში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მოხდება მედიკამენტის საკონტროლო შესყიდვა, რასაც მოჰყვება ლაბორატორიული კვლევა და დადგინდება, რასთან გვაქვს საქმე.

# ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელია თუ არა, ქამრების მართლა შემოჭერის შემთხვევაში, 690 ათასი პენსიონერისთვის პენსიების გაზრდა 50 ლარით?

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

წინა კვირა მათემატიკური ლაბირინთების ამოხსნაში გავატარეთ. მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2“-ის საკითხი ცოტა ხნით დღის წესრიგიდან მოიხსნა, წინა პლანზე პრემიების, სარგოებისა და დანამატების თემამ წამოიწია, თანაც 160-ლარიანი პენსიების ფონზე. თქვენ წარმოიდგინეთ, იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, თვით მოსამართლე ურთმელიძის მიერ დადგმული სკანდალიც კი გადაფარა. პრემია-დანამატებისა და პენსიების საკითხი პარლამენტში ზაქარია ქუცნაშვილის ინიციატივის ჩავარდნის შემდეგ გაგვახსენდა, თორემ ვინ მამაძაღლი იღებდა ხმას? ასეა, ჩავარდება ერთი თემა, ან არ ჩავარდება და ამას მოსდევს შემდეგ ჯაჭვური რეაქცია. პრინციპში, ზაქარიას ინიციატივის პარალელურად „ნაციონალები“ „აჯაზებდნენ“, პატივცემულო ჩვენო შემდეგო ხელისუფლებავ, ქამარი შემოიჭირე, ბიუჯეტში 450 მილიონი ლარი გამონახე და პენსიები 50 ლარით გაზარდეო. ესენი ეუბნებიან, შემდეგი ხელისუფლების წევრები, თქვენ ალაოდ ხომ არა ხართ, სად გვაქვს ახლა ამდენი ფული, ტყუილად რას დემაგოგობთ, 50 ლარით კი არა, ჩვენ იმაზე ვფიქრობთ, მომავალი წლის სექტემბერში 10 ლარს მოვუმატებთ თუ არაო... თქვენ აზრზე არ ხართ, ჩვენი პენსიონერი დედები 10 ლარს როგორ მოუთმენლად ელოდებიანო. ჰოდა, ამ გაწამაწიაში აუდიტის სახელმწიფო სამსახურის „ნაციონალმა“ შეფმა მომენტი ნახა და უცებ პრემია-დანამატების მისეული დასკვნა გამოაგდო. აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, ინფრასტრუქტურის სამინისტროში დანამატები 69%-ით გაიზარდა (სალოლ, ბატონო ნოდარ ჯავახიშვილო!), იუსტიციის სამინისტროში – 206%-ით, სასჯელაღსრულების სამინისტროში – 414%-ით, სახელფასო დანამატების ზრდის რეკორდსმენი კულტურის სამინისტროა. გიორგაძის უწყებაში დანამატი 1509%-ით გაიზარდა (ვინა თქვა, ჩვენი კულტურა არ ყვავისო?). ჯანდაცვის სამინისტროში სახელფასო დანამატი 270%-ია. თორდიას თქმით, პრემიების გაცემა დანამატით შეიცვალა.

გაინტერესებთ, რა განსხვავებაა პრემიასა და დანამატს შორის? პრემია გახლავთ ფულადი ჯილდო, როდესაც თანამდებობის პირი თუ მისი ხელქვეითები კარგად შესრულებული სამუშაოსთვის იღებენ. ეს გახლავთ ერთჯერადი, ან „რამდენიმეჯერადი“, მაგრამ არა ყოველთვიური. დანამატი გახლავთ სარგოზე, ანუ ხელფასზე დამატებული თანხა ზედმეტად შესრულებული სამუშაოსთვის, ანუ ზეგანაკვეთური მუშაობისთვის. აი, ჩვენს პარლამენტარებსა და ჩინოვნიკებს დღე და ღამე რომ არ სძინავთ, იმისთვის. ამ შემთხვევაში დანაშაულია ჩადენილი იმ კუთხითაც, რომ დანამატები გამოწერილია წინასწარ, ანუ მაშინ, როცა ზეგანაკვეთური სამუშაო შესრულებული არ არის. კულტურის მინისტრმა, მიშა გიორგაძემ აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშს არაადეკვატური და სამარცხვინო უწოდა. მეტიც, თორდია საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაში დაადანაშაულა:

„ანალიზი იყო გაკეთებული, თითქოს შრომის ანაზღაურება გაიზარდა 1500%-ით, თუ ეს მართალია, მაშინ 50 ათასზე მეტი მქონია ხელფასი. მე ბატონ ლაშას ადგილას, იმ თანამშრომლებს, რომლებიც ასეთ ანგარიშს მომაწვდიდნენ, გავათავისუფლებდი სამსახურიდან“.

არა, გიორგაძე კი ადასტურებს, დანამატები გაიზარდაო, მაგრამ არ აკონკრეტებს, რამდენით გაიზარდა. არც იმას ამბობს, მისმა კულტურულმა თანამშრომლებმა რა დამატებითი სამუშაო შეასრულეს. ლაშა თორდია, ასევე, გააკრიტიკა ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ნოდარ ჯავახიშვილმაც, ეს ციფრები საიდან მოიტანა, ჩემთვის გაუგებარიაო:

„არავისთვის არ დამინიშნავს დანამატი და როგორ მოხდა 200%-იანი ზრდა? ბაზა უნდა აიღო შესაბამისი. არ შეიძლება, ერთი წლის 6 თვე აიღო და მეორე წლის – 12 თვე“.

ლაშა თორდია ჯორზე შეჯდა, ვერა და ვერ გადაათქმევინეს, შევცდი, შემეშალაო. ის მაინც ამტკიცებს, რომ კულტურის სამინისტროში დანამატი გასულ წელთან შედარებით 1 235 067 ათასი ლარით მეტი განისაზღვრა. გახსოვთ, გურამ ოდიშარიას მინისტრობის პერიოდში ასეულობით ათასი ლარი ყავაში რომ იხარჯებოდა? ჰოდა, ეტყობა, გიორგაძემ თავის თანამშრომლებს უთხრა, ყავა ძალიან ყვირის, აგერ ფული, ხელფასებზე დაგიმატებთ და თვითონ იყიდეთო. ისე, ამ ჩვენს სამინისტროებში იმდენ ყავას სვამენ, თან ჩვენს ხარჯზე, რაღა დააძინებთ? გძინავს? მიიღებ ხელფასს. არ გძინავს? მიიღებ დანამატსაც. პრინციპში, რა თანხებსაც ესენი იღებენ, მე რომ მომცენ, ნაღდად არ დამეძინება!

ყოფილი „ნაციონალები“ და ახლანდელი „გირჩისთავები“ ამბობენ, ამათ ადგილობრივ თვითმმართველობებში ზღვა ხალხი ჰყავთ გაფორმებული, 2016 წლის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსი სჭირდებათო. ნუ, მაინც რა არის ეს გამოცდილება? რასაც თავად „ნაციონალები“ აკეთებდნენ, ზუსტად იმას ლაპარაკობენ. მიშა მაჭავარიანი ამბობს, 2014 წელთან შედარებით 23 მილიონით გაიზარდა შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასის ანაზღაურება, ესენი არიან ქართული ოცნების აქტივისტები, რომლებიც მანამდე მუშაობდნენ, ამ ციფრმა მხოლოდ 9 თვეში 107 მილიონი შეადგინაო. აქ მიშა მაჭავარიანი არ ცდება, ყველაზე მეტი შტატგარეშე თანამშრომელი აყვანილია პარლამენტში („ქრონიკის“ წინა ნომერში უკვე ვწერდი დეპუტატების 60 შტატგარეშე თანაშემწეზე) – მაგალითად, 2014 წელს დეპუტატებს ჰყავდათ 54 ასეთი თანაშემწე, წელს დაამატეს 6. ოფიციალურ დოკუმენტში 12 ადამიანს უწერია, რომ არის შტატგარეშე, მაგრამ რისი, ვისი და საით კუდი-იღლია, საერთოდ არ არის მინიშნებული. ასევე, პარლამენტს ჰყავს 85 შტატგარეშე მძღოლი. გაგიკვირდებათ და 75 მაჟორიტარს, ანუ მათ ბიუროებს ემსახურება 331 ადამიანი. კიდევ უფრო გაოცდებით, პარლამენტის აპარატის საშტატო განრიგში 98 ადამიანს უწერია, რომ არის დამხმარე მოსამსახურე, მაგრამ საერთოდ არ გვაქვს განმარტება, ვის და რას ეხმარებიან. მხოლოდ პარლამენტის აპარატში დღეს 618 ადამიანია დასაქმებული. იცით, პარლამენტში მიწვეულ რიგით მდივან-თანაშემწესა და სპეციალისტ-თანაშემწეს რამდენი აქვს ხელფასი? 1480 ლარი. დამხმარე სპეციალისტს – 1190 ლარი. დამლაგებელს – 1100 ლარი. თანამშრომელთა ნუსხაში არის ასეთი გრაფა, სადაც წერია: „სხვა პერსონალი“, ხელფასი – 1100 ლარი. არა, აქ ჩვენ არ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ვინმემ მუქთად უნდა იმუშაოს, ან ძალიან დაბალი ხელფასი ჰქონდეს, აქ საუბარია რაოდენობაზე – ახლა მაჟორიტარებს, ამ პატარა ფეოდალებს რომ 331 ადამიანი ემსახურებათ, რა „პონტია“?!

ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელია თუ არა, ქამრების მართლა შემოჭერის შემთხვევაში, 690 ათასი პენსიონერისთვის პენსიების გაზრდა 50 ლარით? ამჟამად პრემიებსა და დანამატებზე იხარჯება 45 მილიონი ლარი, პენსიების გაზრდისთვის საჭიროა 450 მილიონი ლარი. თუ ჩვენ ამ 45 მილიონს გადავისვრით საპენსიო ფონდში, მოვახერხებთ გაზრდას დაახლოებით 10-15 ლარით, რაც უარეს აგრესიას გამოიწვევს საზოგადოებაში. დავუშვათ, ვიღაც უსაქმურებს შევუმცირეთ 16-ათასლარიანი ხელფასები, შევამცირეთ შტატები და კიდევ ვიშოვეთ 45 მილიონი, ამ შემთხვევაში გაზრდა შეგვიძლია 20-25 ლარით. არააა, მაინც არ გამოდის 250 ლარამდე პენსიის აყვანა. ჰოდა, აბა, ჰკითხეთ ახლა ამ მთავრობას, ღირს კი ამდენ დავიდარაბად ეს საქმე და ამდენი საჯარო მოხელის განაწყენება საარჩევნოდ? ან ღირს ისეთი თანხების გადაყრა, რომელიც საშემოსავლო მუხლით არ იბეგრება და ბიუჯეტში არაფერს ტოვებს?!

მაშ ასე, სიტუაციას ვტოვებთ უცვლელად და ველოდებით ეკონომიკის აღორძინებას, რომელსაც უკვე 20 წელია, ვეჭიდავებით. მაგალითად, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით (დაიმახსოვრეთ, წინასწარი მონაცემებით, ამ ქვეყანაში პრემიებსაც და დანამატებსაც წინასწარ წერენ), 2015 წლის პირველი ცხრა თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 2,7 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (15.7%), საფინანსო საქმიანობა (9.7%), სასტუმროები და რესტორნები (7.9%), ტრანსპორტი (6.8%). ხედავთ, ამ გაჭირვებულ ქვეყანაში რა დარგები ყვავის? მშენებლობა, ბანკები, სასტუმროები, რესტორნები და ტრანსპორტი. ახლა მე რომ ჭკუა მქონდეს, დოლარებით სავსე მუთაქას თავს უნდა ვხსნიდე და რომელიმე ამ დარგში ვიწყებდე ბიზნესს, მაგრამ მუთაქა რომ არ მაქვს, თავი რა ჩემ ფეხებს მოვხსნა? ისე, ჩვენს პატივცემულ სტატისტიკოსებს ნავთობის ბაზარი რატომ გამორჩათ, რა, ეგ სფერო არ ყვავის?! ისინი აქვე დასძენენ, 12-თვიან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა, ანუ სამომხმარებლო ფასები ალკოჰოლურმა სასმელებმა და თამბაქომ 13.4 პროცენტით, ჯანდაცვამ – 9.8 პროცენტით, ხოლო სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა 4.2 პროცენტით გაზარდაო. აჰა, აკი ნოდარ ხადური გვარწმუნებდა, თამბაქოსა და ალკოჰოლზე აქციზის გაზრდა არაფერს გამოიწვევს, ნუ გეშინიათო? საქმე ის გახლავთ, რომ ხშირად ხადურნი და მისთანანი შავზე იძახიან, თეთრიაო, ხოლო თეთრზე – მუქი ლურჯიაო. ჰოდა, კი გვაქვს ცხოვრება მუქ ლურჯ ფერებში!

ჰო, კიდევ ერთი: ამ კვირის განმავლობაში ლაშა თორდიას პარლამენტში ელოდებიან. როდესაც დანამატების შესახებ დასკვნა გამოაქვეყნა, ეგრევე დაიბარეს, მოდი, კაცო, ერთი გაგვაგებინე, ისეთი რა „ჩოთქი“ გაქვს, ეგეთი მაღალი პროცენტები რომ გამოგყავსო. ალბათ, მივა და ამ კვირაშიც გვექნება სანახაობა. აი, პურის კი რა მოგახსენოთ!



**ამ ჩვენს სამინისტროებში იმდენ ყავას სვამენ, თან ჩვენს ხარჯზე, რაღა დააძინებთ? გძინავს? მიიღებ ხელფასს. არ გძინავს? მიიღებ დანამატსაც**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# დავით თევზაძე: „ქართული ოცნების“ დავინახეთ, რომ ასე გაგრძელება

## „განსხვავებით ბევრისგან, ვის ხელშიცაა დღეს მორცხვობის გარეშე გეტყვით, მე მაქვს ცოდნა, გამოცდილება






**„რა, მოვიდა ივანიშვილი შენს სახლში და დაგაძალა, გინდა თუ არა მარგველაშვილს მიეცი ხმაო?!. არ მიგეცათ ხმა, არ აგეღოთ მისი დარიგებული ფული.... აი, ეს არის პრობლემა და არა ის, რომ ბიძინა ივანიშვილმა ძალით აგარჩევინა პრეზიდენტი“**

**თავდაცვის ყოფილი მინისტრი, პარტია „საქართველოს მშვიდობისთვის“ ლიდერი — დავით თევზაძე „კვირის ქრონიკის“ კითხვებს პასუხობს:**

**— ბატონო დავით, 17 ათასი არასამთავრობო ორგანიზაციაა და 300 პარტიაა 3 მილიონ 600 ათასიან ქვეყანაში, ბევრი არ არის? რატომ შექმენით პარტია?**

– ბევრი და ცოტა, ეს პირობითი ცნებებია, საზოგადოება ჩამოყალიბების პროცესშია და ეძებს საკუთარ თავს. ასე რომ, პრობლემატური ამაში არაფერია, რაც ამ ეტაპზე ხდება, ეს არის ბუნებრივი.

**— რა უნდა შეცვალოს თქვენმა პოლიტიკურმა პარტიამ? როგორ გაუწევთ ხელისუფლებას კონკურენციას? შუალედური არჩევნები იყო ტესტი, სადაც ხელისუფლებამ ადმინისტრაციული რესურსი და ხელოვნურად გაზრდილი სპეცუბნები გამოიყენა, თავდაცვის მინისტრმა პოლიტიკური უკულტურობის კლასი აჩვენა და ის საარჩევნო შტაბში თავად ითვლიდა სახელისუფლებო კანდიდატის ბიულეტენებს, როგორ აფასებთ მის ქმედებას?**

– წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, ვინ რას შეცვლის და როგორ, ამას 2016 წლის ოქტომბერი გვაჩვენებს.

**რაც შეეხება საგარეჯოს შუალედურ არჩევნებს, იქ რამდენიმე საინტერესო მომენტი იყო. უპირველესი ის, რომ ამომრჩეველი საარჩევნო ყუთებთან რომ მისულიყო არა 30-35%-ის ფარგლებში, როგორც მივიდა, არამედ თუნდაც 5%-ით მეტი, ვერანაირი რესურსი ამას ვერ დაუპირისპირდებოდა. ასე რომ, ამან ერთგვარად აჩვენა ხელისუფლების არა ძლიერი მხარეები, არამედ სუსტი. ფაქტია, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობა სახლში დარჩა. ის არ ენდო არც ხელისუფლებას, არც მის კონკურენტ პარტიას. ამან განაპირობა ის დრამა, რომელიც გათამაშდა.**

**— ვინ არიან თქვენი პარტიის დამფუძნებლები?**

– სხვადასხვა ადამიანები. პარტიის დამფუძნებელ ყრილობაში 350-დე ადამიანი მონაწილეობდა...

**— ფინანსები საიდან გაქვთ?**

– სად გვაქვს ფინანსები?!

**— საქართველოში პოლიტიკის კეთება ბიზნესად იქცა, ხსნიან პარტიებს და შემდეგ სავაჭრო საგნად იყენებენ. თქვენც ამ გზით ხომ არ მიდიხართ?**

– ჯერ არავინ დაინტერესებულა, რომ ჩვენ რაღაცაზე გვევაჭროს, ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით... რასაც ვაკეთებთ, ჯერჯერობით ამას ჩვენი ჯიბის ხარჯზე ვახერხებთ.

**— რა პოლიტიკური ორიენტაციის ხართ, მემარცხენე თუ მემარჯვენე?**

– ჩვენი პოლიტიკური ორიენტაციასა და საპროგრამო თეზისებზე ცოტა მოგვიანებით ვილაპარაკებ, უშუალოდ საარჩევნო კამპანიის პროცესში.

**— პოლიტიკურ მოკავშირედ რომელ ძალებს განიხილავთ?**

– მოკავშირედ განვიხილავთ ყველა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ქვეყნის მომავალზეა ორიენტირებული.

**— თქვენთვის ვინ არის ასეთი ძალა?**

– გამოჩნდება. პოლიტიკური კონსულტაციები ჯერ არავისთან დამიწყია. ამ ეტაპზე არის საკითხები, რომელსაც ჯერჯერობით ჩემთვის ვინახავ და პრესით არ ვისაუბრებ...

**— სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი იყავით და შეიძლება პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერისა და თქვენი პოლიტიკური გზები გადაიკვეთოს?**

– ქალბატონ სალომესთან მქონდა რამდენიმე შეხვედრა, რამდენადაც ვიცი, ის აპირებს ჩამოსვლას და კიდევ შევხვდებით, საკმარისი არ არის მისადმი ჩემი პოლიტიკური სიმპათიები. მთავარია, მას ჰქონდეს ამის პოლიტიკური ნება, რომ გარკვეულწილად კიდევ შემოვიდეს პოლიტიკურ სივრცეში. პოლიტიკური კონსულტაციები ერთია, მეორეა, სასტარტო პოზიციაზე ერთად დგომა, ამიტომ ამ ეტაპზე არაფრის თქმა არ შემიძლია.

**— ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას შლეიფად მოჰყვება შეძახილები — სად იყავით, როცა სააკაშვილის რეჟიმი გვაუპატიურებდა, გვხოცავდა, ქონებას გვართმევდა?!. რატომ ახლა და არა მაშინ, როცა საბრძოლველი იყო?!. რას აკეთებდით პირადად თქვენ, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დროს?**

– ამ პერიოდში ვასწავლიდი უნივერსიტეტში, მასწავლებელი ისევე როგორც სამხედრო, პოლიტიკის მიღმა უნდა იდგეს, მასწავლებელს აქვს უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია, ვიდრე პოლიტიკოსობაა: მომავალ თაობას გაუხსნას სააზროვნო სივრცე, რომ ის არ დაიკარგოს იმ ცხოვრებაში, რომელიც მას შეხვდება.

**რაც შეეხება ამ ხელისუფლებას, მისი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი აღმოჩნდა იმ უმაღლესი სასწავლებლის გაუქმება, რომელშიც ვასწავლიდი. „აიბი ევროკავკასიური უნივერსიტეტი“ მაქვს მხედველობაში, რომელიც ყოველგვარი მიზეზისა და საფუძვლის გარეშე რატომღაც ამოვარდა უმაღლესი განათლების სივრციდან. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში პროცესი მოვიგეთ, საკითხი არ არის დასრულებული და უკვე მესამე წელია გრძელდება. ბუნებრივია, პრეტენზია მაქვს იმასთან, როგორ იმართება ქვეყანა დღეს და ვინაიდან სხვა ყველა ასპარეზი დაიხურა, გადავწყვიტე, ეს გადავიტანო პოლიტიკურ სივრცეში.**

განსხვავებით ბევრისგან, ვის ხელშიც დღეს არის კანონმდებლობა და მართვა, ყოველგვარი ყალბი მორცხვობის გარეშე გეტყვით, მე მაქვს ცოდნა, გამოცდილება და ისიც ვიცი, რა როგორ უნდა გაკეთდეს...

**— თქვენ ამბობთ, რომ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმისგან განსხვავებით, „ქართული ოცნების“ რეჟიმი გავიწროებთ?**

– დევნა და შევიწროება კიდევ სხვა სიტყვაა, უბრალოდ, ქვეყნის ასეთი ტიპის მართვა ჩვენი ქვეყნის ჩიხში შეყვანაა, ეს ეტყობა ყველაფერს, როცა სხვა სივრცეს არ უტოვებ ადამიანს მოქმედებისთვის, ის ეძებს თავისი ცოდნის, ენერგიის მიღების სხვა წერტილებს. წინა ხელისუფლებამაც სცადა ჩემი მოქმედებების არეალის შეზღუდვა, მაგრამ მაშინ სასამართლო პროცესი უფრო სწრაფად წავიდა და უფრო შედეგიანი იყო. პირველად ჩემი მოქმედების სივრცის შეზღუდვა სცადა განათლების ყოფილმა მინისტრმა ლომაიამ, შემდეგ მინისტრმა ნოდიამ, საბოლოო ანგარიშით, ასე თუ ისე, ჩვენ მოვახერხეთ არა მარტო თავის დაცვა სასამართლოთი, არამედ საკმაოდ ნაყოფიერად ვმოღვაწეობდით და ეს დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობასაც ეტყობა: პრაქტიკულად ყველა დასაქმდა. დღეს კი ჩვენი სტუდენტების ნაწილი უდიპლომოდ დატოვეს, ნაწილი კი, სად გაუშვეს, კაცმა არ იცის...

**ეს გახლდათ ჩემი პოლიტიკაში მოსვლის საბაბი... ფაქტია, ნაბიჯი გადავდგი და პოლიტიკაში შემოვედი, ამ საკითხზე დიდხანს ვფიქრობდი, ძალიან არ მინდოდა, თუმცა ახლა ჩემს წინ აბსოლუტურად სხვა სივრცეა, არ მაინტერესებს, წარსულში რა იყო, რა გამიკეთებია, რა შეცდომა დამიშვია, რაში მივარგია და რაში — არა. ის ცხოვრება დამთავრდა.**

იწყება ახალი და მე ვფიქრობ იმაზე, რა იქნება და არა იმაზე, რა იყო...

**— ნათქვამია, — იფიქრეთ მომავალზე მთელი ცხოვრება, წარსულზე — 5 წუთი... თქვენ კი 5 წუთსაც არ მითმობთ... არადა, თქვენს პოტენციურ ამომრჩეველს ყველა კითხვაზე აინტერესებს პასუხი. მაგალითად, გამოჩნდა ახალი პოლიტიკური სახე პაატა ბურჭულაძე და ხალხი ამბობს, — ჩვენ რომ „დუბინკები“ გვხვდებოდა, ბურჭულაძე მღეროდა...**

– ჯერ ერთი, 9 წლის მანძილზე „დუბინკები“ ვის ხვდებოდა, სულ თითზე ჩამოსათვლელნი არიან ეს ადამიანები და მათი სახელები ყველამ ვიცით. ასე რომ, ძალიან ბევრი ხშირად ლაპარაკობს იმას, რაც მას თავს არ გადახდენია.

**— მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს ჰყავდა 300 ათასი პრობაციონერი...**

– და რომელია რეაბილიტირებული? არც ერთი... და აბა, რაზე მელაპარაკებით?! თუ გგონია, მე იმ 9 წლის მანძილზე ვიჯექი და მაწონს ვჭამდი, ძალიან ცდებით... მე რომ პოლიტიკოსი ვარ, იმიტომაც არ ვფიქრობ იმაზე, რაც დღეს ჩემ წინ ამოცანად არ დგას და თუ ძალიან გაინტერესებთ, ჩემი პოლიტიკური შეფასება რა იყო, არის რამდენიმე პოლიტიკური ტერმინი, რომელსაც ეს შეუძლია აღწეროს: მაგალითად, დესპოტიზმი, ვოლუნტარიზმი (პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვითნებური სუბიექტივისტური გადაწყვეტილებები, რომლებიც უგულებელყოფენ ობიექტურად არსებულ პრობლემებსა და კანონზომიერებებს. – ნ.ს.), იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებების კასკადი, ბევრი სიტყვათა წყობაა, რომელმაც შეიძლება აღწეროს ის რეჟიმი და რა არის დღეს? დღეს შედარებით სუსტი მმართველობაა, თუმცა გვყავს ძალაუფლებაზე ჩაფრენილი ხელისუფლება. „ქართული ოცნების“ მმართველობის 4 წლისთავზე დავინახეთ ის, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება,

**ყველაზე დიდი პრობლემაა საკანონმდებლო დომხალი, რომელშიც პირდაპირ მიუძღვის ბრალი პარლამენტს, რომელიც აბსოლუტურად არაკომპეტენტური ადამიანებით არის დაკომპლექტებული, მეტიც, გაუბედავი ადამიანებით... ამ ადამიანების პრობლემა, როგორც ყველა სხვა დანარჩენის, არის საკუთარი თავი.**

**— დაპირისპირება პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, როგორ ფიქრობთ, ქვეყანას სიკეთეს მოუტანს? და საერთოდ, რას ფიქრობთ „პოლიტიკური ბერმუდის სამკუთხედზე“ — ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, ვინ აღმოჩნდება დაკარგული?**

– ვიდრე პრეზიდენტ მარგველაშვილის საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა, მაშინ ჩემი პოზიცია დავაფიქსირე და დღემდე არ შეცვლილა. ვფიქრობ, დღეს ეს არ არის არსებითი პრობლემა, რაც ჩვენს ხალხს აწუხებს, ამიტომ

# მმართველობის მე-4 წლისთავზე აღარ შეიძლება!“

## კანონმდებლობა და მართვა, ყოველგვარი ყალბი და ისიც ვიცი, რა როგორ უნდა გაკეთდეს...“






**„პიროვნულად, ყველა, ვინც ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობს, არის საფრთხის ქვეშ, თუკი მათი იდენტიფიცირება მოხდა. ზარ-ზეიმითა და ტელეკამერებით რომ აცილებენ ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილე სამხედროებს, მე ამას არ გავაკეთებდი, იმ ადამიანების უკან ოჯახები დგას და იმათაც საფრთხეს ვუქმნით“**

ამ საკითხზე ნერვების მიჭყლეტა არაფერს იძლევა.

**ეს არ შეიცვლება ამ ერთ წელიწადში, არ გადასხვანაირდება, არც პრეზიდენტი შეიცვლება და არც პრემიერი, ერთმანეთისადმი დამოკიდებულებას ისინი არ შეცვლიან, არაფერი შეიცვლება და რით უნდა შევცვალოთ, როგორ უნდა შევცვალოთ, ან „ჩავაჩოჩოთ და გვერდზე გავწიოთ ამაზე უნდა დავფიქრდეთ. უდიდესი ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების გადაფარვა ხდება ასეთი დაპირისპირებებით, ამ მასკარადში არ ჩავერთვები, ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, პრეზიდენტი რას იტყვის დღეს, იმიტომ, რომ ის რისი მთქმელიც იყო და გამკეთებელიც, მაშინვე ვიცოდი, როცა ირჩევდნენ.**

**— თუმცა ხალხმა ივანიშვილის ხათრით აირჩია მარგველაშვილი, რომლისთვისაც მომავალი პრეზიდენტის ბიოგრაფია, აღმოჩნდა, რომ უცნობი ყოფილა...**

– ნუ შევეცდებით, ჩვენი შეცდომები სხვას გადავაბრალოთ, ჩვენს თავზე უნდა ვისწავლოთ პასუხისმგებლობის აღება, საარჩევნო ყუთთან რომ მიდიხარ და ხმაში 100 ლარი გაქვს აღებული, უნდა იცოდე, რომ იმ 100 ლარად გაყიდე არა მარტო შენი მომავალი, არამედ შენი შვილის მომავალიც, მას შენ წაართვი განვითარების საშუალება და არა ივანიშვილმა. რა, მოვიდა ივანიშვილი შენს სახლში და დაგაძალა, გინდა თუ არა მარგველაშვილს მიეცი ხმაო?!. არ მიგეცათ ხმა, არ აგეღოთ მისი დარიგებული ფული... აი, ეს არის პრობლემა და არა ის, რომ ბიძინა ივანიშვილმა ძალით აგარჩევინა პრეზიდენტი.

**— როგორ ფიქრობთ, დავით ნარმანია ვადაზე ადრე დაასრულებს მერობას?**

– ნარმანია არ არის ის კაცი, რომელიც თავისი ნებით გადადგება. ძნელი სათქმელია, შეიქმნება თუ არა საკმარისი საფუძველი იმისა, რომ იმპიჩმენტის გზით გადააყენონ. სასურველია, საარჩევნო ციკლი დაასრულოს მერმა და ჩვენ მოვემზადოთ მერის შემდგომი არჩევნებისთვის. მაგრამ ვიღაც თუ არ ითმენს, შეიძლება ამ საარჩევნო ციკლის შეწყვეტაც... ის ადამიანები, ვინც მიიჩნევენ, რომ სხვაზე მეტი პოლიტიკური კულტურა აქვთ, ამაზე დაფიქრდნენ, შეუძლიათ თუ არა თანამდებობა დატოვონ მაშინ, როცა მათი თანამდებობაზე ყოფნა წინააღმდეგობაში აღმოჩნდება საზოგადოებასთან. მაგრამ ეს არ შეუძლიათ, იმიტომ, რომ

**დარღვეულია მთავარი ღერძი საზოგადოების არსებობისა: ჩვენთან ძალაუფლება არის კეთილდღეობა და ადამიანს ყველაზე მეტად უჭირს კეთილდღეობაზე უარის თქმა.**

სხვათა შორის, ამის გამოც სჭირდება ადამიანს ღმერთი, რომ ზნეობაში განამტკიცოს.

**— თქვენ ამბობთ, რომ არ გაქვთ ფული, არჩევნებში მონაწილეობას როგორ აპირებთ?**

**— არჩევნებზე ფული არ არის მთავარი, თუმცა არჩევნებს ფულიც სჭირდება...**

**— საიდან აპირებთ ამ ფულის მოტანას?**

– ვფიქრობ...

**— ეს იქნება დასავლური თუ რუსული ფული? — მართალია, ფულს წარმომავლობა არა აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში პოლიტიკოსების საგარეო ორიენტაციის დაყოფა ფულის წარმომავლობის მიხედვით ხდება...**

– ეს არის ის კლიშეები, რომელსაც თავს გვახვევენ და ამას არ ავყვები. ჩემი პოლიტიკური ორიენტაცია არის საქართველო და მისი მშვიდობიანი მომავალი...

**— 13 ნოემბერს პარიზში დატრიალებულმა სისხლისმღვრელმა ტერაქტებმა მსოფლიო წესრიგი შეცვალა და მსოფლიოს ახალი გადანაწილების პირისპირ დავდექით. საფრანგეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ნატოში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს უარი უნდა ეთქვათ, ჩვენ რუსეთის პირისპირ გვტოვებენ... ისლამურმა ხალიფატმა ცივილიზებულ სამყაროში პუტინის როლი გაზარდა და მსოფლიოს გადანაწილების პროცესში დასავლეთი თმობს საქართველოს რუსეთის სასარგებლოდ. ამ ფონზე თინა ხიდაშელის ისტერიული რიტორიკა, — თუ ნატოში არ მიგვიღებთ, 2016 წელს საქართველოში პრორუსული ძალები მოვლენო, რას ემსახურება და თავდაცვის მინისტრის სახით ხომ არ მივიღებთ თინათინ ალ ბაღდადს, რომელსაც შემდგომ მთელი ცივილიზებული სამყარო დაუპირისპირდება რუსეთის სასარგებლოდ?**

**— თინათინი რომ მინისტრად ინიშნებოდა, მას ჰქონდა ერთი უპირატესობა, ყველა თავის წინამორბედთან შედარებით (მხედველობაში მყავს სამოქალაქო მინისტრები), ის იყო ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი. ჩემდა გასაკვირად, მეჩვენება, რომ ყველაზე ნაკლები პოლიტიკური ალღო აღმოაჩნდა, ის ფრაზეოლოგია, რასაც ის იყენებს, არის შანტაჟი. ერთია, რომ აშანტაჟებ შიგნით, საქართველოს მოსახლეობას და ეს შეიძლება პოლიტიკური ხერხი იყოს, თუმცა სადავო, მაგრამ გარეთ რომ გაგაქვს ეს ფრაზეოლოგია, ეს უკვე პარტნიორების შანტაჟია.**

აქ შეიძლება წაიბორძიკო და საკმაოდ სერიოზულად. სხვათა შორის, არაჩვეულებრივი ბაბუა მყავდა, დიდხანს იცოცხლა და სულ მახსოვს, ამბობდა, – მეტს ილაპარაკებ, მეტ შეცდომას დაუშვებ... მინისტრის სავარძელში მჯდომი ადამიანისთვის, ხშირად ბევრად უმჯობესია არ თქმა, ვიდრე თქმა...

**— თინათინ ალ ბაღდადმა ისიც კი დაიქადნა, რომ ჩვენ რუსეთთან ბრძოლაში გმირულად დავიხოცებით...**

**— „გმირულად დაღუპვა“ და ეს ბლეფები ელაპარაკოს იმას, ვინც არ იცის, ეგ რა არის... გმირულად დამღუპავი უკვე დაიღუპებოდა, ამის შანსი ჰქონდა მასაც და მის თაობასაც. და ძალიან ბევრიც მინახავს გმირულად დაღუპული. ჩვენ რეალურად აღმოვჩნდებით იზოლაციაში, თუ თავდაცვის მინისტრის სიტყვათა წყობას საგარეო საქმეთა სამინისტროც აჰყვება...**

**— მესამე მსოფლიო ომის პირისპირ ვდგავართ, საქართველო მოიაზრება შავი ჯიჰადის სატრანზიტო დერეფნად, რა საფრთხეები გველოდება?**

– უფრო სერიოზული საფრთხეების წინაშე ვდგავართ, ვიდრე ეს ხელისუფლებამ გააჟღერა. მე იშვიათად ვლაპარაკობ ასეთ თემებზე, დღეს შეიძლება რაღაცას ვერ ხედავდე, მაგრამ ხვალ აღმოჩნდე ფაქტის წინაშე, ჩვენი ამოცანაა ამ მოცემულობიდან უვნებლად გამოვიდეთ, თუ მოახერხებს ხელისუფლება იმ ადამიანებთან ერთად, ვინც დასაქმებული ჰყავს ამ სფეროში იმ საფრთხეების გაცნობიერებას და უვნებლად ამ სივრციდან გამოსვლას, კარგი იქნება. არავინ არაფრისგან დაზღვეული არ არის. ითქვა, რომ ტერორისტები ძირითადად ურტყამენ განვითარებულ მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს – საფრანგეთს, ამერიკას, რუსეთს... ჩვენ ამ სახელმწიფოებში არ ვწერივართ და ამიტომ ნაკლები საფრთხის ქვეშ ვართ. როდესაც ვამბობ, რომ დაზღვეული არ ვართ-მეთქი, მხედველობაში მაქვს ისეთი ფაქტი, რაც მალიში მოხდა, რომელიც, ასევე, არ არის იმ რანგის ქვეყანა, როგორიც ამერიკა ან საფრანგეთია. ძალიან მაღალი უნდა იყოს ინფორმაციის ნაკადისა და მისი დამუშავების ხარისხი, ასევე, ძალიან მაღალი უნდა იყოს პროფესიონალიზმი იმ ადამიანებისა, რომელთაც ამ ინფორმაციის რეალიზაცია ევალება ადგილზე გარკვეული მოქმედებების ჩატარებისთვის.

**პრობლემა ისლამში არ არის, პრობლემაა ისლამზე ამოფარებული პოლიტიკა.**

**— ისლამურ ხალიფატში საქართველოდან წასულმა მებრძოლებმა შეიძლება ჩვენზე შური იძიონ, როგორც ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილე ქვეყანაზე?**

– როგორ არ შეიძლება. პიროვნულად, ყველა, ვინც ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობს, არის საფრთხის ქვეშ, თუკი მათი იდენტიფიცირება მოხდა. ზარ-ზეიმითა და ტელეკამერებით რომ აცილებენ ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილე სამხედროებს, მე ამას არ გავაკეთებდი, იმ ადამიანების უკან ოჯახები დგას და იმათაც საფრთხეს ვუქმნით. საფრთხე ის კი არ არის, რომ ქვეყანა „გადაგიდგან“, საფრთხე შენს მოქალაქეებს ემუქრება. როცა ანტიტერორისტული სპეცოპერაციების შემდეგ სამხედრო სახლში ბრუნდება, იმას ვინ იცავს? რამდენია ასეთი, ზოგი ერაყის მისიაში იყო, ზოგი – ავღანეთის... ამ ადამიანებზე ვინ ფიქრობს და ვის გაახსენდა ეს ადამიანები, როცა საფრთხეებზე ლაპარაკობდნენ? აი, ეს არის პრობლემა. სამწუხაროდ, საფრთხეებს რეალურად ბოლომდე ვერ აცნობიერებენ ისინი, ვისაც კონკრეტულად ეხება ეს. გამოდიან ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით, ზუსტად მაგის შედეგი იყო, რომ 13 ივნისის წყალდიდობის შედეგად გამოქცეულმა ვეფხვმა ერთი კვირის თავზე თბილისის ცენტრში კაცი შეჭამა.

**სულ 5 ცალი ვეფხვი იყო ზოოპარკში და რამდენი აკლდათ, ის ვერ დაადგინეს, ესენი ტერორისტებს გამოავლენენ?!**

სახელმწიფო რომ ხარ, უნდა იზრუნო და შექმნა, მაგალითად, პანკისში ახალგაზრდებისთვის ისეთი პირობები, რომ ისინი ისლამურ სახელმწიფოში არ წავიდნენ... ამას სჭირდება ფიქრი და გამოსწორება. ადამიანებმა თვითრეალიზაცია უნდა შეძლონ იმ საზოგადოებაში, რომელიც მათ ეკუთვნით.

**ერთ კონკრეტულ მაგალითს მოგიყვანთ, ისლამურ სახელმწიფოში ომარ ალ შიშანის სახელით იბრძვის ადამიანი, რომელიც აიძულეს, საქართველო დაეტოვებინა. არაჩვეულებრივი მეთაურია, რომელიც ქართული არმიიდან არათუ მხოლოდ გააგდეს, იარაღი ჩაუდეს და დააპატიმრეს, გაანადგურეს და ლუკმა-პური გაუხადეს საშოვნელი... ამისთვის წავიდა იქ.**

აი, ეს არის რეალობა და ამ სიტუაციის გამოსწორებას სჭირდება ფიქრი და არა იმას, ვინ ვის რა უთხრა... ისტორია ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს და დღეს ვინ ვის რა უთხრა, აღარავის ემახსოვრება.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61






## იქნებ ტრადიციული მწერლობა მოდაში აღარც არის? პრინციპში, არც უმაგისობაა, საკუთარ დედაზე თუ არ „გიდგება“, რაა მამული, რა ფასი აქვს რომანის ან ლექსის წერას, რატომ უნდა წამოგვსვას თავის სტუდიაში ჯაჯანიძემ, რამიშვილმა თუ ჟორჟოლიანმა, ვის დაჰკარგვიხარ?









იყო დრო, ქართველი მწერლები ბობოქრობდნენ, ხმაურობდნენ, ლაპარაკობდნენ, ითხოვდნენ, აკრიტიკებდნენ. მართალია, სააკაშვილის ხელისუფლებას ფეხებზე ეკიდა, მაგრამ ქართული სიტყვის ოსტატებს მის გადაშენებაში წვლილი მაინც შეჰქონდათ. ბოლო ორი წლის განმავლობაში მათ შესახებ აღარაფერი ისმის, თითქოს გაჩუმდნენ, თითქოს ყველაფერზე ყაბულს არიან, თითქოს დაიღალნენ. იქნებ სულაც არ დაიღალნენ და ტრიბუნას აღარავინ უთმობთ, იქნებ ტრადიციული მწერლობა მოდაში აღარც არის? პრინციპში, არც უმაგისობაა, საკუთარ დედაზე თუ არ „გიდგება“, რაა მამული, რა ფასი აქვს რომანის ან ლექსის წერას, რატომ უნდა წამოგსვას თავის სტუდიაში ჯაჯანიძემ, რამიშვილმა თუ ჟორჟოლიანმა, ვის დაჰკარგვიხარ? როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, **ბალათერ არაბული** ამბობს „ქრონიკასთან“ საუბარში, მათ არსად არ ეძახიან.

**— როგორც ჩანს, ყურადღების მიქცევის ხელოვნება გაქვთ დასახვეწი, მაგალითად, პარიზში ტერაქტი მოხდა, თქვენი ხმა არ გამიგია, ლარს დედა ეტირა — თქვენი ხმა არ გამიგია, „ნაციონალები“ სისხლისღვრას აპირებდნენ — თქვენი ხმა არ გამიგია, ერთი განცხადება არსად არ გაგიკეთებიათ. რომელი ერთი ჩამოვთვალო?**

**— ხუთი დღის წინ ჩავატარეთ აქცია — „ლიტერატურა საზღვრებს გარეშე“, თითქოს რამდენიმე ტელევიზიიდან მოვიდნენ, მაგრამ საერთოდ არ გააშუქეს. ბულგარელი და ბერძენი მწერლები ჩამოვიდნენ, არავის არ გაუშუქებია.**

**— კარგი, ეს გასაგებია... გადავიდეთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, რაც ქართველი ხალხის თავზე ტრიალებს, მოგწონთ?**

– რა უნდა მოგვწონდეს? რაც ჩვენს თავს ხდება, ამაში ყველა ვართ დამნაშავე, ზოგიერთს ამდენის უფლებას რომ ვაძლევთ. დღეს ქართულ პოლიტიკაში ტრიალებს ორი ძალა – „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“, პირველმა ძალამ სამი წლის განმავლობაში ვერ დაიმკვიდრა თავი, ვერ შექმნა საკუთარი პოლიტიკური სამყარო თუ პლატფორმა, რაღაც გამოკვეთილი მიმართულება. მეტიც, ის გაიხლართა პრემიებში, დანამატებსა და ნეპოტიზმში. ამათ ავანტიურისტ „ნაციონალებს“ მისცეს საბაბი, რომ იქით გადავიდნენ შეტევაზე. ხომ ხედავ, როგორ ჩაითრიეს „რუსთავი 2“-ის ამბებში? ფაქტობრივად, ეს იყო „ნაცმოძრაობის“ მიერ დადგმული სპექტაკლი, თითქოს, თუ ამ ტელევიზიას ძველ მეპატრონეებს გადასცემდნენ, საქართველოს თავს დაატყდებოდა დიდი უბედურება. როცა ქიბარ ხალვაშმა პროკურატურაში ქონების დაბრუნებაზე საჩივარი შეიტანა, მაშინ „ოცნებამ“ ფეხებზე დაიკიდა. როცა სააკაშვილს დასჭირდა არეულობის მოსაწყობად, უცებ გაააქტიურეს. დღეს ჩვენ კვლავ ვცხოვრობთ სააკაშვილით და მისი „რუსთავი 2“-ით, ეს ადამიანი საქართველოდან არ წასულა, შეუძლია, ყოველ საღამოს დაგვიჯდეს ეკრანზე და დაგვმოძღვროს, გაგვიბრაზდეს, გაგვკიცხოს, ნერვები მოგვიშალოს. ამაში ყველაზე დიდი

**დანაშაული მიუძღვის „ქართულ ოცნებას“, ბიძინა ივანიშვილის გუნდმა ვერ შეძლო, თავიდანვე აეღო ის სიმაღლე, რაც საჭირო იყო ეკონომიკური წინსვლისთვის და სამართლიანობის აღდგენისთვის, ამათ დამნაშავეები აქციეს დაჩაგრულებად, კოჰაბიტაციის გავლენა დღესაც გრძელდება. გამგეობებში, მერიაში, კულტურის სამინისტროში, სხვა სამინისტროებში ისევ „ნაციონალების“ „პარადია“, ისინი ფარულად ეწევიან მავნებლობას და უკვე რეპრესიებზეც კი გადავიდნენ. რაც შეეხება პრემიებსა და დანამატებს, ეს კიდევ ერთი უბედურებაა, ჯერ პრემიები ერქვა, ახლა გადააკეთეს დანამატებად და უფრო ეშხში შევიდნენ.**

ერთი იქნება თუ მეორე, რა მნიშვნელობა აქვს, 5 ათასზე რომ კიდევ 5 ათასს იმატებ, ნამუსი აღარ გაქვს? ზოგიერთის წლიური ხელფასი უკვე 100-150 ათასზე ადის მაშინ, როცა ქვეყანაში 160-ლარიანი პენსიონერები გვყავანან. თუნდაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები ავიღოთ, რომლებიც ბათუმში არიან წამოკოტრიალებულები და არაფერს აკეთებენ, რამხელა ხელფასები აქვთ? საკონსტიტუციო სასამართლო აღარც კი მახსოვდა, ბოლო ხანებში გამოჩნდნენ და თავიანთივე კანონები გააუქმეს. უქნარა პაპუაშვილს აქვს 8 ათასი თვეში, ჰყავს 10 მოადგილე და თითოეულს აქვს 6 ათასი ლარი. როდესაც ამხელა ხელფასს იღებ, რა სინდისით იმატებ კიდევ ერთი ამდენს?

**— აი, სწორედ ახლა ვკითხულობდი. ცესკოს თავმჯდომარეს, თამარ ჟვანიას შარშან და წელს მიუღია 252 ათასი ლარი. თან თავისი სანათესაო შეუყრია და მიდის ბაირამობა!**

– ჰოდა, ეს კოშმარი არ არის? აგერ, ქუცნაშვილმა არ შეიტანა პარლამენტში ინიციატივა ამ პრემიებსა და დანამატებზე? არა მგონია, ზაქარიას ეს ყველაფერი პიარის გულისთვის გაეკეთებინა.

**— საქმე გაკეთდეს და იყოს პიარი, სულაც არ მაინტერესებს.**

– რა თქმა უნდა... ქუცნაშვილს მხოლოდ 44-მა კაცმა დაუჭირა მხარი, ხომ წარმოგიდგენია, რა დამოკიდებულება აქვთ დანარჩენებს? არადა, ესენი ხალხზე ზრუნვის სახელით შევიდნენ პარლამენტში. ახლა ხომ ჩანს, როგორ ზრუნავენ საკუთარ ჯიბეებზე? ეჭვი მეპარება, ესენი მომავალზე საერთოდ ფიქრობდნენ. მოკლედ, ისე არ მიდის საქმე, როგორც უნდა მიდიოდეს. ყველაზე დიდი ტრაგედია კიდევ ისაა, რომ პოლიტიკურ ველზე დარჩა მხოლოდ ორი მოთამაშე, „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“, ბოლო დროს „პატრიოტთა ალიანსი“ გამოიკვეთა, მაგრამ რა დამოკიდებულებაც გამომჟღავნდა, ვნახეთ. ჩემი აზრით, ხელისუფლებამ ირმა ინაშვილის გადაგდებით დიდი შეცდომა დაუშვა, პარლამენტში რომ შეეშვათ, „ოცნების“ დეპუტატებზე უკეთესად შეუტევდა „ნაციონალებს“. დღეს რომ ვუყურებ, ერთი-ორი კაცის გარდა, ხმას არავინ იღებს.

**გარდა ამისა, საზოგადოებაში უკვე შეიქმნა განწყობა, რომ 2016 წელს არჩევნები აუცილებლად გაყალბდება. არ ვიცი, ეს ყველაფერი სჭირდებოდა კი ბიძინა ივანიშვილს? ჩვენ რა გარანტია გვაქვს, რომ მომავალი არჩევნები სამართლიანი იქნება?**

**— პაატა ბურჭულაძე ამბობს, მე მარგველაშვილსაც გავუწევ კონკურენციას და ბიძინა ივანიშვილსაცო, არადა, თვითონ მარგველაშვილის ქვეშევრდომია.**

**— მაგან მიშა მაჭავარიანის ძმა დაიყენა გვერდით და ამით ყველაფერია ნათქვამი. მაჭავარიანი მარგველაშვილის კაცია. იქ გამოჩნდა უკვე გია ხუხაშვილი, რომელიც აშკარად გამოხატავს სიმპათიებს პრეზიდენტის მიმართ. უკვე იკრიბებიან და იკვეთება ბურჭულაძის ჯგუფი. როგორც მე ვიცი, ადრე ბურჭულაძეს ჰქონდა რაღაც მოლაპარაკება ივანიშვილთან, მაგრამ ახლა ცალკე თამაში დაიწყო. ეგ დეკემბერში ჩაატარებს ყრილობას და თავის ფონდს გადააკეთებს პარტიად. მერე იქ შევლენ ალასანიას გუნდის წევრები, „გირჩები“, „ქინძები“ და ასე შემდეგ. ხუხაშვილს უკვე აღრენა ეტყობა და ცოტა სასაცილო იქნება, ის რომ ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდება. ბიძინამ ჩააჩოჩა და ამის გამოა ნაწყენი. ბურჭულაძე-მარგველაშვილის შტაბი ერთგვარად იქნება ივანიშვილის მიერ ჩამოწერილი ხალხის თავშესაფარი.**

ამ მომღერალს ერთი სახელი აქვს და შეიძლება ამათთან პოლიტიკურ თამაშებში ჩართვით ესეც გაანიავოს.

**— მწერლებში რა განწყობაა, რა აზრი ტრიალებს, დაპირებების შეუსრულებლობას მწარედ განიცდით თუ ყველაფერს გაგებით ეკიდებით?**

– ჩვენ ზოგიერთ პარტიაზე მეტი ხალხი გვყავს კავშირში. რასაკვირველია, მწერლების დიდ ნაწილში არის ნიჰილიზმი, მაგრამ უმეტესობა მაინც მხარს უჭერს ბიძინა ივანიშვილს.

**— რატომ უჭერენ ისევ მხარს, თუკი დიდ ნაწილში ნიჰილიზმია? ვთქვათ სიმართლე, გაუფასურდა ლარი, გაძვირდა ცხოვრება, ყოველდღე ძვირდება მედიკამენტები, პროდუქტები.**

– ივანიშვილმა პიროვნულად იმდენი გააკეთა თუნდაც პოლიტიკაში მოსვლამდე, რომ ეს ქველმოქმედება დღემდე მოდის. ბევრი ფიქრობს, რომ პრობლემა ჩინოვნიკებში, „ნაცმოძრაობასა“ და თავად ხალხშია. ხან მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამათ პიარისა საერთოდ არაფერი გაეგებათ, რაც დასავლეთსა და აღმოსავლეთში გზები გაკეთდა, სააკაშვილი ამას ათჯერ გახსნიდა საზეიმო ვითარებაში. მე ყველაფერს კრიტიკულად ვუყურებ, მაგრამ რაც კეთდება, ამაზეც უნდა ვთქვა. მოკლედ, ინერცია მუშაობს, ივანიშვილს ჯერ კიდევ აქვს მხარდაჭერა, მაგრამ 2016 წელი უნდა იყოს გადამწყვეტი მისთვისაც და ქართველი ხალხისთვისაც. როგორც ამბობენ, ბიძინა ივანიშვილი უკვე მზადაა, ყველა საქმე გადადოს და ისევ აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკაში. მისი პარტია, ფაქტობრივად, არ მუშაობს, რეგიონებში ოფისებიც კი არ აქვთ, ეს პატარა ბიჭი რომ დასვეს ცენტრალურ ოფისში, კობახიძე, რას აკეთებს? ამათ მოსახლეობასთან უნდა ჰქონოდათ და ახლაც უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა, მაგრამ სად არიან? ჩაიკეტნენ თბილისში და მორჩა, თუ ივანიშვილი პოლიტიკაში არ ჩაერთო, შეიძლება „ოცნებამ“ უმრავლესობა დაკარგოს და სადღაც 30 პროცენტზე მეტი ვერ აიღოს. როგორც ვნახეთ, ამ პოლიტიკოსებზე დაყრდნობა არ შეიძლება.

# ვინ შეითავსებს ნარმანიას უფლება-მოვალეობებს და როდის დაინიშნება თბილისის მერის არჩევნები?

**მაინც რა ხდება და რატომ გახდა დღეს აქტუალური დავით ნარმანიას გადაყენება საკრებულოს ,,ქართული ოცნების'' დეპუტატებისთვის? ესენი არ იყვნენ, ნარმანიასა და მის უუნარო მთავრობას ზედ რომ ეფოფრებოდნენ, მათ მართლა ნებისმიერ მიქარულს რომ ,,უპრავებდნენ'' და იმ ჩასვრილ უკანალსაც დიდი მონდომებით წმენდნენ?**

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



თბილისის საკრებულომ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი მერიას უკან დაუბრუნა. დეპუტატებმა არასწორად შერჩეული პრიორიტეტების გამო, დოკუმენტი ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაიწუნეს... ოპოზიციაში მიიჩნევენ, რომ ეს, შესაძლოა, დავით ნარმანიას იმპიჩმენტის საფუძველი გახდეს. ოპოზიციის ამ მოსაზრებას საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის, თედო კობახიძის განცხადება მოჰყვა. მან არ გამორიცხა, რომ ბიუჯეტის პროექტის ჩაგდებას, შესაძლოა, დავით ნარმანიას იმპიჩმენტის საკითხის დაყენება მოჰყვეს. გარდა ამისა, საკრებულოს კულუარებში ღიად საუბრობენ, რომ „ქართული ოცნება“ მზად არის, ნარმანია მოიცილოს, უმრავლესობის ზოგიერთი წევრი აცხადებს, რომ მათ მობეზრდათ ნარმანიას ჩასვრილი საქმეების გამოსწორება, მისი მუდმივი „გაპრავება“ და მისთვის ხელის დაფარება.

მაინც რა ხდება და რატომ გახდა დღეს აქტუალური დავით ნარმანიას გადაყენება საკრებულოს „ქართული ოცნების“ დეპუტატებისთვის? ესენი არ იყვნენ, ნარმანიასა და მის უუნარო მთავრობას ზედ რომ ეფოფრებოდნენ, მათ მართლა ნებისმიერ მიქარულს რომ „უპრავებდნენ“ და იმ ჩასვრილ უკანალსაც დიდი მონდომებით წმენდნენ? ესენი არ იყვნენ, დავით ნარმანიას ნებისმიერ ახირებას, თვით აბსურდსა და სისულელეს, კანონად რომ აქცევდნენ და საკრებულოში თბილისის მერის ნებისმიერ ინიციატივას მწვანე ჰქონდა ანთებული? ერთი-ორი დეპუტატის გარდა, უმრავლესობის წევრები, განსასჯელად და საკამათოდაც კი არ აქცევდნენ ხოლმე ნარმანიას სურვილებს, ისე ამტკიცებდნენ. ვითომ მართლა მობეზრდათ უმრავლესობის წევრებს ამ უმაქნისი მერის ძიძაობა და დამოუკიდებლად გადაწყვიტეს, რომ ნარმანია გადააყენონ? დავიჯერო, უმრავლესობის დეპუტატთა ერთმა ნაწილმა ეს გადაწყვეტილება მართლა დამოუკიდებლად მიიღო? არა. ნამდვილად არ მჯერა, რომ საკრებულოს ის უმრავლესობა, ნარმანიას ყველა სისულელეს აგერ ახლახან ტაშს რომ უკრავდა, დღეს ბიუჯეტის არასწორად დაგეგმვის გამო დაუპირისპირდა მას და მეტიც, მის გადაყენებაზე ფიქრობს. ოფიციალურად, საკრებულოს უმრავლესობა დღეს უკმაყოფილოა იმით, რომ დავით ნარმანიას მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტში, რამდენიმე მილიონითაა გაზრდილი მერიის ადმინისტრაციული ხარჯები, აქედან 7 მილიონით მერიის თანამშრომელთა სახელფასო ფონდი იზრდება. უმრავლესობაც და უმცირესობაც თვლის, რომ ეს უკვე ნამეტანი ფუფუნებაა მერიის მაღალჩინოსანთათვის. მიაჩნიათ, რომ მერმა მუნიციპალური ავტობუსების მძღოლებს, მეტროს თანამშრომლებს, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებსა და მერიის სტრუქტურებში დასაქმებულ ქვედა რგოლებს ხელფასები უნდა გაუზარდოს, თავად დავით ნარმანიამ და მერიის სხვა ხელმძღვანელებმა კი ქამრები უნდა შემოიჭირონ. საკრებულოს უმრავლესობას, რატომღაც, შარშან არ გახსენებია არც მეტროს ვატმანები და არც ავტობუსის მძღოლები, როცა დავით ნარმანიამ 2015 წლის ბიუჯეტში 38%-ით გაზარდა ადმინისტრაციული ხარჯები წინა, 2014 წელთან შედარებით და ეს ბიუჯეტი უმრავლესობამ გრიალით დაიმტკიცა.

საკრებულოს უმრავლესობის წევრები ახლა ამბობენ, რომ დავით ნარმანიამ თავი ვერ გაართვა თბილისში მოძალებულ პრობლემებს, ვერც ერთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პრობლემა ვერ მოაგვარა. კარგით, ერთი, რა! ერთი წელია, მაგას გავყვირი, რომ ნარმანიამ ვერც ერთი სერიოზული საკითხი ვერ გადაუჭრა თბილისელებს, 1 წელი და 3 თვე გავიდა, რაც ქალაქი ჩაიბარა და ხალხს არც ერთი წინასაარჩევნო დაპირება არ შეუსრულა, ამასვე გაიძახის საკრებულოს მთელი ოპოზიცია, „ქართული ოცნების“ დეპუტატები კი დავით ნარმანიასა და მის უსახურ მთავრობას აქებდნენ, მათ მიერ გაკეთებული რაღაც უმცირესი საქმეებით მოსწონდათ თავი და ისე აპიარებდნენ, თითქოს თბილისი ნარმანიამ ააშენა, პირში ბურთს სჩრიდნენ ოპოზიციას, შავზე აცხადებდნენ, თეთრიაო და ამით თბილისელებს შეურაცხყოფდნენ. ხედავთ? თურმე დავით ნარმანია არ ვარგებულა და ესენი სულ ტყუილად იჭაჭებოდნენ – ეგეთი მერი ლონდონსაც კი არ ჰყავსო. თქვე დალოცვილებო, რაღაც ერთი-ორი თვის წინ აკი ვარსკვლავებს ეთამაშებოდა დავით ნარმანია და ამ მოკლე დროში ისე გაუბედურდა ეს კაცი, რომ მოსახსნელადაც გაიმეტეთ? სად არის აქ ლოგიკა? ლოგიკა და სიმართლე კი ის არის, რომ საკრებულოს უმრავლესობა ცრუობდა და ხალხს თვალში ნაცარს აყრიდა, თორემ ნარმანია რომ ღმერთს არ უქნია, ეს ჩემზე უკეთ მაგათ იციან.

**თბილისის საკრებულოს უმრავლესობა 2016 წლის ბიუჯეტსაც ისევე უპრობლემოდ დაუმტკიცებდა დავით ნარმანიას, როგორც წინა წლის ბიუჯეტი დაუმტკიცა, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი ფაქტორი. დავით ნარმანიასა და მისი გუნდის უუნარობა საკრებულოს უმრავლესობას კი არ ამოუვიდა ყელში, არამედ ბიძინა ივანიშვილს. „ქრონიკა“ რამდენიმე თვის წინ წერდა, რომ ბიძინა ივანიშვილი დავით ნარმანიას მუშაობით არათუ უკმაყოფილო იყო, მისი ხსენებაც კი არ სურდა, მასთან ყველა კომუნიკაცია გაწყვიტა და სერიოზულად ფიქრობდა მის მოცილებას. საკრებულოს „ქართული ოცნების“ დეპუტაცია კი ბიძინა ივანიშვილის მორჩილია, ორიოდე კაცის გამოკლებით, რასაც ივანიშვილი დაუკვეთთ, უსიტყვოდ შეასრულებენ. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ივანიშვილმა გასცა ბრძანება, ნარმანია მოიშორონ და თუ ეს ასეა, ბიუჯეტი საბაბია და არა მიზეზი ნარმანიას გადასაყენებლად და სავარაუდოდ, ამ ბიუჯეტს გადააყოლებენ მერს. თუმცა, ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ დავით ნარმანიამ საკრებულოს კორექტირებული ბიუჯეტი წარუდგინოს, მისი ყველა შენიშვნა გაითვალისწინოს და საკრებულომ მერის იმპიჩმენტის საკითხზე აღარ იმსჯელოს. ასეთ შემთხვევაში, მაინც ბიძინა ივანიშვილთან მივდივართ. თუ ეს მოხდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ივანიშვილის ბოლო გაფრთხილება იქნება ნარმანიასთვის**

და თუ თბილისში რადიკალურად არ შეცვალა ბევრი რამ, მას გადააყენებენ მაშინ, როცა ივანიშვილი ამას მოისურვებს. მერის გადასაყენებლად კი, ჩაგდებული ბიუჯეტის გარდა, სხვა საბაბსაც იოლად იპოვის საკრებულო. საკრებულოს შეუძლია, მერს დაუსაბუთოს, რომ ის სათანადოდ ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ამის საფუძველზე გადააყენოს. საკრებულოს ამაში ვერავინ შეედავება, „თვითმმართველობის კოდექსში“ წერია, რომ არჩეული მერის მიერ მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, შესაძლოა, მისთვის საკრებულოს მიერ ნდობის შეწყვეტის საფუძველი გახდეს.

**თბილისის მერის იმპიჩმენტის პროცედურებზე, ვადებსა და სხვა საკითხებზე, „ქრონიკას“ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი, ირმა პავლიაშვილი ესაუბრა.**

**— ირმა, თუ საკრებულომ არ მიიღო თბილისის მერის წარმოდგენილი ბიუჯეტი, შემდეგ ავტომატურად დგება მერის იმპიჩმენტის საკითხი?**

– საკრებულოს გარკვეულ ვადებში უნდა წარედგინოს ბიუჯეტი, რომელსაც საკრებულო განიხილავს. თუ შენიშვნები ექნება, მას ბიუჯეტს თან დაურთავს და უკან, მერს დაუბრუნებს. ასეც მოხდა. მერს ამ კონკრეტულ შემთხვევაში, 10 დეკემბრამდე აქვს ვადა, გაითვალისწინოს საკრებულოს შენიშვნები და შესწორებული და შეცვლილი ბიუჯეტი ხელახლა შეიტანოს საკრებულოში დასამტკიცებლად. ამის შემდეგ საკრებულო კვლავ განიხილავს ბიუჯეტს. თუ საკრებულოს შენიშვნები გათვალისწინებული იქნება ამ ბიუჯეტში, დაამტკიცებს, თუ არა და, არ დაამტკიცებს. ასეთ შემთხვევაში, საკრებულო უკვე თავად, მერის გარეშე ამტკიცებს მის მიერვე მომზადებულ, საკრებულოს ინიცირებულ ბიუჯეტს, ანუ იმ ბიუჯეტს, რომელიც მერმა არ გაიზიარა. ამას სჭირდება საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის 3/5. მერის მიმართ უნდობლობის გამოცხადებას, ანუ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას სჭირდება სიითი შემადგენლობის 1/5, ხოლო მერის უფლებამოსილების შეწყვეტისთვის, ანუ მის გადასაყენებლად საჭიროა სიითი შემადგენლობის 2/3.

**— საკრებულო საკუთარ ინიცირებულ ბიუჯეტს თუ დაამტკიცებს, ეს უკვე იძლევა იმის საფუძველს, რომ მერის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს?**

– კი, ამ შემთხვევაში საკრებულოს აქვს კანონიერი უფლება, დაიწყოს მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა.

**— დავუშვათ, გადააყენეს მერი, ვინ მართავს ახალი მერის არჩევამდე ქალაქს?**

– მერის მოადგილე, რომელიც მერის სამსახურში არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ითავსებდა. ასეთი მოადგილე თვითმმართველი ქალაქის ყველა მერსა და გამგებელს ჰყავს. ახალი არჩევნების ჩატარებამდე და მისი შედეგების გამოქვეყნებამდე, მერის მოადგილე დროებით ითავსებს მერის ფუნქციებს.

**— მერის არჩევნები რამდენ ხანში უნდა დაინიშნოს?**

– თუ გადაყენებული მერის უფლებამოსილების ამოწურვამდე რჩებოდა 1 წელი ან ნაკლები, მაშინ ახალ არჩევნებამდე მერის მოვალეობას ეს ვიცე-მერი შეასრულებს, ასეთ შემთხვევაში ვადამდელი არჩევნები არ ინიშნება. სხვა შემთხვევაში მერის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არა უგვიანეს მე-10 დღისა ინიშნება რიგგარეშე არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის კონსიგნაციით, ანუ თანხმობით. არჩევნები უნდა ჩატარდეს დანიშვნიდან არაუგვიანეს 50-ე დღისა.



**ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა**



**ვახტანგ მაისაია**, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში:

„ვინც ლაფანყურის სპეცოპერაციაში ფიგურირებდა, დღეს არის ოდესის პოლიციის შეფი, ვგულისხმობ გია ლორთქიფანიძეს. ეს კი ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. ჩეჩნები პანკისის ხეობიდან და ქართველი ოფიცრები, რომლებმაც აღმოსავლეთ უკრაინაში მომზადება გაიარეს, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მხარეს იბრძვიან. ამ ჯგუფების მიზანია დივერსიების მოწყობა, თვითმფრინავების აფეთქება, ევროპასა და კავკასიაში ტერორისტული შეტევების მომზადება“.

**ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-ქრონიკა**



**ირმა ინაშვილი**, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი:

„აუცილებლად დადგება საქართველოში ის დრო, როდესაც ციხეში აღმოჩნდება თავდაცვის მინისტრი თინათინ ხიდაშელი. არჩევნების გაყალბება არის სისხლის სამართლის დანაშაული. ასეთი ტიპის დანაშაული ქვეყანაში არავის შერჩება“.

**ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის მედია-**



**ლაშა თორდია**, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი:

„პრემია შემცირდა 31 მილიონით, სახელფასო დანამატი გაიზარდა 45 მილიონით... მაგალითისთვის, ინფრასტრუქტურის სამინისტროში დანამატები 69 პროცენტით გაიზარდა, იუსტიციის სამინისტროში 206 პროცენტით, სასჯელაღსრულების სამინისტროში 414 პროცენტით, კულტურის სამინისტროში 1509 პროცენტით, ჯანდაცვის სამინისტროში 270 პროცენტით და ასე შემდეგ“.

**ქვირის მედია-ქრონიკა ქვირის**



**გუგული მაღრაძე**, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

„ჩემთვის 10 ლარი არაფერია, მაგრამ ვიღაცისთვის 10 ცალი პურია“.

# ტაქსის მძღოლები „ტაქსების რევოლუციით“ იმუქრებიან!

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



**— რევოლუციას მოვაწყობთ, ტაქსების რევოლუციას! 3 მილიონიდან 1 მილიონი ტაქსაობით ვირჩენს თავს. დამიჯერეთ, გამწარებული მძღოლები ქუჩაშიც გამოვლენ და უარესსაც გააკეთებენ! ეს იმას ნიშნავს, რომ საჭმელი წინ გიდევს, კოვზიც ხელში გიჭირავს, ის-ისაა ლუკმა პირში უნდა ჩაიდო, მაგრამ ვიღაცა ხელს გარტყამს და გაგდებინებს, არ შეჭამოო. როგორი მოსათმენია? რომ გამწარდები, იმ თეფშიანად ესვრი, ზედ მიასხამ, წვენია თუ სხვა რამ, სხვა გამოსავალი არ არის. სახელმწიფოს შეუძლია დამასაქმოს? უკვე 72 წლისა ვარ, პენსია 10 ლარით გამიზარდეს, ახლა 160 ლარი მაქვს, საკმარისია? როცა პროდუქტები და წამლებიც გააძვირეს? არ ვიცი, რას აპირებენ, მაგრამ ჩვენ ექსპერიმენტებისთვის ნამდვილად არ გვცალია. დაფიქრდეს ხელისუფლება იმაზე, რა შარში ყოფს თავს, — აცხადებენ ტაქსის მძღოლები.**

**სულ მალე თბილისში ტაქსების ლიცენზირება დაიწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ტაქსის მძღოლები ლიცენზიის გარეშე ველარ იმუშავებენ. ლიცენზიის ღირებულება კი ფიქსირებული იქნება.**

როგორც მერიის პრესსამსახურის თანამშრომელმა ნათია თაბაგარმა „კვირის ქრონიკასთან“ საუბარში განაცხადა, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური ტაქსების ლიცენზიის შემოსაღებად, კონსულტაციებს აწარმოებს ქალაქის მერთან.

თუმცა, ამაზე ჯერჯერობით ხმამაღლა საუბარს არ აპირებენ. მერიაში არც ლიცენზიის ღირებულების თანხას ასახელებენ.

**წყაროს ინფორმაციით, ტაქსების ლიცენზია მომავალი წლიდან, ანუ სულ რაღაც ერთ თვეში დაიწყება და ფიქსირებული გადასახადი 2 ათასი ლარი იქნება!**

მგზავრების გადაყვანას, გარდა ტაქსოკომპანიებისა, კერძო ტაქსებიც ემსახურება. თბილისში არაოფიციალური სტატისტიკით, 200 ათასზე მეტი ტაქსია. ტაქსის მძღოლები ლიცენზიის შემოღებას კატეგორიულად არ ეთანხმებიან, აცხადებენ, რომ, თუ ლიცენზიებს დაუწესებენ, ეს ამ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი იქნება.

– ტაქსის მძღოლები დღევანდელ ხელისუფლებას რევოლუციას მოვუწყობთ, რადგან ჩვენ უკან მშიერი ოჯახები დგანან, – აცხადებენ ისინი.

**სერგო, მძღოლი:**

– არ ვიცი, რაში სჭირდება დღევანდელ ხელისუფლებას ამდენი ადამიანის გადამტერება? რაღაც კაპიკებს ვიღებ და ისიც ლიცენზიაში მივცე? ჩემი ოჯახისთვის ერთადერთი პურის ფულის შოვნის საშუალება ეს არის. თუკი ლიცენზიის ღირებულება 2 ათასი ლარი იქნება, ვერ გადავიხდი! ვერც ათასს გადავიხდი! ჩემი აზრით, ამ ლიცენზიას ეს მთავრობაც გადაყვება.

**ნოდარი, კომპანია „200-200“-ის ტაქსის მძღოლი:**

– გააჩნია, როგორ გააკეთებენ. რა პირობები იქნება. კარგი იქნება, თუ მერია ტაქსის მძღოლებს გამოცდებს ჩააბარებინებს, რადგანაც ზოგიერთმა მძღოლმა ტარებაც კი არ იცის. ტაქსოკომპანიაში ვმუშაობ, ჩემთვის პრობლემა არ იქნება, თუკი გადასახადს ხელმისაწვდომს დააწესებენ.

**— ამბობენ, რომ ლიცენზიის ღირებულება დაახლოებით 2 ათასი ლარი იქნება.**

– 2 ათას ლარს ნამდვილად ვერ გადავიხდი და არც ვეთანხმები. მე ვმუშაობ კომპანია „200-200“-ში, იმას ვუხდი გადასახადს. თუ კომპანია აიღებს ლიცენზიას, მაშინ ვიმუშავებ.

**— მანქანა თქვენია?**

– მანქანა ჩემია, მაგრამ კომპანიას კვირაში 36 ლარს ვუხდი. მაძლევენ მისამართს და მგზავრები გადამყავს, დღეში 5-დან 10 ლარამდე მრჩება. თუკი ლიცენზიის გადასახადი მექნება, მაშინ მუშაობა არ ღირს.

**გივი საჯაია, კერძო ტაქსის მძღოლი:**

– აღარ იციან, როგორ გაგვლიტონ და როგორ წაიღონ ჩვენგან ფული. ჯერ გაზი გაგვიძვირეს, 1 ლარი და 5 თეთრი იყო და ახლა 1 ლარი და 31 თეთრია... დილით 7 საათზე გამოვედი, უკვე 1 საათია და კლიენტი არ წამიყვანია. ვდგავარ და ველოდები, რით გადავიხდი ლიცენზიის ღირებულებას? ტაქსების ლიცენზია იმას ნიშნავს, რომ ნახევარი საქართველო მშიერი დარჩება. ჩვენს ოჯახებს მოაკლდება სარჩო. ბევრი ვერ შეძლებს ლიცენზიის აღებას და მათი ოჯახები ულუკმაპუროდ დარჩებიან. დღეს თბილისში 200 ათასი კერძო ტაქსი მაინც მოძრაობს. დედაქალაქში ტაქსის მძღოლები ყველა კუთხიდან არიან ჩამოსული. ტაქსაობენ, რომ ოჯახები შეინახონ. ზოგს საბანი აქვს სახლიდან წამოღებული და მანქანაში სძინავს. ჩამოსულმა ტაქსის მძღოლებმა წესიერად ქალაქიც არ იციან. კლიენტი უზით და მე მეკითხებიან, პუშკინის ქუჩა სად არისო. ვეკითხები, საიდან მოდიხართქო, – მპასუხობს, ვაგზლიდან თავისუფლებამდე კითხვა-კითხვით მოვედიო.

**— რამდენი ტაქსი მუშაობს თბილისში?**

– თბილისში 200 ათასზე მეტი ტაქსი მუშაობს. აქედან მიღებული შემოსავლით, ისინი მილიონამდე ადამიანს არჩენენ. ტაქსების ლიცენზია დიდ დარტყმას მიაყენებს ჩვენს ოჯახებს. ავტობუსის მძღოლებიც კი თავისუფალ დროს ტაქსაობენ, ოჯახში ერთი-ორი კაპიკი რომ შეიტანონ. ეტყობა, ხელისუფლებამ არ იცის, რომ მძღოლები ყველაზე დაუმორჩილებელი და თავისუფალი ადამიანები არიან. თუ ისინი გაბრაზდნენ და გამწარდნენ, მაშინ მათ ველარაფერი შეაჩერებს.

**— რას იზამთ, გააპროტესტებთ?**

– თავისთავად ცხადია. რას ჰქვია, არ გავაპროტესტებთ? ცოლ-შვილი მშიერი მყავდეს და ჩემი მანქანა გავაჩერო? სანამ ვერ გადავიხდი, ვერ ვიმუშავებ, ეს სადაური წესია?

**— ჯერ მერიაშიც არ ჩამოყალიბებულან საბოლოოდ და თუ ეს გადასახადი ყოველთვიური იქნება, მაინც გააპროტესტებთ?**

**— რანაირად შეიძლება 2 ათასი ლარი 12 თვეზე გადანაწილდეს? როგორ გადაანაწილებენ, თვეში 170 ლარი გამოდის. ჩვენი შემოსავალი ამდენი არ არის და საიდან მოვიტანოთ? ან რაში მთხოვენ? მანქანა და საწვავი ჩემია, რატომ ითხოვს მერია ფულს? კაბინეტებში ასეთი საკითხები არ წყდება. გამოუშვან თანამშრომლები და დაავალონ ყოველდღიურად 20 ლარის შეტანა, ნახავენ რა თანხასაც შეიტანენ. ჩემი აზრით, მანქანების ტექნიკური დათვალიერება უნდა დააწესონ. ტექდათვალიერება ნებისმიერ მძღოლს ავალდებულებს, რომ გამართული მანქანით იაროს.**

**— ტაქსის მძღოლებს არ უნდა ჰქონდეთ გადასახადი?**

გაგრძელება ოცსამესამე გვ.



**„1 მილიონი ადამიანი ვართ! მაგათი შვილები რომ ძღებიან, ჩვენს შვილებს არ შიათ?!“**

**„ისღა დაგვრჩენია, „ოცნება“ გადავაგდოთ. რაში გვჭირდება ეს ხელისუფლება, ხალხის ძარცვის მეტი რომ არაფერი გაუკეთებია“**

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. რეჟისორი კვენტინ ...
2. „ნატვრის ხე" პერსონაჟი
3. სახის ნაწილი
4. ვულკანის ყელი
5. ცეკვა მულენ-რუჟში
6. მხატვარი დავით ...
7. ქოქოსის გული
8. საფრანგეთის ჰიმნი
9. ქართ. მინერალ. წყალი
10. ვულკანი სიცილიაზე
11. მსახიობი ... დელონი
12. ცხვირის პლასტიკური ოპერაცია
13. ქალაქი საფრანგეთში
14. თბილისის უბანი
15. მწვანილი
16. შხამი. ამზადებენ ინდიელები
17. ქალაქი სამხ. აფრიკის რესპუბლ.
18. მტაცებელი თევზი
19. მომლოცველი
20. კურტ კობეინის ანსამბლი
21. სამკურნალო მცენარე
22. ფუტკრების სახლი
23. შორ მანძილზე მორბენალი
24. კომპიუტერის ანტივირუსი
25. გზა. არ აქვს გასასვლელი
26. დათვის ნაშიერი
27. წლოვანება
28. ადგილი სახეზე
29. მსახიობი ... ელიავა
30. რეჟისორი ჯონ ...
31. ზღვა იტალიასთან
32. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
33. დუმბაძე. „თეთრი ..."
34. ერთგვარი ავიტამინოზი
35. ქალაქი მდინარე ვოლგაზე
36. აღმოსავლური საჭმელი
37. იაპონური თეატრი
38. ადამისა და ევას ვაჟი
39. შიიზმის მიმდევარი
40. მსახიობი მიკი ...
41. პირის ნაცვალსახელი
42. წმინდა თასი ქრისტიანულ რელიგიაში
43. სასიმინდე
44. დუმფარა ვიქტორია-...
45. მდინარე ინდოეთში
46. მსახიობი ... ბერიმორი
47. საწერი მასალა ძველ ეგვიპტეში
48. მონეტების შემგროვებელი
49. რეჟისორი ... არაუ
49ა. იუპიტერის თანამგზავრი
50. ნიშნავს წყალს
51. ჯიში (ადამიან.)
52. განთიადი
53. ბულგარული არაყი
54. მხატვარი ანტუან ...
55. ბოსფორი, დარდანელი გიბრალტარი
56. ფირმა „...-ვუ"
57. ავი ძაღლი
58. ... პოპინსი
59. მდინარე დას. საქართ.
60. ზღვის ძუძუმწოვარი
61. მსახიობი ... დე ფიუნესი
62. „... რა ჰქმნა?"
63. პერუს დედაქალაქი
64. ანოდი და ...
65. ჯუჯა სახელმწ. ევროპაში
66. ხაფანგი
67. მსახიობი ჯეისონ ...
68. ყაჩაღი
69. ხუმარების ქალაქი ბულგარეთში
70. ინდური ფიკუსის ხე
71. ტურინის საფეხბ. კლუბი
72. „შენ ... ვენახი"
73. დონ კიხოტის ავტორი
74. ახალი ტანსაცმელი ბავშვის ენაზე
75. მინერალ წყალი ჯავის რაიონში
76. მსახიობი ... ფაროუ
77. ელექტრომავალი, ანუ ...
78. ლაშქარი
79. ყვავილი
80. გიორგი საააკაძის სოფელი
81. მსახიობი ... გიბსონი
82. ქალაქი ფლორიდაზე
83. მომღერალი ლედი ...
84. მომღერალი კარლოს ...
85. მსახიობი ... პაჩინო
86. უდაბნო აფრიკაში
87. შესახვედრობა
88. საზაფხულო დასვენება სკოლაში
89. „მაუგლი" დათვი
90. აზროვნების ორგანო
91. მწერალი ალბერტო ...
92. ნორმიდან გადახრა
93. გოგოლის მოთხრობა
94. მინა
95. პირის ღრუს თაღი
95ა. შვეიცარიის ეროვნული გმირი ვილჰელმ ...
96. მულტფილმი „... დამაცადე"
97. ლათინო ამერიკ. ცეკვა
98. სიგრძის ინგლის. ერთეული
99. მსახიობი ბრედ ...
100. ჯაშუში ქალი ... ჰარი
101. ავტობუსის წინამორბედი
102. იურიდიული პირი
103. მოქანდაკე ... ჩელინი
104. კუდიანი ამფიბია
105. გამარტივებული ინგლის. ენა
106. კომპოზიტორი ედვარდ ...
107. მსახიობი ... ბროუდი
108. ტენორი ბენიამინო ...
109. ბარდი ... ოკუჯავა
110. მხ/ფ „101 ..."
111. შესაკრავი თოკი
112. ... დასთეს იმას მოიმკი
113. ავსული არაბულ ზღაპრებში
114. მოკლე კაბა
115. ქორბუდა ცხოველი
116. ხილი
117. ილფი და პეტროვი. „ოქროს ..."
118. ეშმაკის დუჟინი, ანუ ...
119. მსახიობი ... არტმანე
120. ყვავილი
121. გამის ნოტი
122. სოფელი გორის რაიონში
123. ვირას საპირისპირო
124. მწერლები ... და პეტროვი
125. კბილის დამცავი ფენა
126. რას უჩნდება კარიესი
127. კედლის შანდალი
128. მწვავე ტონზილიტი
129. დარტყმით ამობურცული ადგილი
130. ქართველების დასახლება ბამ-ზე ...-გრუზინსკაია
131. სტალინის დედა
132. ბუდისტი მასწავლებელი
133. ... ჰო, ...არა
134. ებრაული ენა
135. სპორტული ნაგებობა
136. თანხმობის ფორმა
137. ჩრდილოეთის ირემი
138. რუმინული ფულის ერთეული
139. საბჭოთა პერიოდის ქართ. სატირული ტელეჟურნალი
140. ჭირი იქა, ლხინი ...
141. ამერიკელების მეტსახელი

პასუხები: 1. ტარანტინო; 2. ელიოზი; 3. ყბა; 4. კრატერი; 5. კანკანი; 6. კაკაბაძე; 7. კოპრა; 8. მარსელიეზა; 9. ლებარდე; 10. ეტნა; 11. ალენ; 12. რინოპლასტიკა; 13. სევრი; 14. ვაკე; 15. ოხრახუში; 16. კურარე; 17. კეიპტაუნი; 18. ზვიგენი; 19. პილიგრიმი; 20. „ნირვანა"; 21. ასკილი; 22. სკა; 23. სტაიერი; 24. კასპერსკი; 25. ჩიხი; 26. ბელი; 27. ასაკი; 28. პირი; 29. ლია; 30. ვუ; 31. ადრიატიკა; 32. პარაგვაი; 33. ბაირაღები; 34. სურავანდი; 35. სარატოვი; 36. ლულაქაბაბი; 37. ნო; 38. კაენი; 39. შიიტი; 40. რურკი; 41. მე; 42. გრაალი; 43. ნალია; 44. რეგია; 45. ინდი; 46. დრიუ; 47. პაპირუსი; 48. ნუმიზმატი; 49. ალფონსო; 49ა. იო; 50. აკვა; 51. ჯილაგი; 52. ალიონი; 53. რაკია; 54. ვატო; 55. სრუტე; 56. ვულე; 57. ქოფაკი; 58. მერი; 59. ცხენისწყალი; 60. სელაპი; 61. ლუი; 62. იავნანამ; 63. ლიმა; 64. კათოდი; 65. ლიხტენშტაინი; 66. მახე; 67. სტეტჰემი; 68. აბრაგი; 69. გაბროვო; 70. ბანიანი; 71. „იუვენტუსი"; 72. ხარ; 73. სერვანტესი; 74. ზიზია; 75. „ძაუ"; 76. მია; 77. ელმავალი; 78. სპა; 79. ენძელა; 80. ნოსტე; 81. მელ; 82. მაიამი; 83. გაგა; 84. სანტანა; 85. ალ; 86. საჰარა; 87. იერი; 88. არდადეგები; 89. ბალუ; 90. ტვინი; 91. მორავია; 92. ანომალია; 93. „ვიი"; 94. მუშა; 95. სასა; 95ა. ტელი; 96. აბა; 97. სალსა; 98. იარდი; 99. პიტი; 100. მატა; 101. ომნიბუსი; 102. ნოტარიუსი; 103. ბენვენუტო; 104. სალამანდრა; 105. პიჯინი; 106. გრიგი; 107. ედრიან; 108. ჯილი; 109. ბულატ; 110. დალმატინელი; 111. საბელი; 112. რასაც; 113. ჯინი; 114. მინი; 115. ირემი; 116. გარგარი; 117. კერპი; 118. ცამეტი; 119. ვია; 120. ვარდი; 121. ფა; 122. სკრა; 123. მაინა; 124. ილფი; 125. ამალა; 126. კბილი; 127. ბრა; 128. ანგინა; 129. კოპი; 130. ნია; 131. კეკე; 132. გურუ; 133. ან; 134. ივრითი; 135. სტადიონი; 136. კი; 137. მარალი; 138. ლეი; 139. „ოქროპირი"; 140. აქა; 141. იანკი. იკითხება: ტონი კერტისი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. მომღერალი თაკო ...
2. კუნძული ოხოტის ზღვაში
3. ბიბილოზე მოსაჭერი საყურე
4. ობობის ქსელი
5. ძალიან ტკბილი ნივთიერება
6. სომხეთის დედაქალაქი
7. მსახიობის პირველი გამოსვლა
8. სამშენებლო მასალა
9. ინდიელების ვარცხნილობა
10. სამგზავრო საოკეანო გემი
11. მსახიობი კრისტოფერ ...
12. იჩქარე ...
13. წარწერა საფლავის ქვაზე
14. ცხენებშებმული ტრანსპორტი
15. ზეთში შემწვარი კარტოფილი
16. ცვილის ძელაკი პატრუქით
17. ჰარისონ ფორდი ფილმში
18. კაზინოების ქალაქი აშშ-ში
19. რეჟისორი მიხეილ ...
20. ისტორიიდან: ... არაგველი
21. მოზარდთა სქესობრივი მომწიფებისა და სიმაღლის მომატების აჩქარება
22. ფაიფურის თეთრი თიხა
23. იოლი, ანუ ...
24. მსახიობი ... ნოლტი
25. კინომოთხრობა
26. დიდი ციგა
27. მხატვარი ... გრეკო
28. მომღერალი კრისტინა ...
29. ... არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი
30. შტატი აშშ-ში
31. ნადირობის ქალღმერთი
32. ყვავილი
33. ქართ. ხალხური სიმღერა
34. ლითონი
35. მზესუმზირის ტკბილეული
36. ინგლისური ლუდი
37. მტაცებელი ფრინველი
38. მსახიობი ... ჩურიკოვა
39. მიზანდარისა და ხაჩიკიანის „მეორე პროფესია“
40. კომპოზიტორი არჩილ ...
41. აზროვნების ორგანო
42. მეზღაპრე ... პერო
43. მოქანდაკე ... ჩელინი
44. „... და ქილა ერბო“
45. მსახიობი სემ ...
46. ღორების ჯოგი
47. აფრიკული ტომი
48. ქალის შიდა სამოსი
49. „დედოფალი მარგო“ ავტორი
50. თბილისის უბანი
51. სოფელი ბორჯომის რაიონში
52. ქმედება ალალბედზე
53. ციმბირის მიმდებარე ზღვა
54. მომღერალი ჯასტინ ...
55. მშვიდი განწყობა
56. მთამსვლელი
57. მდინარე კახეთში
58. ფუტკრების სახლი
59. მსახიობი ... გრიფიტი
60. ტყის მასივი ციმბირში
61. თამაში ...-ტაფელა
62. ექსპრეზიდენტი ფრანსუა ...
63. ... და ობელიქსი
64. შეხვედრა, ანუ ...
65. იაკობ გოგებაშვილის სოფელი
66. პერუს დედაქალაქი
67. დიეზი, ბემოლი, ...
68. ფედერიკო გარსია ...
69. ბალზაკი. „მამა ...“
70. მომღერალი პერი ...
71. რაიმეს შესრულების წესი
72. შხამი. ამზადებენ ინდიელები
73. „... ვოდევილები“
74. მხ/ფ „ქრისტეს ...“
75. კუნძულოვანი სახელმწიფო ატლანტის ოკეანეში
76. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
77. პავაროტი როგორც მომღერალი
78. დადებითი ელექტროდი
79. მსახიობი ჟერარ ...
80. სარწმუნოება ზოგადად
81. წინაღობის ჩეხრუნ. სიდიდე
82. მომღერალი ბობ ...
83. მსახიობი ... ასანტე
84. დრამატურგი ... დე ვეგა
85. ლანგარი
86. ერთკუზიანი აქლემი
87. „პარმის სავანე“ ავტორი
88. ჯეიმს კამერონის ფილმი
89. მომღერალი ... ჯონი
90. იაპონური ფულის ერთეული
91. პრეზიდენტი ... ობამა
92. რაჯ კაპური ფილმში
93. მსახიობი ერიკ ...
94. ქალაქი ყირიმზე
95. მსახ. აიშვარია ...
96. სახელოს მიკერების ფასონი
97. კომპოზიტორი ... პაულსი
98. იაპონური ხალათი
99. მონღოლი დიდებული
100. სოფელი რაჭაში
101. „დეკამერონის“ ავტორი
102. სვიფტის ჯუჯა
103. მხარე იმერეთში
104. სომხური გვარის ნაწილაკი
105. რიცხვი ექვსი ნულით
106. თბილისის უბანი
107. საოპერო პარტია
108. ფალიაშვილის ოპერა
109. ახალი ზელანდიის მკვიდრი
110. ანიკოს პირველი ქმარი
111. ქალაქი ავსტრალიაში
112. მწერალი ... აზიმოვი
113. პროფესორი ... მეტრეველი
114. ოპერა „... გიუნტი“
115. სამკერდე ნიშანი, ჯილდო
116. სუნიტი და ...
117. „ილიადა“ ქალაქი
118. ავღანეთის დედაქალაქი
119. ... ანანიაშვილი
120. დიდი ჩაქუჩი
121. დიდი კოვზი
122. შენობა სანზახ-ლით
123. ბეჟე ხილის წვენით
124. ... ჭრის და ... კერავს
125. უანგარო შრომა
126. მდინარე რომში
127. ყანწის მასალა
128. მსახიობი ... სუინტონი
129. მოწონების შეძახილი თეატრში
130. მხ/ფ „... და მოედანი“
131. მწნილი
132. მეტეოროლოგიური მოვლენა
133. დედამიწის მოდელი
134. მომღერალი ... მარტინი
135. ქალაქი სამეგრელოში
136. მსახიობი ... არტმანე
137. ... სუხიშვილი
138. „... ხარ ვენახი“
139. ... შვარცენეგერი
140. „წითელი“ პლანეტა
141. მისი დედაქალაქია თეირანი
142. ღრმული წყნარ ოკეანეში
143. მშვილდით სასროლი ჯოხი

პასუხები: 1. გაჩეჩილაძე; 2. სახალინი; 3. კლიფსი; 4. აბლაბუდა; 5. ქსილიტი; 6. ერევანი; 7. დებიუტი; 8. ალებასტრი; 9. იროკეზი; 10. ლაინერი; 11. რივი; 12. ნელა; 13. ეპიტაფია; 14. ეტლი; 15. ფრი; 16. სანთელი; 17. „საბრინა“; 18. ლას-ვეგასი; 19. თუმანიშვილი; 20. სამასი; 21. აქსელერაცია; 22. კაოლინი; 23. ადვილი; 24. ნიკ; 25. სცენარი; 26. მარხილი; 27. ელ; 28. აგილერა; 29. სადაც; 30. კალიფორნია; 31. დიანა; 32. ია; 33. „ოროველა“; 34. ნიკელი; 35. ჰალვა; 36. ელი; 37. ძერა; 38. ინა; 39. ენდოკრინოლოგი; 40. კერესელიძე; 41. ტვინი; 42. შარლ; 43. ბენვენუტო; 44. გლახაკი; 45. ნილი; 46. კოლტი; 47. მასაი; 48. ლიფი; 49. დიუმა; 50. ავლაბარი; 51. ცემი; 52. რისკი; 53. ლაპტევები; 54. ტიმბერლეიკი; 55. იდილია; 56. ალპინისტი; 57. იორი; 58. სკა; 59. მელანი; 60. ტაიგა; 61. რიკ; 62. მიტერანი; 63. ასტერიქსი; 64. რანდევუ; 65. ვარიანი; 66. ლიმა; 67. ბეკარი; 68. ლორკა; 69. გორიო; 70. კომო; 71. ინსტრუქცია; 72. კურარე; 73. ძველი; 74. ვნებანი; 75. ისლანდია; 76. ინდიგო; 77. ტენორი; 78. ანოდი; 79. დეპარდიე; 80. რელიგია; 81. მო; 82. მარლი; 83. არმან; 84. ლოპე; 85. სინი; 86. დრომადერი; 87. სტენდალი; 88. „ტიტანიკი“; 89. ელტონ; 90. იენა; 91. ბარაკ; 92. „ავარა“; 93. ბანა; 94. სევასტოპოლი; 95. რაი; 96. რეგლანი; 97. რაიმონდ; 98. კიმონო; 99. ნოინი; 100. ირი; 101. ბოკაჩო; 102. ლილიპუტი; 103. ოკრიბა; 104. ტერ; 105. მილიონი; 106. ოქროყანა; 107. არია; 108. „დაისი“; 109. მაორი; 110. კია; 111. სიდნეი; 112. აიზეკ; 113. როინ; 114. პერ; 115. ორდენი; 116. შიიტი; 117. ტროა; 118. ქაბული; 119. ნინო; 120. ურო; 121. ჩამჩა; 122. მარანი; 123. მუსი; 124. თან; 125. ამაგი; 126. ტიბრი; 127. რქა; 128. ტილდა; 129. ბის; 130. ბურთი; 131. მარინადი; 132. ქარი; 133. გლობუსი; 134. რიკი; 135. აბაშა; 136. ვია; 137. ილიკო; 138. შენ; 139. არნოლდ; 140. მარსი; 141. ირანი; 142. მარიანი; 143. ისარი. იკითხება: ჩიბუხი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

თავსატეხი გაუჩნდათ ზედა ეშელონებში. ვერა და ვერ შეერჩიათ მომავალი ლიდერის კანდიდატურა. ერის მამებმა ბჭობა გამართეს:
- რა ვქნათ, დაგვირჩა

გარეშე. - თქვა პირველმა. ვინმე ისეთი გვინდა, ხალხს რომ თვალებით მონუსხავს, მაგალითად



მარტო მაგის ჟუჟუნა თვალები რად ღირს

- არა, -თქვა მეორემ. - უფრო მასშტაბური ვინმეა საჭირო, მაგალითად



სლოგანიც მოვუფიქრე

-მაშინ, სხვის დაკრულზე რომ იმღერებს, მასეთი



- არა,- თქვა პირველმა,-ეგ სხვის დაკრულზე არ იცეკვებს

თქვა მეორემ. - არა ეგ არ გამოდგება, გავიგე თურმე

პარტიას აყალიბებსო,- თქვა ისევ პირველმა

-მაშინ,



შეეშველა მეორე. -ყველგან შუაშია: ქალაქშიც, ტელევიზიაშიც და კლინიკაშიც. -მეწარმე რომ არ არის? -შეწუხდა პირველი

-თქვა მეორემ. -ეგ მთელ საქართველოს



მაშინ

დაამშვავსებს, ყველგან სტალინის სურათებს დაგვაკიდებინებს.-იუარა პირველმა. -ველარ გავიგე აბა რა გინდათ, ყველა სიტყვას ბანზე მიგდებთ

ზუსტად! ზუსტად ბანი გვინდა! პაატა და მისი ჯანი! მაგის ბანი ხომ მთელ საქართველოს



ჩაეს-მის

1. ოთხკაციანი ანსამბლი
2. წყვილი ერთიანი ნარდში
3. გაფუჭებული კვერცხი
4. გემი ორი კორპუსით
5. წლის მოლუსკი
6. მსახიობი ... კრუზი
7. მსახიობი ჯესიკა ...
8. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი
9. ჩანჩქერი აშშ-ში
10. იაპონური ფულის ერთეული
11. ... ხეთაგუროვი
12. ცეცხლის ადგილი კედელში
13. საჭმელი ბავშვის ენაზე
14. დათვის ნაშიერი
15. იალქანი
16. მსახ. ... ბეგალიშვილი
17. რეპტილია
18. ... გაფრინდაშვილი
19. ნაჭრის წვეტიანი ქუდი
20. ტალახი
21. კომში
22. ვულკანური მასა
23. დღე ხვალის შემდეგ
24. მისი დედაქალაქია დამასკო
25. მზის ღმერთი ეგვიპტეში
26. ყვავილი
27. სოფელი რაჭაში
28. უნგრელი კომპოზიტორი
29. ტიბეტური ხარი
30. სრული გამარჯვება ძიუდოში
31. მატარებლის შემადგენელი
32. მსახიობი ... ბრინერი
33. მომღერალი ... დიონი
34. ავადმყოფობის ისტორიის ჩანაწერები
35. ჩარხი
36. ფუტკრების სახლი
37. მწერალი ... ტოლსტოი
38. ვაკე ადგილი მდინარის პირას
39. ... წავა და სხვა მოვა
40. გაზაფხულის თვე
41. მსახიობი ... კრამაროვი
42. მსახიობი ... რიშარი
43. მომღერალი ... პიაფი
44. ... დაიჭირავს სიკვდილსა
45. ... მორჩილაძე
46. უქორწინო თუთიყუში
47. მსახიობი ... ტომპსონი
48. ხელის ერთფეხიანი საზიდარი
49. „მაუგლი" პითონი
50. მხ/ფ „...-ჰარბორი"
51. ... ხაჩატურიანი
52. ჩარლზ ... ჩაპლინი
53. გულიანი კანფეტი
54. მუსიკოსი ... გილელსი
55. მხ/ფ „ქალაქი ..."
56. ქალაქი გერმანიაში
57. თაღი
58. ყაზახეთის დედაქალაქი
59. მსახიობი ... თურმანი
60. მუხის ქერქი
61. ბედი
62. ... მეფობენ და არა მეფენი
63. ... გათეთრდების ყორანი
64. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
65. ჯუჯა ჟირაფი
66. ქვევრი
67. მდინარე სამხ. ამერიკაში
68. ... ურჩევნია მამულსა
69. მსახიობი ანჯელინა ...
70. ქიმიური ჭურჭელი
71. ძვ. თბილისური მიმართვა
72. ინერტული აირი
73. სპორტის სახეობა
74. შოკოლადი „...-გოლდი"
75. ოჯახის შთამომავალი
76. მსახიობი ... ჰილტონი
77. მსახიობი ... გარსია
78. კომპოზიტორი ... კალმანი
79. ნიავი
80. მომღერალი დაიანა ...
81. „შავყურა თეთრი ..."
82. ბუდისტი მღვდელი ...-ლამა
83. ქალაქი ფლორიდაზე
84. კედლის შანდალი
85. გადაშენებული ფრინველი
86. გოლკიპერი, ანუ ...
87. ვარამი
88. ყვავილი
89. აზრი
90. ..., პორთოსი, არამისი
91. თმის შეჭრის სტილი
92. ამერიკული თოჯინა
93. მხატვარი ... გრეკო
94. სიმინდის ყვავილედი
95. გამრავლების ცხრილი
96. შვედური ხურდა ფული
97. გაუშლელი ყვავილი
98. მდინარე საფრანგეთში
99. ...-კლარკეთი
100. გამოცდა კითხვარებით
101. მზის ღმერთი ეგვიპტეში
102. სამზარეულოს ჭურჭელი
103. ... ბურთი და ... მოედანი
104. ნადირობა აფრიკაში
105. სავარცხლიანი ფრინველი
106. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
107. მწერალი ... ჭავჭავაძე
108. მომღერალი ჯონ ... ჯოვი
109. ... ასე, ... ისე
110. თეფში
111. რეჟისორი ... კუროსავა
112. რეჟისორი ... კავალეროვიჩი
113. იტალიის დედაქალაქი
114. სულთამბრძოლის მდგომარეობა
115. ხელის საგრილებელი
116. მულტფილმი „ქერის ..."
117. ხაფანგი
118. მტაცებელი ფრინველი
119. ... დე პეირაკი
120. ჭრილობა
121. თმის წითელი საღებავი
122. მსახიობი ... როკი
123. სიახლე ...-ჰაუ
124. კავშირებითი სიტყვა
125. ზღაპარი „12 ..."
126. მსახიობი ია ...
127. ფილოსოფოსი ემანუილ ...
127. „... ჭკუისაგან"
128. რუსი ილუზიონისტი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00










1. მოდელი ... კემპბელი
2. ... კუზანოვი
3. დადუღებული ყურძნის წვენი
4. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
5. ლომვეშაპი
6. ტაფამწვარი
7. თურქეთის დედაქალაქი
8. პარიკმახერი, ანუ ...
9. კოკო ...
10. ... ტოლსტოი
11. პატარა ტიკი
12. ქალის სასიმღერო ხმა
13. ... მაიაკოვსკი
14. მსახიობი რობერტ დე ...
15. შილიფად ჩაცმული, ანუ ...
16. ის, ვინც სისხლს გასცემს
17. ... მეფობენ და არა მეფენი
18. თავისუფალი სამუშაო ადგილი
19. ბავშვის კბილი
20. უძველესი კოლხეთი
21. ჯომოლუნგმა, ანუ ...
22. სამაგიდო თამაში
23. მეფედ კურთხევა, ანუ ...
24. მხ/ფ „... ტრეისი“
25. კაციჭამია
26. მსახიობი ... სიხარულიძე
27. მომღერალი დაიანა ...
28. ტენორი ხოსე ...
29. საოპერო პარტია
30. ამერიკელი მომღერალი ქალი
31. ვულკანის ყელის ჯამი
32. სკანდინაველთა ღმერთი
33. მსახიობი ... გიბსონი
34. იგავი
35. საგანგებო დავალება
36. ალამი
37. საბჭოთა ილუზიონისტი
38. ... კროუფორდი
39. ამ ენაზე მეტყველებდა ქრისტე
40. ავადმყოფობის დამახას. სიმპტომები
41. ქვანახშირის აუზი გერმანიაში
42. მსახიობი ... მარსო
43. ჯავაჰარლალ ...
44. გარეული ფრინველი
45. მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა
46. მსახიობი ჩაკ ...
47. ქეჩის კარავი შუა აზიაში
48. მწერალი ... ლინდგრენი
49. მხ/ფ „ჭრიჭინა“ სოფელი
50. ცხვრის ქონი
51. ნაცია
52. ბრძნული გამონათქვამი
53. ბილიარდის ჯოხი
54. ერთკუზიანი აქლემი
55. ნაჭუ-ჭუანი ნაყოფი
56. სიმაღლეზე შემოდებული ჭოკი
57. იაპონელი თვითმკვლელი
58. ყველაზე მაღალი ბალახი
59. სამკურნალო მცენარე
60. ჯადოქარი
61. მსახიობი ჯორჯ ...
62. ავადმყოფობის ისტორია
63. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
64. მდინარე ქიათურაში
65. წინაღობის ერთეული
66. სახის დამანჭვა, ანუ ...
67. ციხესიმაგრე თბილის-ში
68. მოკლე კაბა
69. მსახიობი ნიკოლ ...
70. მოგება რაიმე საქმეში
71. ოპერა „სევილიელი ...“
72. ტუჩი
73. თმების დახვევის მეთოდი
74. სვე
75. მეფის მხლებლები
76. ტენორი ... კარუზო
77. რკინიგზა
78. სამხ. კორეის დედაქალაქი
79. მსახიობი ... ლიოტა
80. ინგლისის დედაქალაქი
81. მსუსხავი ბალახი
82. კომედიური სერიალი მზეზე
83. სათესლე მოხყობილობა
84. უდარდელად დროის მატარებელი
85. არაქათი, ძალღონე
86. მსახიობი ... პარიიო
87. ზარმაცი, ანუ ...
88. სახის ნაწილი
89. დაბადებითი ნაჭდევი მუცელზე
90. „მატრიცა“ ჰაკერი
91. სიმღერა ბალკონის ქვეშ
92. ალუმი
93. იანის საპირისპირო
94. მომღერალი ... ოკუჯავა
95. სანიკიძე. „... ხმლები“
96. მევიოლინე ... ისაკაძე
97. მგელკაცი (მისტიკ.)
98. ამერიკული სამგზავრო თვითმფრინავი
99. ფინეთის დედაქალაქი
100. ტანვარჯიშის ინვენტარი
101. პალმა. ისხამს კაკლებს
102. გამარჯვების ქალღმერთი
103. გემის დიდი ბადე
104. ფოსო მკლავის ქვეშ
105. კარუსელი პარკში, ანუ ...
106. მთათა სისტემა ... შანი
107. ადგილი თეატრში
108. მგალობელი ფრინველი
109. მოტორიანი ნავი
110. დადგენილი ოდენობა
111. ცხიმის კვალი ქსოვილზე
112. მოგებული კარტის ნარდში
113. იპოლიტე ხვიჩია ფილმში
114. ფოლაქი
115. ... ძედუნი
116. ღლავი
117. აღვირის ნაწილი
118. ქალაქი კახეთში
119. ქართ. სპორტ. გაზეთი
120. მუხის ნაყოფი
121. დიდი ქანი რიყეზე
122. გულიანი ნამცხვარი
123. მომღერალი ... სოხაძე
124. უნივერსიტეტი დიდ ბრიტანეთში
125. მსახიობი ბენ ...
126. კარლ მარქსი და ფრიდრიხ ...
127. მისალმების ფორმა
128. ერთ მხარეს აწეული დივანი
129. სადიზმი მასთანაა კავშირში
130. მახრჩობელა გველი
131. მსახიობი ჰარისონ ...
132. ქალაქი რაჭაში
133. რომაელი იმპერატორი
134. სკანდინაველთა ცბიერი ღმერთი
135. ქალი მოცეკვავე მამაკაცთან
136. ფუტკრის შხამიანი ისარი
137. საყურე ბიბილოზე სამაგრით
138. ... სუხიშვილი
139. ნორვეგიის დედაქალაქი
140. ახალუხზე ჩასაცმელი
141. „ღვინის ქურდები“ კავსაძე
142. მსახიობი ... დე ფიუნესი
143. მიწის ფართობის ერთეული
144. პატარა არხი
145. ხორთუმიანი ცხოველი
146. ღვინის დეგუსტატორი
147. მომღერალი ... პიაფი
148. ქალაქი ყირიმზე
149. სოფლის ტრანსპორტი
150. ... ფონ ბისმარკი
151. შხამიანი გველი უდაბნოში
152. მხ/ფ „... მეგობარი“
153. სატელევიზიო „ოსკარი“ აშშ-ში
154. მრავალძირა ქვაბი

პასუხები: 1. ნაომი; 2. ივა; 3. ბადაგი; 4. ინდიგო; 5. მორჟი; 6. ომლეტი; 7. ანკარა; 8. სტილისტი; 9. შანელი; 10. ლევ; 11. ტიკჭორა; 12. ალტი; 13. ვლადიმერ; 14. ნირო; 15. ნეგლიჟე; 16. დონორი; 17. დრონი; 18. ვაკანსია; 19. კიჭი; 20. აია; 21. ევერესტი; 22. ნარდი; 23. კორონაცია; 24. დიკ; 25. კანიბალი; 26. გივი; 27. როსი; 28. კარერასი; 29. არია; 30. ენია; 31. კრატერი; 32. ოდინი; 33. მელ; 34. არაკი; 35. მისია; 36. დროშა; 37. კიო; 38. სინდი; 39. არამეული; 40. სინდრომი; 41. რური; 42. სოფი; 43. ნერუ; 44. იბისი; 45. ზმნა; 46. ნორისი; 47. იურთი; 48. ასტრიდ; 49. ნაგომარი; 50. დიუმა; 51. ერი; 52. აფორიზმი; 53. კიი; 54. დრომადერი; 55. თხილი; 56. თამასა; 57. კამიკაძე; 58. ბამბუკი; 59. ალოე; 60. მაგი; 61. კლუნი; 62. ანკეტა; 63. აგნი; 64. ყვირილა; 65. ომი; 66. გრიმასა; 67. ნარიყალა; 68. მინი; 69. კიდმანი; 70. ხეირი; 71. დალაქი; 72. ბაგე; 73. პერმანენტი; 74. ბედი; 75. ამალა; 76. ენრიკო; 77. ლიანდაგი; 78. სეული; 79. რეი; 80. ლონდონი; 81. ჭინჭარი; 82. „ასა“; 83. ბადე; 84. დარდიმანდი; 85. სიქა; 86. ან; 87. უქნარა; 88. ლოყა; 89. ჭიპი; 90. ნეო; 91. სერენადა; 92. პარადი; 93. ინი; 94. ბულატ; 95. უქარქაშო; 96. ლიანა; 97. მაქცია; 98. „ბოინგი“; 99. ჰელსინკი; 100. ტაიჭი; 101. ქოქოსი; 102. ნიკე; 103. ტრალი; 104. იღლია; 105. ატრაქციონი; 106. ტიან; 107. იარუსი; 108. იადონი; 109. კატერი; 110. ნორმა; 111. ლაქა; 112. ოინი; 113. „თხუნელა“; 114. ღილი; 115. მაო; 116. ლოქო; 117. ლაგამი; 118. თელავი; 119. „ლელო“; 120. რკო; 121. ქვა; 122. ქადა; 123. ირმა; 124. ოქსფორდი; 125. აფლეკი; 126. ენგელსი; 127. სალამი; 128. კანაპე; 129. სადი; 130. ბოა; 131. ფორდი; 132. ონი; 133. კალიგულა; 134. ლოკი; 135. დამა; 136. ნესტარი; 137. კლიფსი; 138. ილიკო; 139. ოსლო; 140. ჩოხა; 141. ელიზო; 142. ლუი; 143. აკრი; 144. რუ; 145. სპილო; 146. სომელიე; 147. ედიტ; 148. იალტა; 149. ურემი; 150. ოტო; 151. ეფა; 152. ოუშენის; 153. „ემი“; 154. კარდალა. იკითხება: მანიკიური. ფიტნესი.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა



**მამა ელიზბარ დიაკონიძე:**

„რაზეა საუბარი, როცა ქვეყნის თავდაცვის მინისტრი და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი საკუთარ შვილებს არ ზრდის პატრიოტებად და ჩემსა და თქვენს შვილებს ომში წასვლას დაავალებს, რომ სისხლი დაღვაროს. ზის და უსაქმურობისგან ბიძაშვილის ხმებს ითვლის“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა



**ალეკო ელისაშვილი**, თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი:

„უამრავი გაუგებრობაა მერიაში. მაგალითად, ალექსანდრე მარგიშვილი — ერთი დიდი ორმილიონიანი გაუგებრობა. მისი სამსახურის წლევანდელ ბიუჯეტში 2 მილიონი არაფრის კეთებაში გადაურიცხეს, ახლა ორ-ნახევარი მილიონი უნდა“.

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**ჯონდი ბაღათურია**, „ქართული დასის“ ლიდერი:

„მინდია ჯანელიძე ჟურნალისტების კითხვას, რამდენი აქვს ხელფასი, პასუხობს, რომ არ იცის. მეტიც, ის „რუსთავი 2“-ის კამერის დანახვაზე ისე გავარდა, დაცვაც კი ვერ დაეწია. ამ კაცმა ძალიან მყუდრო თავშესაფარი მოძებნა, როგორც ჩანს, იმდენ ფულს იღებს, ვერ ითვლის...“

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-



**დავით თევზაძე**, თავდაცვის ყოფილი მინისტრი:

„ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აქტიურად არის ჩართული სამშვიდობო ოპერაციებში — ავღანეთსა და ცენტრალურ აფრიკაში. ამიტომ, შესაძლებელია, რომ საქართველო, როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კოალიციის შემადგენელი ნაწილი, ტერორისტული თავდასხმის სამიზნე გახდეს“.

*მეთვრამეტე გვერდიდან*

– არა, რა თქმა უნდა. ჰაერს რომ ვსუნთქავთ, სახელმწიფო ამაზეც გადასახადს ითხოვს. ასე არ შეიძლება, არ არის ლამაზი. გამწარდება ხალხი და მერე შეიძლება სულ სხვანაირად შეტრიალდეს ბინებს, არ შეჭამოო. როგორი მოსათმენია? რომ გამწარდები, თეფშიანად ესვრი და ზედ მიასხამ, წვენია თუ სხვა რამ. სხვა გამოსავალი არ არსებობს. სახელმწიფოს შეუძლია დამასაქმოს? უკვე 72 წლის ვარ. პენსია 10 ლარით გაზარდეს, ახლა 160 ლარი მაქვს, საკმარისია? ამ დროს პროდუქტები და წამლებიც გაად-

**გამაჩერონ, ალბათ, ვიღაც შემომაკვდება. მთელი ოჯახი მშიერი დარჩება. ვერც ბანკის ვალებს გადავიხდი. შევიკრიბებით ტაქსის მძღოლები, მივადგებით ბიძინას შუშის სასახლეს და თავს შევაკლავთ. ამათი შვილები რომ ძღებიან, ჩვენს შვილებს არ შიათ? ჩვენც გვინდა არსებობა. გამოვაძევებთ ბიძინას შუშის სასახლიდან და**

თუ ტაქსაობას ამიკრძალავენ, მაშინ რაიმე სტაბილური სამსახური შემომთავაზონ. არც ერთი მძღოლი არ დასთანხმდება ლიცენზიის გადასახადს.

**თედო ტალახაძე, კერძო ტაქსის მძღოლი:**

– ტაქსების ლიცენზია? გააჩნია რამდენი ლარი იქნება. 2 ათას ლარს ვინ გადაიხ-

ძარცვის მეტი არაფერი არ გაუკეთებია. ნახეთ, როგორ გაზარდეს მათთვის ხელფასები და დანამატები, ჩვენ კი მშიერს გვტოვებენ. ინჟინერი ვარ, მაგრამ სამუშაო არ მაქვს, ასაკის გამო სამსახურში აღარ მიღებენ. რა ვქნა, თავს ხომ არ მოვიკლავ. რით ვიარსებოთ? ჩემი შვილიც უმუშევარია, მეუღლეც. ასე ვდგავარ

**გავაგდებთ და „მეოთხე საუკეთესო“ წელს კუდით ქვას ვასროლინებთ.**

**მძღოლებთან საუბრის შემდეგ მერიას კვლავ დავუკავშირდი. ქალაქის ტრანსპორტის სამსახური ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს. მერიის პრესსამსახურში კი მხოლოდ იმას ადასტურებენ, რომ ლიცენზიების**

# „ამ ლიცენზიას ეს მთავრობას გადაყვება“




**„ეტყობა, ხელისუფლებამ არ იცის, რომ მძღოლები ყველაზე დაუმორჩილებელი და თავისუფალი ადამიანები არიან. თუ ისინი გაბრაზდნენ და გამწარდნენ, მაშინ მათ ვეღარაფერი შეაჩერებს“**



**„ტაქსაობენ, რომ ოჯახები შეინახონ. ზოგს საბანი აქვს სახლიდან წამოღებული და მანქანაში სძინავს“**



**„4 ბანკის ვალი მაქვს, სესხი ოჯახის წევრების მკურნალობისთვის ავიღე. 7-სულიან ოჯახს ვინახავ, ახლა კიდევ ლიცენზიის გამო რომ გამაჩერონ, ალბათ, ვიღაც შემომაკვდება!“**

საქმე.

— **როგორ?**

– როგორ და რევოლუციას მოვაწყობთ, ტაქსების რევოლუციას. 3 მილიონ ადამიანიდან 1 მილიონი ადამიანი ტაქსიდან მიღებული შემოსავლით ირჩენს თავს. დამიჯერეთ, გამწარებული მძღოლები ქუჩაშიც გამოვლენ და უარესსაც გააკეთებენ. ეს იმას ნიშნავს, საჭმელი წინ გედოს, კოვზიც ხელში გეჭიროს და ის-ისაა, ლუკმა პირში უნდა ჩაიდო და ვიღაცა ხელს გარტყამს და გაგდევირეს. არ ვიცი, რას აპირებენ, მაგრამ ექსპერიმენტებისთვის ნამდვილად არ გვცალია. დაფიქრდეს ხელისუფლება, რა შარში ყოფს თავს.

**გეგე ჯანიკაშვილი, კერძო ტაქსის მძღოლი:**

**— რა ლიცენზიაზე ლაპარაკობთ? 4 ბანკის ვალი მაქვს, სესხი ოჯახის წევრების მკურნალობისთვის ავიღე. მკურნალობის თანხას თუ არ გადაიხდი, არც ერთი ექიმი არ მოგაქცევს ყურადღებას. 7-სულიან ოჯახს ვინახავ, ახლა კიდევ ლიცენზიის გამო რომ**

**გავაძევებთ საქართველოდან. სხვა გზა აღარ დაგვრჩენია.**

**ილია, კერძო ტაქსის მძღოლი:**

– იმ შემთხვევაში ავიღებ ლიცენზიას, თუ მერია მანქანას გამირემონტებს, ან საწვავს მომცემს. როცა მეცოდინება, რომ მერია საწვავს მისხამს, მაშინ გადავიხდი თანხას. აბა, რაში მჭირდება ლიცენზია, ზარალზე ვიმუშაო? ბოლოს და ბოლოს, ტაქსის აზრას ავიღებთ და ისე ვიმუშავებთ.

დის? ამხელა თანხას ვერ გადაიხდიან და როგორც მოსკოვშია, ისე გააკეთებენ – სულ მოვხსნით ტაქსის აზრას და ეგ იქნება. ასეა მოსკოვში. ტრაფარეტის გარეშე ვიმუშავებთ. დამასაქმოს ბიძინამ და აღარ ვიტაქსავებ. ტაქსისტმა 5 ლარი რომ იშოვოს, პურს, ვერმიშელსა და ზეთს იყიდის, ესაა ოჯახების გადარჩენა. მძღოლებს ამასაც თუ მოგვისპობენ, მაშინ ისღა დაგვრჩენია, „ოცნება“ გადავაგდოთ. რაში გვჭირდება ეს ხელისუფლება, ხალხის თავისუფლებაზე და ველოდები ტურისტებს. დღეში 5-10 ლარს ვშოულობ და თავი გაგვაქვს.

**თუ ლიცენზიებს დაგვიწესებენ, გპირდებით, „ოცნება“ ვეღარ მოვა ხელისუფლებაში და ტაქსების ამბავს გადაყვება. სააკაშვილის ხელისუფლების დროს ქიბარ ხალვაშის ფირმაში ვმუშაობდი, მაგრამ სააკაშვილის ხალხმა მას შენობა გადაუწვა. ახლა ტაქსზე დავიწყე მუშაობა, მოვიდა ბიძინა და ტაქსიდანაც უნდა ჩამომაგდოს? ტაქსისტები არ გავჩერდებით, ბიძინას იქით**

**საკითხზე აქტიურად მუშაობენ.**

**როგორც ჩანს, მერიას ტაქსების ლიცენზიის საკითხის გახმოვანება ტრანსპორტის სამსახურს მომავალ წელს აქვთ ჩაფიქრებული. მომავალი „მეოთხე“ საუკეთესო წელი კი, არც ქალაქის ხელისუფლებისთვის იქნება დალხენილი. ნარმანიას ისედაც წყალი აქვს შემდგარი. ახლა ამას ტაქსების ლიცენზიაც თუ დაემატება, ეს ბოლო წვეთი შეიძლება იყოს მერისთვის. გამწარებული ტაქსის მძღოლები იმუქრებიან, რომ ხელისუფლებას ამ ამბავს გადააყოლებენ!**